



Co-funded by  
the European Union



# ვეთერინარიის თანამედროვე მდგომარეობა, გამოწვევები და პერსპექტივები (საქართველო, ესტონეთი, ლატვია)

## CONTEMPORARY STATE OF VETERINARY MEDICINE, CHALLENGES AND PERSPECTIVES (GEORGIA, ESTONIA, LATVIA)

ERASMUS-EDU-2022-CBHE-STRAND 1-101082479



# 2023

[VETPRO.EU.EDU.GE](http://VETPRO.EU.EDU.GE)



**ვეტერინარიის თანამედროვე მდგომარეობა, გამოწვევები და პერსპექტივები**  
(საქართველო, ესტონეთი, ლატვია)

**Contemporary state of veterinary medicine, challenges and perspectives**  
(Georgia, Estonia, Latvia)

ERASMUS-EDU-2022-CBHE-STRAND 1-101082479

**ავტორები:**

ტომას ტიირატსი  
კიული კორგესაარი  
კასპარს კოვალენკო  
ლელდე ტიტმანე  
ლევან მაკარაძე  
ნინო მილაშვილი  
მაია კერესელიძე  
მარია ბოკუჩავა  
ლაშა ავალიანი  
დავით ბოსტაშვილი  
თორნიკე ლაშკარაშვილი  
ნუნუ ომარაშვილი  
ცვატა ბერძენიშვილი

რედაქტორი: გვანცა ჯიჩოშვილი  
ყდის დიზაინი: გიორგი წულაია  
დაკაბადონება: თამრიკო ქავჯარაძე

**AUTHORS:**

Toomas Tiirats  
Küllli Kõrgesaar  
Kaspars Kovalenko  
Lelde Titmane  
Levan Makaradze  
Nino Milashvili  
Maia Kereselidze  
Marika Bokuchava  
Lasha Avaliani  
Davit Bostashvili  
Tornike Lashkarashvili  
Nunu Omarashvili  
Tsvata Berdzenishvili

EDITOR: Gvantsa Jichoshvili  
COVER DESIGN: Giorgi Tsulaia  
TYPESETTING: Tamriko Qavzharadze

დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის მხოლოდ ავტორ(ებ)ს და არ ასახავს ევროკავშირის ან ევროპის განათლებისა და კულტურის ადმინისტრაციის სააგენტოს (EACEA) შეხედულებებს. ვერც ევროკავშირი და ვერც ევროპის განათლებისა და კულტურის ადმინისტრაციის სააგენტო (EACEA) ვერ იქნებიან პასუხისმგებელი მათზე.

*Funded by the European Union. Views and opinions expressed are however those of the author(s) only and do not necessarily reflect those of the European Union or the European Education and Culture Executive Agency (EACEA). Neither the European Union nor EACEA can be held responsible for them.*

ISBN 978 9941 9662 7 9

გამომცემლობა: „დანი“

© ევროპის უნივერსიტეტი, 2023





Co-funded by  
the European Union



### კონსორციუმის წევრები:

- ევროპის უნივერსიტეტი (საქართველო), კოორდინატორი
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო)
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (საქართველო)
- ესტონეთის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა უნივერსიტეტი (ესტონეთი)
- ლატვიის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი (ლატვია)

### Consortium members:

- European University (Georgia), *Coordinator*
- Samtskhe-Javakheti State University (Georgia)
- Shota Meskhia State Teaching University of Zugdidi (Georgia)
- Estonian University of Life Sciences (Estonia)
- Latvia University of Life Sciences and Technologies (Latvia)



# სარჩევი

შესავალი .....	6
<b>თავი 1. საქართველოში ვეტერინარიის დარგის ამჟამინდელი მდგომარეობისა და განვითარების საჭიროებების ზოგადი აღწერითი ანალიზი .....</b>	<b>8</b>
შესავალი.....	8
კვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩო.....	8
ვეთერინარიის დარგის ზოგადი აღწერა .....	8
საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნა ვეტერინარ სპეციალისტებზე.....	11
განათლების ხელმისაწვდომობა .....	22
დასკვნები და რეკომენდაციები .....	26
<b>თავი 2. ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მონვეული პერსონალის აკადემიური და პროფესიული განვითარების საჭიროებების კვლევა.....</b>	<b>28</b>
კვლევა .....	28
კვლევის მონაცემების სტატისტიკური ანალიზი და შედეგები .....	30
დასკვნა .....	42
რეკომენდაციები .....	43
<b>თავი 3. ადგილობრივი მცირე ფერმერების საჭიროებების კვლევა .....</b>	<b>44</b>
კვლევა .....	44
კვლევის მონაცემების სტატისტიკური ანალიზი და შედეგები .....	46
დასკვნა და რეკომენდაციები .....	56
<b>თავი 4. ვეტერინარული განათლების მიღწევები და პერსპექტივები ესტონეთსა და ლატვიაში .....</b>	<b>58</b>
უმაღლესი ვეტერინარული განათლება.....	58
ლატვიის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი (LTBU) .....	62
სასწავლო პროგრამის აღწერა „სავეტერინარო მედიცინა“ .....	65
აკადემიური პერსონალის განვითარება .....	67
სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალების ყოველწლიური კონკურსი და აკადემიური კონფერენცია .....	70
ესტონეთის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა უნივერსიტეტი (EMU).....	71
შესავალი .....	71
ვეტერინარული აქტივობების ორგანიზების საფუძვლები ესტონეთში.....	72
უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) მოთხოვნები ვეტერინარებისთვის	
ევროკავშირში .....	74
ევროკავშირის დირექტივა პროფესიული კვალიფიკაციის აღიარების შესახებ (დირექტივა 2013/55/EU) .....	76
საგნების სია და „პირველი დღის კომპეტენციები“ .....	77
სასწავლო პროგრამა .....	78
სწავლა – სწავლება: ხარისხი და შეფასება.....	100
აკადემიური პერსონალის განვითარება .....	102
სწავლების გარემო: პერსონალის განვითარების საშუალებები, განსაკუთრებით სწავლების უნარებთან დაკავშირებით .....	108
სტუდენტების კეთილდღეობა.....	112
სასწავლო მხარდაჭერის სისტემები.....	112
საქმიანობა აუდიტორიის გარეთ .....	115
ობიექტები და აღჭურვილობა .....	116

# CONTENTS

INTRODUCTION .....	125
<b>CHAPTER 1: General Descriptive Analysis of the Current Landscape and Development Needs in the Field of Veterinary Medicine in Georgia .....</b>	<b>126</b>
INTRODUCTION .....	126
METHODOLOGICAL FRAMEWORK OF THE STUDY .....	126
GENERAL DESCRIPTION OF THE VETERINARY MEDICINE FIELD .....	126
DEMAND OF THE GEORGIAN LABOUR MARKET FOR VETERINARY SPECIALISTS .....	128
ACCESSIBILITY OF EDUCATION .....	139
CONCLUSIONS AND RECOMMENDATIONS .....	142
<b>CHAPTER 2: Study of the Academic and Professional Development Needs of Academic and Visiting Staff Implementing Integrated Master's Program in Veterinary Medicine .....</b>	<b>144</b>
RESEARCH .....	144
STATISTICAL ANALYSIS OF RESEARCH DATA .....	146
CONCLUSION .....	157
RECOMMENDATIONS .....	158
<b>CHAPTER 3. The Needs of Local Small Farmers .....</b>	<b>159</b>
THE STUDY .....	159
STATISTICAL ANALYSIS OF RESEARCH DATA .....	160
CONCLUSION AND RECOMMENDATIONS .....	170
<b>CHAPTER 4. Veterinary Education in Estonia and Latvia: Achievements and Perspectives .....</b>	<b>172</b>
HIGHER VETERINARY EDUCATION .....	172
LATVIA UNIVERSITY OF LIFE SCIENCES AND TECHNOLOGIES (LBTU) .....	175
Description of the study program "Veterinary Medicine" .....	177
Development of academic staff .....	179
Annual competition for textbooks and study materials and academic conference .....	181
ESTONIAN UNIVERSITY OF LIFE SCIENCES (EMU) .....	182
Introduction .....	182
Bases for the organisation of veterinary activities in Estonia .....	183
Continuing professional development (CPD) requirements for veterinarians in the EU .....	184
EU Directive on the Recognition of Professional Qualifications (Directive 2013/55/EU) .....	186
List of subjects and Day One Competences .....	187
Curriculum .....	188
Teaching and learning: quality and evaluation .....	206
The teaching environment: staff development facilities, particularly in relation to teaching skills .....	212
Student welfare .....	215
Study support systems .....	216
Extracurricular activities .....	218
Facilities and equipment .....	219
<b>დანართი 1/Appendix 1 .....</b>	<b>226</b>
<b>დანართი 2/Appendix 2 .....</b>	<b>234</b>
<b>დანართი 3/Appendix 3 .....</b>	<b>239</b>
<b>დანართი 4/Appendix 4 .....</b>	<b>245</b>
<b>დანართი 5/Appendix 5 .....</b>	<b>249</b>
REFERENCES .....	258

## შესავალი

კვლევა შესრულებულია ევროკომისიის ერაზმუს+ ინსტიტუციური განვითარების პროექტის „სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტების განვითარება საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ახალგაზრდა ვეტერინარიის პროფესიონალების მომზადების მიზნით“ (ERASMUS-EDU-2022-CBHE-STRAND 1-101082479) ფარგლებში, რომლის მიზანს შეადგენს:

- ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება და მათი შრომის ბაზრისა და საზოგადოების მოთხოვნებთან დაახლოვება;
- საქართველოში ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების კომპეტენციების, უნარებისა და დასაქმების პოტენციალის გაზრდა განახლებული ბიბლიოთეკისა და ვეტერინარიის პროფესიონალებისთვის შემუშავებული ონლაინ კურსების (ე.წ. MOOC-ის) მეშვეობით;
- თბილისის, სამეგრელო-ზემო სვანეთის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების თანასწორობის და არადისკრიმინაციის ხელშეწყობა;
- საქართველოს სამ უმაღლეს სასწავლებელში ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების მექანიზმების გაძლიერება;
- ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური პერსონალის გადამზადება საქართველოში ვეტერინარიის სასწავლო პროგრამისა და ვეტერინარული განათლების გრძელვადიანი ხარისხის უზრუნველსაყოფად;
- ევროკავშირის პარტნიორ დაწესებულებებსა და საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება ვეტერინარიის მეცნიერებათა სფეროში საუკეთესო პრაქტიკის გაცვლისა და შესაძლებლობების განვითარების მიზნით და ამით არსებული პრაქტიკის გაღრმავებისა და გაუმჯობესებისა და პარტნიორი საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.

### წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს:

**(ა)** საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური და პროფესიული განვითარების საჭიროებების გამოვლენას და მათზე დაყრდნობით შესაბამისი ღია წვდომის ონლაინ კურსების (MOOCs) თემატიკის განსაზღვრას და შემუშავებას;

**(ბ)** საქართველოს მცირე ფერმერების საჭიროებების კვლევას ვეტერინარული მომსახურების, ფერმის მენეჯმენტის, პირუტყვის კვების, ფერმის და მეურნეობის განვითარების, წარმოებული პროდუქციის მარკეტინგის მიმართულებით; გამოვლენილ საჭიროებებზე დაყრდნობით შესაბამისი გზამკვლევების შემუშავებასა და გაზიარებას;

**(გ)** პროექტის ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებში (ესტონეთი და ლატვია) არსებული ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აღწერას (კურიკულუმი, აკრედიტაციის სტანდარტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეწყობის მექანიზმები).

კვლევის ანგარიში შედგება ოთხი ძირითადი ნაწილისგან: პირველი ნაწილი მოიცავს საქართველოში ვეტერინარიის დარგის ზოგად აღწერას (შრომის ბაზრის კვლევის შედეგები, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამების აღწერა); მეორე ნაწილში წარმოდგენილია ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის აკადემიური და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის ანალიზი; მესამე ნაწილი ეთმობა

ადგილობრივი მცირე ფერმერების საჭიროებათა კვლევის შედეგების აღწერასა და რეკომენდაციებს; მეოთხე ნაწილში აღწერილია ევროკავშირის დირექტივა პროფესიული კვალიფიკაციის აღიარების შესახებ, ესტონეთისა და ლატვიის უსდ-ების მაგალითებზე ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმები და განმანათლებლებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები.

მოცემული კვლევის შედეგების გამოყენება მოხდება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისთვის და მათი განმანათლებლებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების შესაბამისი აქტივობების დაგეგმვისთვის. მიღებული კვლევის შედეგები ასევე დაეხმარება გადაწვეტილებების მიმღებ პირებს, გაეცნონ ადგილობრივი ფერმერების საჭიროებებს და შესაბამისად დაგეგმონ საპასუხო ხელშეწყობი აქტივობები.

## თავი 1. საქართველოში ვეტერინარიის დარგის ამჟამინდელი მდგომარეობისა და განვითარების საჭიროებების ზოგადი აღწერითი ანალიზი

### შესავალი

მოცემული თავის მიზანს წარმოადგენს სავეტერინარო მედიცინის დარგის მდგომარეობისა და განვითარების საჭიროებების ზოგადი აღწერითი ანალიზის შექმნა, რისთვისაც განვიხილეთ შემდეგი საკითხები: საქართველოს შრომის ბაზრის ზოგადი პრობლემები; ვეტერინარ სპეციალისტებზე შრომის ბაზრის მოთხოვნები და ვეტერინარიის სფეროს სპეციალისტების დასაქმების დეტალური ასპექტები; ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო და ვეტერინარიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნადობა, არსებული მიღწევები და გამოწვევები.

### კვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩო

ანალიზის პროცესში ავტორთა ჯგუფმა იხელმძღვანელა თვისებრივი კვლევის მეთოდებით, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, ღია წყაროებში წარმოდგენილი ანალიტიკური მასალის დამუშავებას, მეორე მხრივ კი, შესაბამისი პროფესიული წრეების წარმომადგენელთა გამოკითხვას. შესაბამისად, ანალიზისთვის გამოყენებული იქნა როგორც პირველადი, ასევე მეორადი მონაცემები, რაც უზრუნველყოფს მთლიანი კვლევის ობიექტურობას, ძიების შედეგების ვალიდობასა და სანდოობას. როგორც ერთი, ისე მეორე კომპონენტი ემსახურება ანალიზის საგნის შესახებ ინფორმაციის მოძიებას ანალიტიკური ციკლის ემპირიულ ეტაპზე.

მერჩეული იქნა რამდენიმე სამაგიდო კვლევა, რომლის ფარგლებში მეორადი ინფორმაციის მოპოვება განხორციელდა არსებული სტატისტიკური მონაცემებისა და კვლევითი დოკუმენტების დამუშავების საფუძველზე. ასევე, განხორციელდა ვეტერინარიის დარგის სპეციალისტების ფოკუს ჯგუფების გამოკითხვა და გამოყენებული იქნა სახელმწიფო მოხელეების მასშტაბით მიცემული ინტერვიუები.

კვლევითი დოკუმენტების დამუშავებისას გამოყენებულ იქნა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ქვეყნის შრომითი ბაზრის შესახებ საქართველოში ჩატარებული კვლევების მასალები: ა) გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში, შვეიცარიის კონფედერაციის და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის ოფისის მიერ ერთობლივად შესწავლილი სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს (სეს) ვეტერინარიის დარგის შრომითი ბაზრის კვლევების მონაცემები; ბ) პროექტის „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“<sup>1</sup> ფარგლებში 2021 წელს ჩატარებული კვლევის „მესაქონლეობის სექტორში პირველადი წარმოებისა და გადამუშავების დონეზე ტრენინგების საჭიროებების შეფასება“ და 2022 წელს ჩატარებული ვეტერინარების და ვეტერინარი ტექნიკოსების მასიური რეგისტრაციისა და გამოკითხვის ფარგლებში შედგენილი მონაცემების ანალიზი.

### ვეტერინარიის დარგის ზოგადი აღწერა

საქართველოს მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მეცხოველეობის დარგის პროდუქციის წარმოებასა და მიწოდებაზე. ამ დარგის წარმატებულ განვითარებას განაპირობებს პირუტყვის სულადობის ზრდა, საკვები ბაზით უზრუნველყოფა და ვეტერინარული მომსახურეობის მაღალი კულტურა. ვეტერინარული საქმიანობა მიმართულია ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის და კეთილდღეობის უზრუნველყოფის, მათი პროდუქტიულობის ამაღლების, უვნებე-

<sup>1</sup> USDA Food for Progress-ის მიერ დაფინანსებული პროექტი „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“ (2018) <https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/9503/>



ლი ცხოველური პროდუქტების წარმოების, ცხოველთა ზოონოზური დაავადებების პრევენციისა და ეკოსისტემის დაბინძურების დაცვისაკენ.

ფერმერულ მეურნეობებში დაავადებების დაფიქსირება იწვევს ცხოველთა ჯანმრთელობის გაუარესებას, პროდუქტიულობის შემცირებას, მწვავე შემთხვევებში, პირუტყვის სიკვდილიანობას, რაც ეკონომიკურ ზარალს აყენებს ფერმერულ მეურნეობებს, და, შესაბამისად, აფერხებს მეცხოველეობის დარგის მდგრად განვითარებას და აუარესებს ქვეყნის ეკონომიკას. ამასთანავე, ცხოველთა დაავადებების ნაწილი ზოონოზურია, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ცხოველებიდან ადამიანებზე ვრცელდება ცხოველებთან უშუალო შეხებით, მათგან წარმოებული პროდუქტის მოხმარებით თუ გარემო ფაქტორების მეშვეობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვეტერინარიის ამოცანაა არა მხოლოდ ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დაცვა, არამედ იგი, ამავდროულად, სოციალური მნიშვნელობის მქონე დარგია.

ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ვეტერინარიის დარგის განვითარებაზე. აგრარული სექტორის მსგავსად, ვეტერინარული სამსახური ფართომასშტაბიან პრივატიზაციას დაექვემდებარა და ვეტერინარული მომსახურების უზრუნველყოფაში სახელმწიფოს როლი საგრძნობლად შემცირდა. დანახარჯების შემცირების მიზნით და ეკონომიკაში ჩაურევლობის პრინციპის ფართოდ გამოყენების შედეგად, ვეტერინარულ სექტორში რეფორმების შემდეგ დაავადებათა პროფილაქტიკის, გამოვლენისა და მკურნალობის პასუხისმგებლობა ძირითადად კერძო სექტორს დაეკისრა, მაგრამ კერძო სექტორი მოუმზადებელი აღმოჩნდა დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად. თუ ადრე კერძო ვეტერინარები ეფექტიანად უმკლავდებოდნენ ცხოველთა დაავადებების ინდივიდუალურ შემთხვევებს, ამ შემთხვევაში სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდნენ დაავადების მონიტორინგისა და მკურნალობის ეროვნული გეგმების შესასრულებლად, რაც განპირობებული იყო კერძო სექტორის გაუმართავი ინფრასტრუქტურით და არასაკმარისი სახელმწიფო დაფინანსებით.

ვეტერინარიის პრობლემების გადაჭრა და დაავადებების აღმოფხვრა შეუძლებელია სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერის და სახელმწიფო ვეტერინართა ჩარევის გარეშე (კარანტინი, საკანონმდებლო ღონისძიებების გამოყენება და სხვა). ამას ემატება ისიც, რომ შრომის დაბალი ანაზღაურების და სხვა რიგი მიზეზების გამო მოხდა ადამიანური რესურსის გადინება სხვა დარგებში და შეიქმნა ადამიანური კაპიტალის დეფიციტი. ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ფაქტობრივად მთლიანად მოიშალა ვეტერინარული კონტროლის სისტემა და ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლი მინიმუმამდე შეიკვცა<sup>2</sup>.

ამას დამატა ისიც, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე (17.06.2011) „სავეტერინარო მედიცინა“ ამოღებული იქნა რეგულირებადი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალიდან და სწავლება ორსაფეხურიანი გახდა. საქართველოში მიღებული უმაღლესი ვეტერინარული განათლება არ იყო თავსებადი საერთაშორისო, მათ შორის, ევროკავშირის პრაქტიკასთან და მოთხოვნებთან<sup>3</sup>, რამაც დააკნინა სპეციალობის პრესტიჟი, მკვეთრად შეამცირა ვეტერინარიის სპეციალობის დაუფლების მსურველთა რაოდენობა და დასაქმების ბაზარზე ვეტერინარებზე მოთხოვნა.

ვეტერინარიის დარგში არსებული პრობლემების გადაჭრას და კვალიფიციური ადამიანური რესურსის უზრუნველყოფის საკითხების მოგვარებას მნიშვნელოვნად შეუწყობ ხელი სახელმწიფოს მიერ 2014 წლის 27 ივნისს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების დადება<sup>4</sup>. ევროკავშირთან საკანონმდებლო დაახლოების პროგრამით ვეტერინარიის სფეროში განსაზღვრულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეროვნული კანონმდებლობის დაახლოება: ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის, ცხოველთა დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებების, ცოცხალი ცხოველების ჯანმრთელობის

2 საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა ვეტერინარიის სფეროში (2018) <https://www.asocireba.ge/files/Vakhtang-Kobaladze-Veterinary-2018.pdf>

3 განმარტებითი ბარათი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე (2017) <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/294616>

4 ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის (2014) [https://www.asocireba.ge/show\\_article.php?id=30](https://www.asocireba.ge/show_article.php?id=30)

კონტროლის, ცოცხალ ცხოველსა და ცხოველურ პროდუქტებზე ვეტერინარული სერტიფიკაციის, ცხოველთა საკვების ჰიგიენის, მისი გამოყენების, ბაზარზე განთავსების, ვეტერინარული პრეპარატების რეგისტრაციისა და კონტროლის მექანიზმებსა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. 2015-2027 წლებზე გაწერილი საკანონმდებლო მიანლოების გეგმა<sup>5</sup> ვეტერინარიის სფეროში გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის 84 ნორმატიულ აქტთან. მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ 2017 წლის ბოლოსათვის ევროკავშირის 26 ნორმატიულ აქტთან მოხდა დაახლოება, ხოლო 2020 წლის ბოლოსათვის ეს მაჩვენებელი გაიზარდა 40-მდე.

საქართველოს ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ვეტერინარიის სფეროს მოწესრიგებისაკენ, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ექსპერტთა დახმარებით შეიმუშავა ცხოველთა ჯანმრთელობის ეროვნული პროგრამა (NAHP, 2016-2020)<sup>6</sup>, რომლის საფუძველზეც შემდგომში მომზადდა ზოგიერთი გადამდები დაავადებების წინააღმდეგ განსახორციელებელ ღონისძიებათა სტრატეგიული გეგმები. დაიწყო ზრუნვა ვეტერინარიის დარგის კვალიფიციური ადამიანური რესურსით უზრუნველყოფისათვის სათანადო პირობების შექმნაზე.

სახელმწიფოს მიერ გატარებული რეფორმების საფუძველზე 2017 წელს ცვლილებები განხორციელდა საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“ და ვეტერინარია დაბრუნდა რეგულირებადი დარგების სიაში<sup>7</sup>. საქართველოს კანონმდებლობით, რეგულირებადი პროფესია გულისხმობს ისეთ საქმიანობას, რომლის განხორციელების წინაპირობა, შესაბამისი კვალიფიკაციის არსებობის გარდა, არის სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან რომლის განსახორციელებლად მოთხოვნილი კვალიფიკაციის მინიჭებისათვის აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი გამოცდის ჩაბარება. რეგულირებადი პროფესიის სტატუსი მნიშვნელოვანია, იმდენად, რამდენადაც იგი ზრდის შესაბამისი მიმართულებით ახალგაზრდების დაინტერესებას. აღნიშნული რეფორმის შედეგად, ვეტერინარიის მაგისტრის წოდების მისაღებად განისაზღვრა ერთსაფეხურიანი სწავლება არანაკლებ 300 ECTS კრედიტის მოცულობით. აღნიშნული რეფორმის განხორციელება აგრეთვე გულისხმობდა სწავლების მეთოდების შეცვლას, მეტ ყურადღებას კლინიკური სწავლებისა და კვლევითი კომპონენტის გამოყენების მიმართ, პროფესიონალებისადმი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გაზრდას, სერტიფიცირების პროცესის დანერგვას.

მაღალკვალიფიციური პრაქტიკოსი ვეტერინარების და ვეტერინარი ტექნიკოსების ხელმისაწვდომობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ვეტერინარიის სფეროს განვითარებისათვის. აუცილებელია დასაქმების სფეროების (ვეტერინარული კლინიკები, ლაბორატორიები, მეცხოველეობის ფერმები, ფარმაცევტული საწარმოები, ვეტერინარული აფთიაქები, ზოოპარკები, კოსმეტიკური კაბინეტები, სასაკლაოები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, სახელმწიფო უწყებების ვეტერინარული სამსახურები, ექსპერიმენტული მედიცინის, სურსათის უვნებლობის, გარემოს დაცვის და სხვა ობიექტები) მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით უზრუნველყოფა, რადგან ვეტერინარია ერთ-ერთია იმ დარგებს შორის, რომელთა სპეციალისტების მომზადება პრაქტიკული გამოცდილების გარეშე წარმოუდგენელია.

დარგის ზოგადი აღწერის და შეფასების ანალიზი ცხადყოფს:

- ვეტერინარიის სფეროში განხორციელებული რეფორმები, ევროკავშირის საკანონმდებლო სტანდარტებთან მიახლოება, სახელმწიფოს მხრიდან დარგის მიმართ ყურადღების გაძლიერება პერსპექტივაში გამოიწვევს ვეტერინარიის პოპულარიზაციას;
- ვეტერინარიის რეგულირებად დარგად გადაქცევა და ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო 300 ECTS კრედიტიანი მოცულობის პროგრამის პრაქტიკული განხორციელება ხელს შეუწყობს ახალგაზრდების მეტად დაინტერესებას და კვალიფიციური უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების მომზადებას.

5 „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ შეთანხმება (DCFTA) (2014) <https://mepa.gov.ge/Ge/Page/DCFTAObligation>

6 ცხოველთა ჯანმრთელობის ეროვნული პროგრამა <https://mepa.gov.ge/en/News/Details/85>

7 საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (2005) <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=102>

## საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნა ვეტერინარ სპეციალისტებზე

შრომის ბაზრის ძირითადი კომპონენტების, მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობა განსაზღვრავს შრომის ბაზარზე სავეტერინარო მედიცინის არსებულ სიტუაციას, ქვეყანაში დასაქმების დონეს, სამუშაო ძალის ფასს, ქვეყნის შრომითი პოტენციალის გამოყენების ხარისხს და მასთან დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებს. ამიტომ შრომის ბაზრის რეგულირების კანონზომიერებების შესწავლა ერთ-ერთი აქტუალური საკითხია.

უმუშევრობის და სიღარიბის პრობლემების დაძლევა დღეისათვის ქვეყნის მთავარი გამოწვევა და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებაა. ამიტომ ხელისუფლების ძალაუფლება მიმართულია ამ პრობლემების შემსუბუქებისა და გადაჭრისაკენ, უმუშევრობის შემცირებისა და შრომის ბაზრის ეფექტური ფუნქციონირებისათვის სათანადო პირობების შექმნისაკენ.

საქართველოს შრომის ბაზარზე ვეტერინარ სპეციალისტებზე მოთხოვნის შესწავლა ვაწარმოეთ სპეციალისტთა რაოდენობის, მათი სტრუქტურული და ხარისხობრივი დისბალანსის, სამუშაო ძალის გამოყენების, მისი გეოგრაფიული გადანაწილების, გენდერული მონაწილეობის და სხვა მაჩვენებლების მიხედვით.

ვეტერინარ სპეციალისტებზე შრომის ბაზრის მოთხოვნის შესწავლა ცხადყოფს, რომ აგრარული სექტორის სხვადასხვა მიმართულების დარგში (მეცხოველეობა, სახელმწიფო და კერძო ვეტერინარული სტრუქტურები, ხორცისა და ხორც-პროდუქტების, რძისა და რძის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოები, ბაზრები და სხვა) ვეტერინარული სერვისის განხორციელების საქმეში შეინიშნება უმაღლესი განათლების ვეტერინარი პერსონალის მწვავე ნაკლებობა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2016 წლის მონაცემებით,<sup>8</sup> საქართველოს სჭირდება 3200 ვეტერინარი, სურსათის უვნებლობის 170 სპეციალისტი და ფიტოსანიტარი ქვეყანაში არსებული დეფიციტის მინიმუმის შესავსებად.

სამუშაო ძალის (ვეტერინარების) განაწილება დასაქმების მიხედვით ცხადყოფს, რომ მათი ნაწილი დასაქმებულია საჯარო სამსახურში, მეორე ნაწილი – კერძო კომერციულ საქმიანობაში, ხოლო მესამე ეწევა ინდივიდუალურ ვეტერინარულ საქმიანობას. მათი რაოდენობრივი შეფარდება განსხვავდება მუნიციპალიტეტების მიხედვით.

FAO-ს<sup>9</sup> ფარგლებში ჩატარებული კვლევების მონაცემების თანახმად, საქართველოში ვეტერინარული მიმართულების კურსდამთავრებულები უმეტესწილად ქალაქში, შინაური ბინადარი ცხოველებისთვის (ძაღლი, კატა და სხვა) განკუთვნილ კლინიკებში არჩევენ დასაქმებას, რაც განპირობებულია სავსე ვეტერინარების გადატვირთული რეჟიმით, ვეტერინართა მცირე ანაზღაურებით და ფერმერებში ვეტერინარზე დაბალი მოთხოვნით.

საქართველოს ქვეყნის მასშტაბით, FAO-ს ფარგლებში, შვეიცარიის კონფედერაციამ, ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის ოფისთან ერთად, შეისწავლა 2018 წელს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს (სეს) ვეტერინარიის დარგის შრომითი ბაზარი და ვეტერინარიის დარგში მომუშავე სპეციალისტების (ვეტერინარები, ვეტერინარი ტექნიკოსები (ფერშლები) და დამხმარე პერსონალი) ასაკობრივი თავისებურებების სპეციფიკა. კვლევების ანალიზის შედეგად დაადგინა, რომ აჭარის, გურიის, იმერეთის, კახეთის, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში ვეტერინარიის დარგში მომუშავე თითოეულ კატეგორიის მუშაკთა საშუალო ასაკი შეადგენს 50 წელზე ოდნავ მეტს. მომუშავეთა თითქმის 18% გადაცილებულია საპენსიო ასაკს. ყველაზე რთული ვითარებაა გურიის და რაჭის რეგიონებში, სადაც აბსოლუტურად ყველა სპეციალისტი არის 50 წელს გადაცილებული. დაახლოებით ანალოგიური მდგომარეობაა სამეგრელო-ზემო სვანეთის

8 სოფლის მეურნეობის მინისტრის ოთარ დანელიას ინტერვიუ ჟურნალისტებთან (2016) <https://ipress.ge/news/sazogadoeba/othar-danelia-3200-veterinari>

9 FAO: საქართველოში ვეტერინარიის მიმართულება უნდა გაძლიერდეს (2018) <https://ipress.ge/news/sazogadoeba/fao-saqarthveloshi-veterinar>

რეგიონში. ყველაზე ხელსაყრელი მდგომარეობა აღინიშნება ქართლსა და თბილისში, სადაც ვეტერინარიის სფეროში შედარებით ახალგაზრდა ვეტერინარები არიან დასაქმებული<sup>10</sup>. რაც შეეხება ველზე მომუშავე ვეტერინარების ასაკობრივ განაწილებას, FAO-ს ცხოველთა იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის პროგრამის (NAITS)<sup>11</sup> ფარგლებში ჩატარებული სტატისტიკური ანალიზის თანახმად, ქვეყანაში მათი საშუალო ასაკი 55-60 წელია. მომდევნო 7-10 წლის პერიოდში მოსალოდნელია ვეტერინარების რიცხვის მკვეთრი შემცირება, რაც უკავშირდება საპენსიო ასაკს და ახალგაზრდა ვეტერინარების ცხოველებთან მუშაობის სურვილის არქონას.

სამუშაო ძალის გეოგრაფიული განაწილება მათი კვალიფიკაციის მიხედვით საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ცხადყოფს, რომ მათი გადანაწილება სხვადასხვანაირია. ბევრი რეგიონი განიცდის ვეტერინარების დეფიციტს, ხოლო ზოგიერთი რეგიონი განიცდის ვეტერინარი ფერმლების ნაკლებობას (იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი, სამეგრელო), მიუხედავად იმისა, რომ ამ რეგიონებში ადგილი აქვს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დიდ ლოკალურ კონცენტრაციას. საქართველოს ზოგიერთ რეგიონში კვალიფიციური ვეტერინარების და ვეტერინარი ფერმლების არარსებობა წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას<sup>12</sup>.

მოსახლეობის კუთვნილებაში არსებული საქონლის სულადობის საშუალო განაწილების და სამუშაო ძალის გამოყენების საკითხების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის საშუალო გადანაწილება ერთ ვეტერინარ სპეციალისტზე სხვადასხვა რეგიონში განსხვავდება ერთმანეთისაგან. საშუალოდ ერთი ნებისმიერი კვალიფიკაციის ვეტერინარი სპეციალისტი ემსახურება 6 სოფელს, 442 პირუტყვის მფლობელის 2387 სულს. იმის გათვალისწინებით, რომ სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს (სეს) ვეტერინარიის სპეციალისტები მუშაობენ სამკაცთან ჯგუფებში, მათი სამუშაო დატვირთვა 3-ჯერ მაღალია ნორმატიულთან შედარებით.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) მონაცემებით, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო (სეს) საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ვეტერინარიის მიმართულებით სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების განსახორციელებლად (თურქულის, ჯილხის, ნოდურალური დერმატიტის, ცოფის, ბრუცელოზის, წვრილფეხა პირუტყვის ჭირის და ცხვრისა და თხის ყვავილის პროფილაქტიკური ღონისძიებები) აწარმოებს ვეტერინარი სპეციალისტების სააგენტოს გარე სამუშაო ძალის დაქირავებას ხელშეკრულებების საფუძველზე, კერძოდ ქირაობს 600-ზე მეტ ვეტერინარ სპეციალისტს, ხოლო დამხმარე პერსონალის სახით კიდევ დაახლოებით 100-120 ადამიანს<sup>13</sup>.

საქართველოს შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მიწოდების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ვეტერინარიის დარგში ვეტერინარ სპეციალისტებზე მოთხოვნის დაკმაყოფილება ხორციელდება ვეტერინარული მიმართულების უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების და პროფილის შესაბამისი კოლეჯების მიერ. 2023 წლის მონაცემებით, ქვეყნის მასშტაბით, საშუალო კვალიფიკაციის ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტების მომზადება შემდეგ სასწავლო დაწესებულებებში ხორციელდება: შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი (გორი), შპს ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯი (საგარეჯო), სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (სენაკი), სსიპ – კოლეჯი „ოპიზარი“ (ახალციხე), სსიპ – კოლეჯი „აისი“ (გურჯაანი), სსიპ – კოლეჯი „ახალი ტალღა“ (ხულო)<sup>14</sup>. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) მონაცემებით, პირუტყვის სულადობა ყველაზე მეტია სამეგრელოსა და ზემო სვანეთში, იმერეთში და ქვემო ქართლში – იმ რეგიონებში, სადაც არ ხდება ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტების მომზადება.

10 *Statistical review of the NFA's veterinary workforce (2018) Statistical Mapping (002).pdf*

11 *ცხოველთა რეგისტრაციის ეროვნული სისტემა (2020) <https://naits.mepa.gov.ge/naits/#/login>*

12 *Statistical review of the NFA's veterinary workforce (2018) Statistical Mapping (002).pdf*

13 *საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა ვეტერინარიის სფეროში (2018) <https://www.asocireba.ge/files/Vakhtang-Kobaladze-Veterinary-2018.pdf>*

14 *პროფესიული განათლების პროგრამები (2023) <https://vet.emis.ge/#/collegesPrograms/20>*

სხვადასხვა კვლევა<sup>15</sup> ადასტურებს, რომ უმუშევრობის განმაპირობებელ ძირითად ფაქტორთა შორის მთავარია დისბალანსი სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მის მიწოდებას შორის. ქვეყანაში სამუშაო ადგილების სიმცირე განაპირობებს იმ ფაქტს, რომ სამუშაო ძალის რაოდენობრივი მიწოდება მნიშვნელოვნად აღემატება მასზე მოთხოვნას. შედეგად, ადგილი აქვს ჭარბი სამუშაო ძალის არსებობას და დაუსაქმებლობას. ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ სხვადასხვა წლებში ჩატარებული კვლევა გვიჩვენებს, რომ 2011 წელს საქართველოს მოსახლეობის 61% მთავარ ეროვნულ პრობლემად უმუშევრობას მიიჩნევდა და გამოკითხულთა მხოლოდ 27% თვლიდა საკუთარ თავს დასაქმებულად. 2018 წლის მონაცემებით აღნიშნული მაჩვენებლები შეადგენდა შესაბამისად 62% და 37%, ხოლო იმავე ორგანიზაციის 2022 წლის კვლევების მონაცემების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 58% მთავარ ეროვნულ პრობლემად კვლავ უმუშევრობას მიიჩნევდა, ხოლო საკუთარ თავს დასაქმებულად 40% თვლიდა<sup>16</sup>.

საქსტატის მონაცემების მიხედვით, სახალხო მეურნეობის დარგებში დასაქმებულთა განაწილება 2017-2020 წლებში შემდეგია: 2017 წელს სულ დასაქმებული იყო 1,286.9 ათასი ადამიანი; 2018 წელს – 1,296.2 ათასი; 2019 წელს – 1,295.9 ათასი; 2020 წელს – 1,241.8 ათასი; ხოლო 2021 წლის (I კვარტ.) – 1,129.7 ათასი ადამიანი. ამ მონაცემების შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ 2017 წელთან შედარებით, სახალხო მეურნეობის დარგებში მთლიანად დასაქმებულთა მაჩვენებლები 2018 და 2019 წლებში უმნიშვნელოდ გაიზარდა, ხოლო 2021 წელს იგი მნიშვნელოვნად შემცირდა (157 ათასი ადამიანი). 2021 წლის (I კვარტ.) მონაცემებით უმუშევართა რაოდენობა შეადგენდა 317.5 ათას ადამიანს, ხოლო უმუშევრობის დონე კი – 21.9%-ს, რაც 2017 წელთან შედარებით 0.3%-ით მეტია.<sup>17</sup>

უმუშევრობის შემცირების ეფექტური მექანიზმებია კერძო სექტორის მძლავრი განვითარება, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღორძინება, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, ეკონომიკური პოტენციალის გასაღივებლად კერძო ინვესტიციების მოზიდვა და სახელმწიფო დაფინანსების გაზრდა. 2011-2021 წლების პერიოდში ამ კუთხით ქვეყანაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა: გაიზარდა ინვესტიციების მოზიდვა (რომელთა შორის 70% მოდის კერძო ინვესტიციებზე), განვითარდა ტურიზმი, შეიქმნა ახალი სამუშაო ადგილები. მიუხედავად ამისა, ბოლო პერიოდში კორონა ვირუსის პანდემიამ სერიოზული პრობლემები შეუქმნა როგორც მსოფლიოს, ისე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას და ადამიანთა ჯანმრთელობის მდგომარეობას. ხელისუფლების მიერ პანდემიის საწინააღმდეგოდ გატარებული ღონისძიებების საფუძველზე შეჩერდა მთელი რიგი წარმოება-დაწესებულებები, საზოგადოებრივი ობიექტები, რასაც მოჰყვა ეკონომიკის განვითარების შეფერხება და გაიზარდა უმუშევრობის მაჩვენებლები. ამჟამად ქვეყანაში მთავრობის მიერ შემუშავდა ანტიკრიზისული გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებას, სამუშაო რიტმის განახლებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და უმუშევართა რიცხვის შემცირებას. სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში გათვალისწინებულია 300 მლნ ლარის მობილიზება სოფლის მეურნეობის ფერმერებისა და დამხმარე მეურნეობების განვითარებისთვის<sup>18</sup>.

შრომის ბაზრის სტრუქტურული და ხარისხობრივი ბალანსის დადგენის მიზნით ჩატარებული კვლევით<sup>19</sup> დასტურდება, რომ რაოდენობრივ დისბალანსთან ერთად, დიდია სტრუქტურული და ხარისხობრივი დისბალანსიც. დამსაქმებელთა 34%-ს პრობლემა აქვს მისთვის საჭირო პროფესიის კადრების მოძიებასა და მოზიდვაში, რომლის მთავარი მიზეზია კადრების კვალიფიკაცია, ზოგიერთი პროფესიის არარსებობა ქვეყანაში, დაბალი ხელფასი და სხვა. კვლევის ამ შედეგებში იკვეთება, რომ ქვეყანაში არ მზადდება დასაქმებისათვის საჭირო პერსონალი ან დაბალია მომზადებული პერსონალის

15 კვლევა შრომის ბაზრის და ზრდის პოტენციალის მქონე ეკონომიკური სექტორების იდენტიფიცირების მიზნით (2021) <https://gfa.org.ge/wp-content/uploads/2021/05/Labour-marker-Research-report-Georgian-Version-1.pdf>

16 ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) კვლევები <https://www.ndi.org/georgia-polls>

17 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: დასაქმება და უმუშევრობა (2023) <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba>

18 ანტიკრიზისული გეგმა – ზრუნვა სოფელზე და ფერმერებზე (2020) <https://mepa.gov.ge/Ge/Page/AntiCrisisPlan>

19 USAID, საქართველოს ეროვნული შრომის ბაზარი 2010 წლის ივნის-ივლისში ჩატარებული კვლევის ანგარიში (2010) [https://mes.gov.ge/uploads/LMS\\_2010\\_Geo.pdf](https://mes.gov.ge/uploads/LMS_2010_Geo.pdf)

კვალიფიკაცია. ცალკე პრობლემაა დაბალი ანაზღაურება, შრომის მძიმე პირობები, რაც საქართველოს რეალობაში სერიოზული გამოწვევაა და განაპირობებს ე.წ. „ღარიბი დასაქმებულების“ არსებობას, მოქალაქეთა შრომის უფლებების დარღვევას, კადრების დენადობას, შრომის დაბალ მწარმოებლურობას და სხვა.

საქართველოს მთლიანი მოსახლეობის რაოდენობიდან 2020 წლისათვის სოფლად მცხოვრებთა ხვედრითი წილი შეადგენდა 41%-ს. სახალხო მეურნეობის დარგებში სამუშაო ძალის დასაქმების ანალიზი გვიჩვენებს, რომ დასაქმების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სოფლის მეურნეობაშია. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა მიერ წარმოებული პროდუქცია 2020 წელს შეადგენდა 5492.6 მლნ ლარს, რაც 2017 წლის მონაცემთან შედარებით 1747.2 მლნ ლარით მეტია. ამ დარგში წარმოებული პროდუქცია მთლიანი შიდა პროდუქციის 8,4%-ია,<sup>20</sup> რაც იმას ნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმება დაბალეფექტურია და მოყვანილი პროდუქცია გამიზნულია ძირითადად საკუთარი მოხმარებისათვის. ამ სექტორში დაბალია ერთ სამუშაო ადგილზე წლის განმავლობაში შექმნილი მთლიანი პროდუქციის დამატებითი ღირებულება, სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში ერთ სამუშაო ადგილზე შექმნილი პროდუქციის დამატებით ღირებულებასთან შედარებით. ანალოგიური სურათია მეცხოველეობაშიც. ამ მიზეზის გამო მეცხოველეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკის განვითარების მთავარი საზრუნავია.

პროექტის „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“<sup>21</sup> ფარგლებში, 2022 წელს ვეტერინარების მასიური გამოკითხვის ფარგლებში შედგენილი მონაცემების ანალიზის შედეგად, მოხდა ვეტერინარების და ვეტერინარი ტექნიკოსების გადანაწილების შესწავლა გენდერულ, აქტიურობის სტატუსის, კვალიფიკაციის ასამაღლებლად გავლილი კურსების, დამსაქმებელი ორგანიზაციის მიხედვით და სხვა შესაბამის ჭრილებში (იხ. ცხრილი 1.1, ცხრილი 1.2, ცხრილი 1.3).

**ცხრილი 1.1.** საქართველოს მასშტაბით ვეტერინარების და ვეტერინარი ტექნიკოსების გენდერული გადანაწილება ასაკობრივ ჭრილში 2022 წლის მდგომარეობით

ასაკი (წელი)	ქალი	კაცი	ქალი %	კაცი %
15-19	-	-	0.0%	0.00%
20-24	3	19	0.6%	1.86%
25-29	22	67	4.4%	6.54%
30-34	68	129	13.6%	12.60%
35-39	47	100	9.4%	9.77%
40-44	34	83	6.8%	8.11%
45-49	38	63	7.6%	6.15%
50-54	66	91	13.2%	8.89%
55-59	91	140	18.2%	13.67%
60-64	79	162	15.8%	15.82%
65-69	40	94	8.0%	9.18%
70-74	8	52	1.6%	5.08%
75-79	3	17	0.6%	1.66%
80-84	1	7	0.2%	0.68%

20 საქართველოს სოფლის მეურნეობა (2022) [https://www.geostat.ge/media/54292/soflis\\_meurneoba\\_2022.pdf](https://www.geostat.ge/media/54292/soflis_meurneoba_2022.pdf)  
 21 პროექტი „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“ (დაფინანსებული USDA Food for Progress პროგრამის ფარგლებში) (2018) [www.landolakes.org](http://www.landolakes.org)

**ცხრილი 1.2.** თბილისის მასშტაბით ვეტერინარების და ვეტერინარი ტექნიკოსების გენდერული გადანაწილება ასაკობრივ ჯგუფში 2022 წლის მდგომარეობით

ასაკი (წელი)	ქალი	კაცი	ქალი %	კაცი %
15-19	-	-	0.0%	0.00%
20-24	2	2	1.2%	1.32%
25-29	18	8	10.4%	5.26%
30-34	33	38	19.1%	25.00%
35-39	22	22	12.7%	14.47%
40-44	12	18	6.9%	11.84%
45-49	11	11	6.4%	7.24%
50-54	16	13	9.2%	8.55%
55-59	29	13	16.8%	8.55%
60-64	16	4	9.2%	2.63%
65-69	10	11	5.8%	7.24%
70-74	2	7	1.2%	4.61%
75-79	1	4	0.6%	2.63%
80-84	1	1	0.6%	0.66%

**ცხრილი 1.3.** თბილისის მასშტაბით გენდერული გადანაწილება ვეტ. კატეგორიების მიხედვით და მათი საშუალო ასაკი 2022 წლის მდგომარეობით

კვალიფიკაცია	ქალი	კაცი	სულ	საშუალო ასაკი (წელი)
ვეტერინარი	158	145	303	<b>46.2</b>
ტექნიკოსი	16	11	27	<b>35.6</b>
სტუდენტი	75	36	111	<b>23.8</b>
სულ	249	192	441	

ვეტერინარიის მიმართულებით დარგი განიცდის სამუშაო ძალის მწვავე დეფიციტს. ბაზრის კვლევებმა დაადასტურეს, რომ მოქმედი ვეტერინარების 33%-ზე მეტი 60 წელს გადაცილებული და საპენსიო ასაკს მიღწეული პერსონალია. ეს მაჩვენებელი ყოველწლიურად უარესდება (იხ. ცხრილი 1.4, ცხრილი 1.5). არის მუნიციპალიტეტები, სადაც ვეტერინარი სპეციალისტი საერთოდ არ არის, რის გამოც ფერხდება სასაქლოების გახსნა, სადაც ვეტერინარი სპეციალისტები უნდა მუშაობდნენ.

**ცხრილი 1.4.** საქართველოს მასშტაბით „აქტიური“ სპეციალისტების რაოდენობა ვეტ. კატეგორიების მიხედვით წლების ჭრილში (პროგნოზი)

წელი	ვეთერინარი	თექნიკოსი	აქტიური ვეტერინარი	აქტიური თექნიკოსი	კურსდამთავრებული ვეტერინარი	კურსდამთავრებული თექნიკოსი
2022	740	346	740	346	-	-
2023	713	334	713	334	-	-
2024	684	323	684	323	-	-
2025	648	312	648	312	-	-
2026	614	299	614	299	-	-
2027	581	281	581	281	-	-
2028	546	267	546	267	-	-
2029	511	253	511	253	-	-
2030	483	242	483	242	-	-
2031	464	230	464	230	-	-
პროცენტული სხვაობა*	37.30%	33.53%				
* პროცენტული სხვაობა 2021-2022 წლებს შორის						

**ცხრილი 1.5.** თბილისის მასშტაბით „აქტიური“ სპეციალისტების რაოდენობა ვეტ. კატეგორიების მიხედვით წლების ჭრილში (პროგნოზი)

წელი	ვეთერინარი	თექნიკოსი	აქტიური ვეტერინარი	აქტიური თექნიკოსი	კურსდამთავრებული ვეტერინარი	კურსდამთავრებული თექნიკოსი
2022	233	20	233	20	-	-
2023	228	20	228	20	-	-
2024	224	20	224	20	-	-
2025	218	20	218	20	-	-
2026	210	20	210	20	-	-
2027	203	19	203	19	-	-
2028	194	18	194	18	-	-
2029	189	18	189	18	-	-
2030	184	18	184	18	-	-
2031	181	18	181	18	-	-

ამავე კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ კვალიფიციური ვეტერინარებისა და ვეტერინარული სერვისების ნაკლებობა დარგში ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. ფერმერების მხრიდან, ყველაზე ხშირად დასახელებულ იქნა კვალიფიციური ვეტერინარების საჭიროება, რომლებიც უზრუნველყოფენ ფერმერებისთვის სათანადო ხარისხის ვეტერინარული სერვისების მიწოდებას. ხშირად ვეტერინარები, რომლებიც მომსახურებას უწევენ ადგილობრივ ფერმებს, არ ფლობენ სათანადო



თანამედროვე ცოდნასა და გამოცდილებას ცხოველის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ, რაც შემდგომში უამრავ პრობლემას იწვევს. მსხვილ ფერმებს მეტწილად ადგილზე ჰყავთ დასაქმებული ვეტერინარი, რომელიც მუდმივად უწევთ მათ მომსახურებას, შესაბამისად, ამ ვეტერინარის კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო სწავლებებზეც თავად ზრუნავენ (იხ. ცხრილი 1.6), ხოლო საშუალო და მცირე ფერმებს ფერმებში ვეტერინარი არ ჰყავთ და კონსულტაციისთვის მიმართავენ ადგილზე არსებულ ვეტერინარს.

**ცხრილი 1.6.** ვეტერინარების, ვეტერინარი ტექნიკოსების, ვეტერინარიის სტუდენტების გადანაწილება კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების გავლის ფორმის მიხედვით საქართველოში

კურსის ტიპი	ვეტერინარი	ტექნიკოსი	სტუდენტი
გრძელვადიანი კურსი	22	15	20
პრაქტიკა/სტაჟირება	134	92	95
ტრენინგი	634	255	74
კომბინირებული	91	46	22

ამასთანავე, ზოგიერთი ფერმერის მიერ აღნიშნული იქნა, რომ მათ ადგილზე არ აქვთ ვეტერინარის მომსახურებასთან წვდომა და ხშირ შემთხვევაში ცხოველის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით იღებენ ან მიმართავენ ნაცნობებს რჩევის მისაღებად (იხ. ცხრილი 1.7, ცხრილი 1.8).

**ცხრილი 1.7.** ვეტ. კატეგორიების გადანაწილება დამსაქმებელი ორგანიზაციის მიხედვით საქართველოს მასშტაბით

ორგანიზაცია	ვეტერინარი	ტექნიკოსი	სტუდენტი
სახელმწიფო სამსახური	509	189	15
ვეტერინარული სამსახური	423	216	115
არავეტერინარული სამსახური	13	17	22
შერეული	26	2	1
კერძო პრაქტიკა	512	314	95
დროებით უმუშევარი	72	85	77

**ცხრილი 1.8.** ვეტ. კატეგორიების გადანაწილება დამსაქმებელი ორგანიზაციის მიხედვით თბილისის მასშტაბით

ორგანიზაცია	ვეტერინარი	ტექნიკოსი	სტუდენტი
სახელმწიფო სამსახური	119	-	2
ვეტერინარული სამსახური	158	20	66
არავეტერინარული სამსახური	4	2	15
შერეული	7	-	1
კერძო პრაქტიკა	101	14	47
დროებით უმუშევარი	15	5	27

სტუდენტებში გავრცელებული აზრით, ვეტერინარისა და ზოოტექნიკოსის პროფესია არ არის მოთხოვნილი ბაზარზე, რის გამოც სტუდენტების დაინტერესება აღნიშნული პროფესიებით საკმაოდ დაბალია. რაც შეეხება კურსდამთავრებულთა იმ ნაწილს, რომლებმაც ვეტერინარიისა და კვების ტექნოლოგიების მიმართულებით მიიღეს განათლება, მათ ფერმაში მუშაობა არაპრესტიჟულად მიაჩნიათ და ცდილობენ დასაქმებისთვის ალტერნატიული ადგილები მოიძიონ. აღნიშნული ფაქტორი კი კიდევ უფრო მეტად ართულებს მესაქონლეობის სექტორში საჭირო სამუშაო ძალის მომზადებისა და მოძიების პროცესს (იხ. ცხრილი 1.9, ცხრილი 1.10).

**ცხრილი 1.9.** კერძო პრაქტიკის მქონე პირების სამართლებრივი ფორმის მიხედვით გადანაწილება საქართველოს მასშტაბით

სამართლებრივი ფორმა	ვეტერინარი	ტექნიკოსი
დაურეგისტრირებული	341	240
ინდ. მეწარმე	125	66
შპს	46	8

**ცხრილი 1.10.** კერძო პრაქტიკის მქონე პირების სამართლებრივი ფორმის მიხედვით გადანაწილება თბილისის მასშტაბით

სამართლებრივი ფორმა	ვეტერინარი	ტექნიკოსი
დაურეგისტრირებული	59	6
ინდ. მეწარმე	19	6
შპს	23	2

აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით გამოიკვეთა ვეტერინარიის ფაკულტეტის სტუდენტებში. ფერმერთან კონსულტაციების ფარგლებში, გამოვლინდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მათ საკმაოდ მოდერნიზებული, თანამედროვე ტიპის ფერმერული მეურნეობები აქვთ, უმაღლესი სასწავლებლების ვეტერინარიის ფაკულტეტის სტუდენტებს არ სურთ ფერმაში დასაქმება, ისინი ქალაქში დარჩენას და მინაურ ბინადარ ცხოველებთან მუშაობას ამჯობინებენ.

ფერმერები ნაკლებად ინტერესდებიან პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით სამუშაო ძალის მოძიების პროცესში. კვლევის ფარგლებში გამოკითხული ფერმერები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად მათი მცდელობისა, ითანამშრომლონ პროფესიულ სასწავლებლებთან პერსონალის მოძიების მიმართულებით, აღნიშნული თანამშრომლობა ხშირად „კრახით“ სრულდება, რაც გამოწვეულია სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დაბალი ინტერესითა და ზერელე დამოკიდებულებით შესასრულებელი სამუშაოს მიმართ. ფერმერთა ცნობით, პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულებს არ გააჩნიათ საქმის სრულყოფილად შესასრულებლად საჭირო კვალიფიკაცია და მოტივაცია, რაც ნაწილობრივ განპირობებულია დარგის დაბალი პრესტიჟულობით, რის გამოც სტუდენტები ნაკლებად ინტერესდებიან ფერმაში დასაქმების გრძელვადიანი პერსპექტივით. ამასთანავე, ხშირ შემთხვევაში, პროფესიული სასწავლებლებიდან მოყვანილ სტუდენტებს არ აქვთ სათანადო თეორიული ცოდნა, რაც ართულებს მათთან მუშაობას. ყოველივე აქედან გამომდინარე, ვეტერინარიის მიმართულებით მცირეა სპეციალისტთა რაოდენობა და განსაკუთრებით კვალიფიციური სპეციალისტების, რომელთაც აქვთ ფერმაში დასაქმების სურვილი და მოტივაცია.

პრობლემებია სურსათის უვნებლობის კუთხით, როგორც პირველადი წარმოების, ისე გადამამუშავების დონეზე. დღესდღეობით, მწარმოებლებისა და გადამამუშავებლების მიერ სათანადოდ არ ხდება რძეში ვეტერინარული პრეპარატების და სხვა დამაბინძურებელი ნარჩენების კონტროლი. საშუალო ზომის ფერმერები თავიანთი სარეალიზაციო პროდუქტის შემოწმებას ვერ ახდენენ, ვინაიდან ამისათვის საჭიროა ლაბორატორია ან ყოველდღიურად სინჯების აღება და ლაბორატორიაში გადაგზავნა, რაც საკმაოდ ძვირი დაჯდება. ამიტომაც ისინი პირდაპირ აბარებენ პროდუქტს, ხოლო ხარისხის კონტროლის ვალდებულება ჩამბარებულ საწარმოზე გადადის. ასევე, ნაკლებად ხდება რძის პასტერიზაცია

(თერმული დამუშავება) როგორც სათანადო ცნობიერებისა და ინფრასტრუქტურის არ არსებობის, ასევე რძის გამოსავლიანობის შემცირების თავიდან აცილების მიზნით. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ არსებული წინსვლის მიუხედავად, საქართველოს ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი მესაქონლეობის ფერმების ეფექტურ და საერთაშორისო სტანდარტებზე მორგებულ მართვამდე.

მესაქონლეობის სექტორში დასაქმებული და ჩართული ადამიანების კვალიფიკაციის ზრდა და საჭირო უნარების განვითარება ფერმის სწორად მართვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს, რათა წარმოება უფრო ეფექტურად და მომგებიანად იქცეს. აღნიშნულ სექტორში დასაქმებული პირებისთვის საინტერესო და მოთხოვნი კურსების თემატიკის და ფორმატის განსაზღვრის მიზნით ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ მოქმედი ვეტერინარების და ვეტერინარი ტექნიკოსების მეტწილად უფრო დაინტერესებულია ხანმოკლე (1-15-დღიანი) ტრენინგ კურსებით მათთვის რელევანტურ სხვადასხვა თემაზე, ხოლო ვეტერინარიის სტუდენტების უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს ერთ ან მეტ თვიან პრაქტიკისა და სტაჟირების პროგრამებს (*იხ. ცხრილი 1.11, ცხრილი 1.12, ცხრილი 1.13, ცხრილი 1.14*).

**ცხრილი 1.11.** საქართველოს მასშტაბით სპეციალისტების მიერ მოთხოვნილი კურსების მიხედვით გადანაწილება

თემატიკა	ვეტერინარი	ტექნიკოსი	სტუდენტი
არ სურს	162	101	19
ნებისმიერი	154	72	28
ხელოვნური განაყოფიერება	88	79	22
ქირურგია	97	60	53
ინფექციური დაავადებები	162	82	29
ფარმაცია	59	41	11
სხვა	348	94	79

**ცხრილი 1.12.** საქართველოს მასშტაბით სპეციალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების გავლის ფორმის მიხედვით გადანაწილება

კურსის ტიპი	ვეტერინარი	ტექნიკოსი	სტუდენტი
გრძელვადიანი კურსი	22	15	20
პრაქტიკა/სტაჟირება	134	92	95
ტრენინგი	634	255	74
კომბინირებული	91	46	22

**ცხრილი 1.13.** საქართველოს მასშტაბით კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების სასურველი ხანგრძლივობა ვეტ. კატეგორიების მიხედვით

პერიოდი	ვეტერინარი	ტექნიკოსი	სტუდენტი
1 – 5 დღე	297	128	27
5-15 დღე	293	116	59
15-30 დღე	67	36	27
1 თვეზე მეტი	90	80	80
რამდენიც საჭიროა	134	48	18

**ცხრილი 1.14.** საქართველოს მასშტაბით ლიცენზირების კვალიფიკაციების გადამაწილება ვეტ. კატეგორიების მიხედვით

ლიცენზია	ვეტერინარი	ტექნიკოსი	სტუდენტი
არ სურს	49	33	5
კლინიცისტი	500	199	142
სანიტარი	128	26	8
ვეტერინარული ფარმაცია	345	277	68
სხვა	96	15	16

აღნიშნული კვლევის შედეგად გამოიყო შემდგომი მიმართულებები, რომელთა ჭრილშიც ესაჭიროებათ ვეტერინარებს სწავლება და დატრენინგება:

- დაავადებების იდენტიფიცირება, გამოკვლევა და მკურნალობა. მესაქონლეობის სექტორში მოქმედი ვეტერინარები, ხშირ შემთხვევაში, დროულად ვერ ან არასწორად ახდენენ დაავადებათა იდენტიფიცირებას, რაც იწვევს პირუტყვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში, ლეტალური შედეგით სრულდება. აქედან გამომდინარე, სასურველია, ვეტერინარებს ჩაუტარდეთ ტრენინგები, რომლის ფარგლებშიც შეიძენენ ცოდნას თუ როგორ გამოავლინონ ქვეყნის მასშტაბით გავრცელებული და კონკრეტული ჯიშებისათვის დამახასიათებელი დაავადებები, ხოლო დაავადების გამოვლენის შემდგომ როგორ უმკურნალონ მას. ცალკე შეიძლება გამოიყოს მშობიარობის ან საკეისრო კვეთის შემდგომი პირუტყვის მოვლისა და მკურნალობის მეთოდები. ტრენინგების ფარგლებში, მნიშვნელოვანია, ვეტერინარებს მიეწოდოთ ინფორმაცია, უცხოური, მაღალპროდუქტიული ჯიშის პირუტყვი გავრცელებული ეგზოტიკური დაავადებების, მათი გამოვლენისა და მკურნალობის მეთოდების შესახებ. ასევე, ცურის ანთების, მეტაბოლური პრობლემების, ჩლიქის პრობლემების – დერმატიტის, აბსცესების იდენტიფიცირებისა და მკურნალობის ეფექტური მეთოდების ცოდნა. ამასთანავე, მოქმედ ვეტერინარებს ესაჭიროებათ უნარებისა და ცოდნის გაძლიერება პირუტყვისთვის ქირურგიული ოპერაციების განსახორციელებლად. ძირითადად, სამი მიმართულებით არის საჭირო ქირურგიული ჩარევები, ესენია: საკეისრო კვეთა, მაჭივნის არასწორი მდებარეობის ოპერაცია (როდესაც მშობიარობის შემდეგ ძროხას უჭირს ან ვერ ახერხებს საჭმლის მოწელებას), ასევე ხბოებში თიაქრის ოპერაცია, რქის მოწვა/მოჭრა, პაპილომისა და წამონაზარდების რეზექცია.
- ცხოველთა განთავსების პირობების შექმნა და კონტროლი. პირუტყვის მოვლა-შენახვის პირობები პირუტყვის პროდუქტიულობაზე მოქმედ ფაქტორებს შორისაა. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია ფერმაში პირუტყვის განთავსებისა და მოვლის სწორი პირობების შექმნა. პირუტყვის განთავსების პირობებთან დაკავშირებით რეკომენდაციები ძირითადად უცხოური ფირმებისა თუ ექსპერტებისაგან მიიღება. თუმცა, კვალიფიციურმა ვეტერინარმა შეიძლება აღნიშნული პირობებიც განსაზღვროს და გააკონტროლოს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სწავლების ფარგლებში დაიფაროს ცხოველთა კეთილდღეობის, განთავსებისა და მოვლის პირობებთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, მნიშვნელოვანია ფერმერების სწავლება ნახირის მართვასა და მონიტორინგთან დაკავშირებული საკითხების მიმართულებით, რამდენადაც მნიშვნელოვანია მსგავს მდგომარეობაში მყოფი პირუტყვის ერთად განთავსება, შესაბამისი პირობების შექმნა და კონკრეტული კვების რაციონის შემუშავება. მათი აღრევა გამოიწვევს პირუტყვის მწარმოებლურობის შემცირებას, როგორც მეხორცულ, ასევე მერძულ მიმართულებაში. ფერმერთა ნაწილმა აღნიშნა, რომ ხელოვნური განაყოფიერების სერვისის, სწორედ იმიტომ ვერ იყენებენ, რომ სადედე საქონელისა და ხარების ერთმანეთისგან გამოყოფა უჭირთ. შესაბამისად ამ მიმართულებითაც სჭირდებათ ფერმერებს დამატებითი სწავლება.
- ანტიბიოტიკების გამოყენება და წარმოებული პროდუქციის უვნებლობის უზრუნველყოფა. როგორც კვლევის დროს გამოვლინდა, ხშირია პირველად პროდუქტებში ვეტერინარული პრეპარა-

ტების და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენების მოხვედრის შემთხვევები. აქედან გამომდინარე, სასურველია მოხდეს როგორც ვეტერინართა, ასევე ფერმერთა სწავლება, თუ როგორ შეძლონ პროდუქტში ვეტერინარული პრეპარატების და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენების მოხვედრის რისკების შემცირება, რა პერიოდით დააყოვნონ პირუტყვი სანამ მისი რძე ან ხორცი გამოსადეგი იქნება სასურსათოდ მოხმარებისათვის და როგორ შეძლონ პროდუქტებში ანტიბიოტიკებისა თუ სხვა სახის ვეტერინარული პრეპარატების ნარჩენების შემოწმება. ეს ცოდნა გარდა ვეტერინარებისა, ფერმერებისთვისა და რიგითი მუშა ხელისთვისაც საჭიროა, რადგან ვეტერინარი ფერმაში მუდმივად არ იმყოფება და მას მხოლოდ რეკომენდაციების გაცემა შეუძლია.

- ხელოვნური განაყოფიერება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელსაც ვეტერინარები ხშირად ითავსებენ საქართველოს ფერმებში არის ხელოვნური განაყოფიერება. ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანია, რომ ვეტერინარმა სწორად შეძლოს საჭირო გენეტიკური მასალის შერჩევა, განსაზღვროს საქონლის რეპროდუქციული მდგომარეობა, მოახდინოს ახურების სინქრონიზაცია და ზუსტ დროს და ადგილას მოახდინოს გენეტიკური მასალის დაღვრა. ასევე, მნიშვნელოვანია გენეტიკური მასალისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, მისი მოყვანა განაყოფიერებისათვის საჭირო აგრეგატულ მდგომარეობაში და განაყოფიერების დროს ჰიგიენის დაცვა. როგორც პრაქტიკამ აჩვენა, ვეტერინართა და ხელოვნური განაყოფიერების სპეციალისტთა ნაწილი არასწორ დროს არჩევს განაყოფიერებისათვის ან ვერ იცავს პროცედურებს, რაც ამცირებს განაყოფიერების შესაძლებლობას. განაყოფიერების პერიოდულობისა და სინქრონიზაციის სწორი მდგომარეობის შერჩევასა და მკურნალობის მანძილზე არის დაახლოებით 70-80 %, ხოლო სხვა შემთხვევაში 10-20 %, რაც ძალიან დაბალია.
- ექსპოზიციის დანადგართან მუშაობა და სწორი დიაგნოსტიკა. სწორი დიაგნოსტიკა მნიშვნელოვანი პირობაა ხელოვნური განაყოფიერებისთვის საქონლის მოსამზადებლად. ვეტერინართა დიდ ნაწილს არ აქვს საკუთარი ექსპოზიციის აპარატი, რაც ართულებს პირუტყვის დიაგნოსტიკას. კიდევ ერთი პრობლემა მოცემულ ნაწილში არის აპარატთან მუშაობის არასათანადო ცოდნა, რაც იწვევს პირუტყვის მაკობის არასწორ დიაგნოსტიკას.
- სპეციფიური ცოდნა მაღალმწარმოებლური ჯიშების შესახებ. როცა ვსაუბრობთ ვეტერინარის კვალიფიკაციასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე, შეიძლება აქვე აღვნიშნოთ, რომ მოქმედ ვეტერინარს შეიძლება ჰქონდეს კონკრეტული ცოდნა და კვალიფიკაცია ადგილობრივი ჯიშების მოვლასა და მკურნალობასთან დაკავშირებით, თუმცა შედარებით მწირი ცოდნა აქვთ მაღალპროდუქტიული ჯიშების შესახებ. აქედან გამომდინარე, სასურველია ვეტერინარების სწავლება უშუალოდ მაღალპროდუქტიული ჯიშების განთავსების, მოვლის პირობების, გავრცელებული დაავადებების მონიტორინგისა და პრევენციის საკითხებში.
- პირუტყვის მოვლა მოგებად და მოგების შემდგომ პერიოდში. მშრალობის პერიოდში დეკულსა და ფურს სპეციფიური მოვლა, კვლევა და მონიტორინგი ესაჭიროება, ხოლო მოგების შემდგომ უნდა მოხდეს გამოკვლევა და მონიტორინგი, საჭიროების შემთხვევაში მკურნალობაც. მოგებიდან კონკრეტული პერიოდის შემდგომ აუცილებელია საქონლის რეპროდუქციული მდგომარეობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში ჰორმონალური მკურნალობა. მნიშვნელოვანია, რომ ვეტერინარმა შეიმუშაოს კონკრეტული მიდგომები მოცემული პერიოდებისა და მდგომარეობისათვის.
- ქირურგიული ჩარევა. რესპოდენტებთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ ვეტერინარებს ძალიან უჭირთ ქირურგიული ჩარევა. აღნიშნული ჩარევა ძირითადად სამ შემთხვევაში ხდება:
  - საკეისრო კვეთა, თუ ხბო ძალიან დიდი ზომისაა, რაც ხშირია დეკულებში;
  - მაჭყის ოპერაცია, თუ ის არასწორ მდგომარეობაშია და იწვევს გაზების აკუმულირებასა და პირუტყვის შებერილობას;
  - თიაქრის ოპერაცია, რომელიც ხშირია ხბოებში;
 ამის გარდა შესაძლოა ჩარევა მოხდეს ჩლიქის ამპუტაციის შემთხვევაში, პაპილომისა თუ რქის რეზექცია (მოკვეთა) და ა.შ. თუმცა აღნიშნული ოპერაციები არ არის რთული და არც ხშირად ხდება მათი განხორციელება.

მნიშვნელოვანია, რომ ვეტერინარმა იცოდეს სულ მცირე ზემოთ ჩამოთვლილი ოპერაციების სწორად და დროულად განხორციელება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს მიგვიყვანს პირუტყვის მდგომარეობის გაუარესებასა და ჯანმრთელობის პრობლემებთან, უარეს შემთხვევაში კი – საქონლის დაცემამდე.

- ხბოს კეთილდღეობა. მას შემდეგ რაც ფური იმშობიარებს, საჭიროა ხბოს დეზინფექცია, გამოკვლევა და, საჭიროების შემთხვევაში, მისი მკურნალობა, მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ასევე მნიშვნელოვანია ხბოსთვის სწორი გარემო პირობების შექმნა და ასაკის ზრდასთან ერთად მისი კვების რაციონისა და მინერალების კომპლექსის კორექტირება. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია, რომ ვეტერინარმა ზედმიწევნით შეასრულოს ხბოს კეთილდღეობისათვის საჭირო ზომები და პირობები. აღნიშნული მიმართულებით სწავლება ასევე მნიშვნელოვანია ფერმერებისა და უშუალოდ პირუტყვის მოვლის პროცესში ჩართული პერსონალისთვის.
- ცურის დამუშავება, ჩლიქების მოთლა და დეზინფექცია. მნიშვნელოვანია, რომ მეწველი პირუტყვისთვის სწორად მოხდეს ცურის დამუშავება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამან შეიძლება ცურის პრობლემა გამოიწვიოს. ასევე აუცილებელია ჩლიქების ხშირი დეზინფექცია და კონკრეტული პერიოდულობით, დაახლოებით წელიწადში ორჯერ, ჩლიქების მოთლა/დამუშავება (აღნიშნული განსაკუთრებით ეხება მაღალპროდუქტიულ ჯიშებს, რომელთა შენახვა ხდება ინტენსიურ პირობებში და მათი გადაადგილებაც შეზღუდულია). მოცემული საკითხების მნიშვნელობიდან გამომდინარე, სასურველია, რომ ვეტერინარმა ზედმიწევნით სწორად და დროულად შეასრულოს ზემოთ წარმოდგენილი პროცედურები. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საკითხების ცოდნა არა მხოლოდ ვეტერინარისთვის, არამედ ფერმერებისთვისა და საქონლის მოვლის პროცესში ჩართული სპეციალისტებისთვისაც მნიშვნელოვანია, რამდენადაც ისინი უშუალოდ არიან ჩართულნი პირუტყვის მოვლის პროცესში.
- რძის უვნებლობის უზრუნველყოფა. რძის უვნებლობის უზრუნველყოფა არ წარმოადგენს ვეტერინარის უშუალო მოვალეობას, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, სწორედ მათზე მოდის აღნიშნული პასუხისმგებლობა. ამიტომ ვეტერინარმა უნდა იცოდეს რძის გაცივებისა და შენახვის პირობების უზრუნველყოფა, რათა წარმოებული რძე იყოს უსაფრთხო, სუფთა და უვნებელი. ამასთანავე, რძის უვნებლობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და ტრენინგები უნდა განხორციელდეს არა მხოლოდ ვეტერინარებისთვის, არამედ რძის შენახვისა და გადამამუშავების პროცესში ჩართული სპეციალისტებისთვის, ასევე ფერმერებისა და რძის გადამამუშავებელი საწარმოების ხელმძღვანელებისთვის, რადგანაც საშუალო და მცირე ფერმებსა თუ საწარმოებში ხშირად ხელმძღვანელები არიან უშუალოდ რძის შენახვისა და გადამამუშავების პროცესში ჩართულნი.

## განათლების ხელმისაწვდომობა

ვეტერინარიის წინაშე არსებულ მრავალ გამოწვევებს შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს კვალიფიციური ვეტერინარული განათლების მიღების ხელმისაწვდომობა. კერძოდ, გამოიყოფა შემდეგი გამოწვევები: ა) სასწავლო რესურსების ნაკლებობა ქართულ ენაზე; ბ) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი განახლება/გაუმჯობესების საჭიროება; გ) კვალიფიციური პედაგოგების დეფიციტი; დ) პრაქტიკული სწავლების განხორციელებასთან დაკავშირებული სირთულეები.

სასწავლო რესურსების ნაკლებობა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ლაბორატორიების) მოწყობა-აღჭურვა დიდ ფინანსურ რესურსს უკავშირდება. საგანმანათლებლო დაწესებულებების განცხადებით, ისინი მუდმივ რეჟიმში ზრუნავენ აღნიშნულის გასაუმჯობესებლად, თუმცა ხშირად, რესურსების სიმწირის გამო, სასურველი შედეგის მიღწევა ვერ ხდება.

ვეტერინართა დასაქმების თვალსაზრისით, შრომის ბაზარი აწყდება გარკვეულ პრობლემებს. უპირველეს ყოვლისა იმ მხრივ, რომ ნელი ტემპით ხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულებების (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები (უსდ) და კოლეჯები) ქსელის გაფართოება.

სწორედ ამ პრობლემაზე იყო ყურადღება გამახვილებული აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მიერ საქართველოს შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მიწოდების შესახებ ჩატარებული კვლევის ანგარიშში (2011), რომლის მიხედვითაც ზოოტექნიკოსი და ვეტერინარი სპეციალისტი შეტანილია ყველაზე „დეფიციტური“ და „მოთხოვნადი“ 40 პროფესიის კადრების მომზადების რიცხვში<sup>22</sup>. განსაკუთრებით იყო ხაზი გასმული პროფესიული განათლების განვითარებასა და ხელშეწყობაზე. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროიდან დღემდე გაიხსნა ახალი კოლეჯები, პროფესიულ განათლებაზე მოთხოვნა არ კარგავს აქტუალობას. ასევე, უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ვეტერინარული პროგრამების მომზადების ხელშეწყობისათვის საქართველოს სსიპ – განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნულმა ცენტრმა შეიმუშავა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ვეტერინარიის დარგობრივი მახასიათებელი, რამაც მოტივაცია მისცა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მსურველებს შეემუშავებინათ ახალი პროგრამები.

ამჟამად უმაღლესი განათლებით კვალიფიციური ვეტერინარი სპეციალისტის მომზადება ხდება ხუთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (აგრარული უნივერსიტეტი<sup>23</sup>, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი<sup>24</sup>, ვროპის უნივერსიტეტი<sup>25</sup>, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი<sup>26</sup>, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი<sup>27</sup>) და პროფილის შესაბამისი კოლეჯების<sup>28</sup> მიერ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

ერაზმუს+ ინსტიტუციური განვითარების პროექტში „სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტების განვითარება საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ახალგაზრდა ვეტერინარიის პროფესიონალების მომზადების მიზნით“ (ERASMUS-EDU-2022-CBHE-STRAND 1-101082479) მონაწილე უნივერსიტეტების ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავებულია საქართველოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის, ვეტერინარიის სფეროში არსებული ძირითადი გამოწვევებისა და განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით, ამ სფეროში მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და საერთაშორისო დონეზე არსებული საუკეთესო პრაქტიკის მხედველობაში მიღებით. კერძოდ, გათვალისწინებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ვეტერინარიაში შემუშავებული უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნები (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება №09, 03.01.2018), უნივერსიტეტების მისია, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები, უცხოეთისა და ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებების საუკეთესო პრაქტიკა (ბელგიის გენტის უნივერსიტეტი, მილანის უნივერსიტეტის სავეტერინარო მედიცინის ერთსაფეხურიანი სამაგისტრო პროგრამა, ესტონეთის სიცოცხლის მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ლატვიის სიცოცხლის მეცნიერებათა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, შვედეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ჯორჯიის უნივერსიტეტის სავეტერინარო მედიცინის კოლეჯი, კალიფორნიის უნივერსიტეტის) ვეტერინარიის მიმართულებით არსებული სწავლებისა და სწავლის სისტემები, რომლებიც ახორციელებენ სწავლებას ვეტერინარიის მიმართულებით, აგრეთვე, დარგის სპეციფიკა, შრომის ბაზრისა და პოტენციური დამსაქმებლების მოთხოვნები (იხ. ცხრილი 1.15).

22 <https://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=Content&ID=7932b932-0eac-4a14-8ebd-9ec6d2409352>

23 <https://agruni.edu.ge/ge/programs/bachelor/veterinary/?program=program>

24 <https://sjuni.edu.ge>

25 <https://eu.edu.ge/ge/about-faculty-veterinary>

26 <http://www.zssu.ge/zssu2/node/1564>

27 <https://ege.ge/ka/deqars/1324/show>

28 <https://vet.ge>

**ცხრილი 1.15.** ერასმუს+ ინსტიტუციური განვითარების პროექტში „სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტების განვითარება საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ახალგაზრდა ვეტერინარიის პროფესიონალების მომზადების მიზნით“ საქართველოდან ჩართული უსდ-ების ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების აღწერა

სასწავლო პროგრამის სახელწოდება:	ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
<b>მისანიჭებელი კვალიფიკაცია:</b>	<b>ვეტერინარიის მაგისტრი</b>
დარგი:	ვეტერინარია
პროფესია:	რეგულირებადი
კოდი:	ვეტერინარია – ISCED-F-ის კოდი: 0841
<b>შპს ევროპის უნივერსიტეტი</b>	
აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება	<a href="https://eqe.ge/ka/deqars/665/show">https://eqe.ge/ka/deqars/665/show</a>
ECTS კრედიტები	300 ECTS
I ზოგადი/თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები	65 ECTS
II. ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები	178 ECTS
III. ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი „პრაქტიკა“	24 ECTS
IV. ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი	14 ECTS
V. ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები	9 ECTS
VI. ზოგადი/თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები	10 ECTS
<b>სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი</b>	
აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება	<a href="https://eqe.ge/ka/decisions/10093/show">https://eqe.ge/ka/decisions/10093/show</a>
ECTS კრედიტები	308 ECTS
<b>ზოგადი და საბაზისო განათლება თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსებით – 77 ECTS (საერთო კრედიტების 25%), მათ შორის:</b>	
ზოგადი განათლება თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსებით	34 ECTS
საბაზისო განათლება	43 ECTS
<b>სპეციალობა ვეტერინარიის განათლება – ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები – 231 ECTS (საერთო კრედიტების 75%), მათ შორის:</b>	
საბაზისო დარგობრივი მეცნიერებები	54 ECTS
კლინიკური მეცნიერებები	85 ECTS
ცხოველების მომშენებლობა	18 ECTS
სურსათის ჰიგიენა და კონტროლი	16 ECTS
ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები	14 ECTS
სპეციალობის (დარგობრივი) პრაქტიკა	24 ECTS
სამაგისტრო ნაშრომი	20 ECTS



სსიპ – ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	
აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება	<a href="https://eqe.ge/ka/deqars/815/show">https://eqe.ge/ka/deqars/815/show</a>
ECTS კრედიტები	308 ECTS
<b>თავისუფალი სავალდებულო და საბაზისო განათლება, თავისუფალი არჩევითი სასწავლო კომპონენტით – 77 ECTS (საერთო კრედიტების 25%), მათ შორის:</b>	
თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსები	40 ECTS
თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები	7 ECTS
საბაზისო განათლება	30 ECTS
<b>ვეტერინარიის სწავლის სფეროს შესაბამისი მინარსის სავალდებულო/არჩევითი სასწავლო კურსები და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი – 231 ECTS (საერთო კრედიტების 75%), მათ შორის:</b>	
პრეკლინიკური მეცნიერებები	45 ECTS
კლინიკური მეცნიერებები	98 ECTS
ცხოველების მომშენებლობა	19 ECTS
ცხოველური სურსათის ჰიგიენა და კონტროლი	15 ECTS
<b>სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები 14 ECTS, მათ შორის:</b>	
ვეტერინარიის მიმართულებიდან	8 ECTS
მეცხოველეობის მიმართულებიდან	6 ECTS
სპეციალობის (დარგობრივი) პრაქტიკა	20 ECTS
სამაგისტრო ნაშრომი	20 ECTS

აღსანიშნავია, რომ 2023 წლიდან სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამოქმედდა „ვეტერინარიის“ სადოქტორო პროგრამა<sup>29</sup>. ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამაზე სწავლების მინიმალური ხანგრძლივობა 3 წელს (ექვსი სემესტრი) შეადგენს და მოიცავს ორ კომპონენტს: სასწავლო კომპონენტი – 50 ECTS (1 ECTS 25 სთ.) და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი.

ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამა ძირითადად ეფუძნება გამოყენებით კლინიკურ კვლევებს შემდეგი მიმართულებით: ინფექციური დაავადებები, თერაპია და პროფილაქტიკა; ცხოველური წარმოების სურსათის უვნებლობა; პათოლოგია, ონკოლოგია და მორფოლოგია.

კურსდამთავრებულებს ენიჭებათ ვეტერინარიის დოქტორის აკადემიური ხარისხი და უფლება ექნებათ იმუშაონ სავეტერინარო და სამედიცინო მიმართულების სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, სამეცნიერო ცენტრებში, საღიაგნოსტიკო ლაბორატორიებსა და ინსტიტუტებში; საგანმანათლებლო დაწესებულებებში; შესაბამის სახელმწიფო უწყებებში; ფარმაცევტულ საწარმოებში; სავეტერინარო კლინიკებსა და ლაბორატორიებში; მეცხოველეობისა და მეფრინველეობის საწარმოებსა და ფაბრიკებში.

ვეტერინარიის დოქტორს შეუძლია დაიკავოს მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი ნებისმიერი თანამდებობა, რომელიც დადგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და დაწესებულებათა სამტატო ნომენკლატურით.

ვეტერინარიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, შემუშავებისა და შემდგომი განვითარების პროცესისთვის 2022 წელს ჩატარდა შრომის ბაზრის კვლევა ვეტერინარიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში (სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, შპს ევროპის უნივერსიტეტი, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი) დასაქმებუ-

29 <https://eqe.ge/ka/deqars/848/show>

ლი პირების ასაკობრივი მაჩვენებლების შესახებ და ვეტერინარიის საბაზო განათლების აკადემიური ხარისხის მქონე დასაქმებულ პირთა ასაკობრივი მაჩვენებლების შესახებ. სახელობითი აღრიცხვით, ზემოთ აღნიშნულ დაწესებულებებში დასაქმებულია ჯამურად 51 პერსონალი. ასაკობრივი მაჩვენებლების იდენტიფიცირება განისაზღვრა შემდეგი ფორმულირებით (იხ. ცხრილი 1.16):

**ცხრილი 1.16.** უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში ვეტერინარიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირების ასაკობრივი განაწილება

ასაკი	რიცხვი	პროცენტი
70 < წელი	12	23.53%
60 – 70 წელი	11	21.57%
50 – 60 წელი	16	31.37%
40-50 წელი	5	9.80%
30-40 წელი	7	13.73%

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აგრეთვე სეს-ის ბაზაზე ვეტერინარიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების საკითხის განხილვამ კიდევ ერთხელ წამოწია საკითხი ქვეყანაში კვალიფიციური პრაქტიკოსი ვეტერინარებისა და სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულებებში კადრების დეფიციტის შესახებ. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სეს-სა და შეხვედრაში ჩართული მონაწილეების მხრიდან გამოიხატა სრული მხარდაჭერა და მზაობა პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში დახმარების კუთხით.

დამსაქმებლებთან ჩატარებულმა კვლევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამის საჭიროება ვეტერინარიის დარგში სპეციალისტებთან (პრაქტიკოსი ვეტერინარების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგთა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მეცნიერ-თანამშრომელთა) დაკავშირებული დეფიციტის აღმოსაფხვრელად.

უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში ვეტერინარიის დარგში, ვეტერინარიის დოქტორის აკადემიური ხარისხის უდიდესი საჭიროება რჩევის სახით გამოკვეთა საერთაშორისო ექსპერტმა, პროფესორმა ტომას ტიირატსმა ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესში, რაც უთუოდ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დასკვნის საფუძველია ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამის სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში განხორციელების აუცილებლობის შესახებ.

## დასკვნები და რეკომენდაციები

განალიზებული მასალის საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი დასკვნების და რეკომენდაციების გაკეთება:

- საქართველოს შრომის ბაზარზე სპეციალისტებზე მოთხოვნის საკითხების შესწავლის ანალიზი ცხადყოფს, რომ ვეტერინარული სერვისის განხორციელების საქმეში შეინიშნება უმაღლესი განათლების მქონე ვეტერინარი კადრების მწვავე დეფიციტი და მომდევნო 7-10 წელიწადში ვეტერინართა მაღალი საშუალო ასაკის გამო მოსალოდნელია მათი რიცხვის მკვეთრი შემცირება;
- 2015-2027 წლების ევროკავშირთან საკანონმდებლო მიახლოების გეგმა მიზნად ისახავს საკანონმდებლო ბაზის დახვეწას და დანერგვას, რომელიც ხელს შეუწყობს სავეტერინარო მომსა-

ხურების თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე წარმართვას, ეპიდემიოლოგიურ/კეთილსაიმედოობის მიღწევას და ცხოველების ჯანმრთელობის უზრუნველყოფას;

- ვეტერინარიის წინაშე მდგარი ახალი გამოწვევების გადაჭრისათვის აუცილებელია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი სავეტერინარო საგანმანათლებლო პროგრამით მომზადებული კვალიფიციური კადრები, რომლებსაც აქვთ საზოგადოებრივ, თუ პროფესიულ საქმიანობაში საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების და კარიერული წინსვლის უნარები;
- უმაღლესი განათლების ვეტერინარი სპეციალისტების მომზადებას საქართველოში ემსახურება მხოლოდ ხუთი უსდ, რომელთა პოტენციური შესაძლებლობა უზრუნველყოფს შრომითი ბაზრის ვეტერინარულ კადრებზე მოთხოვნების დეფიციტის თანდათანობით შევსებას;
- ვეტერინარიის წინაშე მდგარი გამოწვევების გადაჭრის და ვეტერინარ სპეციალისტებზე გაზრდილი მოთხოვნების დაკმაყოფილების აუცილებლობა განაპირობებს ვეტერინარიის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მოთხოვნადობას;
- ვეტერინარიის დარგში რეფორმების განხორციელება ხელს შეუწყობს ვეტერინარიის კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას. დაინერგება ვეტერინართა რეგისტრაცია, ლიცენზირება და ავტორიზაცია, რომლის შემდეგ მოხდება სახელმწიფო ვეტერინარული ღონისძიებების დელეგირება კერძო ვეტერინარებზე. ცხოველთა ვაქცინაცია, საკვლევი ნიმუშების აღება და სხვა პროცედურები, რომელსაც ახლა სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო (სეს) ახორციელებს, გადავა კერძო ვეტერინარი სპეციალისტების ხელში. ღონისძიება ასახული იქნება სააგენტოს მონაცემთა ბაზაში. ვეტერინართა ანაზღაურება მოხდება ამ მონაცემთა ბაზაში შეტანილი სამუშაოს ღირებულების დამატებით, რაც გაზრდის სპეციალისტთა სარგოებს და გააძლიერებს ახალგაზრდების ინტერესს ვეტერინარიის დარგისადმი სწრაფვისაკენ. ამჟამად მუშავდება ახალი კანონმდებლობა, რომლის განხორციელებაც შექმნის დამატებით სამუშაო ადგილებს სხვადასხვა ობიექტში;
- მეცხოველეობის განვითარებასთან ერთად, ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ექსპორტი გაიზარდა. ევროპის ქვეყნებს შორის დაიდო თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება, რის საფუძველზეც ამოქმედდება საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტების მოთხოვნები, აქედან გამომდინარე, პროდუქციის წარმოება, გადამუშავების და რეალიზაციის ყველა რგოლში გაძლიერდება ვეტერინარული ზედამხედველობის ფუნქციები. შესაბამისად, ქვეყანაში გაჩნდება კერძო ვეტერინარ სპეციალისტებზე მეტი მოთხოვნა;
- მოკვლევის ფარგლებში გამოიკვეთა აგრარულ (მათ შორის ვეტერინარიის) და გარემოს დაცვით სფეროში სპეციალისტების დეფიციტის გამომწვევი რამდენიმე მიზეზი, რომლებიც ორ ძირითად ჯგუფად შეიძლება დაიყოს: 1) დეფიციტური პროფესიების (განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის მიმართულებით) დაბალი მიზიდველობა და ინფორმაციის ნაკლებობა და 2) ხარისხიანი დასაქმების<sup>30</sup> შეზღუდული პერსპექტივა და სწავლიდან სამუშაოზე გადასვლის (school-to-work transition) შეზღუდული შესაძლებლობები. ამასთანავე, სწავლების ხარისხი დასახელდა როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რაც, ცხადია კიდევ უფრო აუარესებს აღნიშნული პროფესიების მიმართულებით მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებულ დისბალანსს და კიდევ უფრო ამწვავებს დეფიციტის პრობლემას;
- მოკვლევის ფარგლებში შემოსული მოსაზრებებიდან ირკვევა, რომ დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობები ერთი-ერთი მთავარი მიზეზია, რის გამოც ახალგაზრდები ნაკლებად ინტერესდებიან დეფიციტური პროფესიებით.

30 შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტის მიხედვით, „ხარისხიანი დასაქმება“ (decent employment) გულისხმობს სამუშაო ადგილებს, რომელიც დასაქმებულს სთავაზობს შესაბამის ანაზღაურებას და უზრუნველყოფს მას სოციალური და დასაქმების გარანტიებით.

## თავი 2. ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური და პროფესიული განვითარების საჭიროებების კვლევა

მოცემულ თავში წარმოდგენილია ერაზმუს+ ინსტიტუციური განვითარების პროექტში „სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტების განვითარება საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ახალგაზრდა ვეტერინარიის პროფესიონალების მომზადების მიზნით“ (ERASMUS-EDU-2022-CBHE-STRAND 1-101082479) ჩართული საქართველოს სამი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (ევროპის უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი) ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი, რომლის მიზანიც იყო მათი აკადემიური და პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრა სწავლების, კვლევისა და კარიერული ზრდის მიმართულებით და მიღებული შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა.

### კვლევა

კვლევა ოთხ თანმიმდევრულ ეტაპად განხორციელდა: მოსამზადებელი ეტაპი (კითხვარის შემუშავება), სველე სამუშაოები (გამოკითხვა), კვლევის მონაცემების სტატისტიკური დამუშავება, შედეგების ანალიზი და ანგარიშის მომზადება.

#### მოსამზადებელი ეტაპი: კითხვარის შემუშავება

მოსამზადებელი ეტაპი მოიცავდა საკვლევი ინსტრუმენტის – კითხვარის – შემუშავებას.

აღნიშნულ ეტაპზე შემუშავებულ იქნა კვლევის სამიზნე ჯგუფისთვის შესაბამისი დემოგრაფიული მონაცემების ბლოკი. დემოგრაფიული ბლოკი რვა (8) ცვლად მოდერატორს აერთიანებს: ასაკი, სქესი, უსდ, სამსახურებრივი პოზიცია, აკადემიური ხარისხი (დარგი), უმაღლესი აკადემიური ხარისხი (ბაკალავრი, მაგისტრი, დოქტორი), სასწავლო/სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება (წლებში), დარგი/მიმართულება. ასევე, განსაზღვრულ იქნა კვლევის მიზნობრიობისათვის ოთხი (4) რელევანტური ფაქტორი და თითოეული ფაქტორისთვის შეიქმნა შეკითხვების/დებულებების შესაბამისი ბლოკი:

**ბლოკი 1.** შრომითი კმაყოფილება – აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი შრომითი კმაყოფილება უსდ-ს მიერ შეთავაზებული სამუშაო პირობებით. აღნიშნული ბლოკისთვის განისაზღვრა რვა (8) დებულება.

**ბლოკი 2.** პროფესიული განვითარების საჭიროება სწავლების მიმართულებით – აკადემიური და მოწვეული პერსონალის საჭიროებები სწავლების ეფექტურად განხორციელებისთვის. აღნიშნული ბლოკისთვის განისაზღვრა თერთმეტი (11) დებულება.

**ბლოკი 3.** პროფესიული განვითარების საჭიროება კვლევის მიმართულებით – აკადემიური და მოწვეული პერსონალის საჭიროებები სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეფექტური და ხარისხიანი წარმართისთვის. აღნიშნული ბლოკისთვის განისაზღვრა ათი (10) დებულება.

**ბლოკი 4.** პროფესიული განვითარების საჭიროება კარიერის დაგეგმვის მიმართულებით – აკადემიური და მოწვეული პერსონალის საჭიროებები კარიერის განვითარებისთვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების გასაძლიერებლად. აღნიშნული ბლოკისთვის განისაზღვრა ათი (10) დებულება.

## ფაქტორების ბლოკების აღწერა



1

### შრომითი კმაყოფილება

- შრომითი კმაყოფილება სამუშაო დავალებებთან მიმართებაში
- შრომითი კმაყოფილება გარე ასპექტებთან დაკავშირებულ, არასამუშაო დავალებებთან მიმართებაში
- სამუშაო გუნდის მნიშვნელოვან წევრად ყოფნის კმაყოფილება
- სამეცნიერო აქტივობებში ჩართვის მოტივაცია
- ხელფასის შესაბამისობა შესრულებულ სამუშაოსთან
- აკადემიურ თანამდებობაზე განვითარების შესაძლებლობა
- კარიერული განვითარების შესაძლებლობა
- ადმინისტრაციულ თანამდებობაზე განვითარების შესაძლებლობა



2

### სწავლება

- სასწავლო მოლოდინების სტუდენტებთან ერთად ჩამოყალიბება
- სტუდენტის საჭიროებების შეფასება
- კონსტრუქციული უკუკავშირის/შეფასების მიცემა
- სწავლება დიდ ჯგუფებში; საკარო გამოსვლები
- სწავლება მცირე ჯგუფებში
- ტექნოლოგიების გამოყენება სწავლებაში
- სტუდენტების მენტორობა
- ზრდასრული სტუდენტებთან შემაობა; მათი სწავლის სტილის ცოდნა
- მშპ სტუდენტების იდენტიფიკაცია
- სასწავლო გეგმის შემუშავება
- საგამოცდო ტესტების შემუშავება



3

### კვლევა

- საგრანტო კვლევითი განაცხადის მომზადება
- სამეცნიერო სტატიის/მშრომის წერა
- კვლევის თანამედროვე მეთოდები
- მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი
- კვლევის ეთიკის საკითხები
- საკვლევი თემის შერჩევა
- მშრომის/კვლევის წარდგენა კონფერენციებზე (პრეზენტაციის უნარი)
- კლინიკური ქვისების აღწერა
- სამეცნიერო სტატიების რეცენზირება
- მეცნიერული აქტივობების გაზრდა



4

### კარიერის დაგეგმვა

- ლიდერობის უნარები
- მენტორობის განვითარება
- გუნდის მართვის უნარი
- ფროის უფლებური მართვა
- კონფლიქტების მართვა
- სტრესის მართვა
- ემოციური ინტელექტის უნარები
- ურთიერთობების მართვა
- კარიერის განვითარების გეგმის შედგენა
- CV-ის მომზადება/გააქტივობა

შესაბამისად, კითხვარის ანკეტა შედეგება ხუთი (5) ბლოკისგან და ჯამში ორმოცდაშვიდ (47) დებულებას/შეკითხვას აერთიანებს. გარდა ამისა, თითოეული ბლოკი (გარდა დემოგრაფიული მონაცემების ბლოკისა) შეიცავდა დამატებით დია პასუხის ველს, სადაც რესპონდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაემატებინათ ახალი დებულება/შეკითხვა და მასთან მიმართებაში საკუთარი პასუხი დაეფიქსირებინათ.

თითოეულ ბლოკში (გარდა დემოგრაფიული მონაცემების ბლოკისა) წარმოდგენილ დებულებებს რესპონდენტები 5-ქულიანი სკალის მიხედვით აფასებდნენ, სადაც „1“ ნიშნავდა „სრულად არ ვეთანხმები/სრულად არ ვსაჭიროებ/შემიძლია სხვებს ვასწავლო“ და „5“ ნიშნავდა „სრულად ვეთანხმები/ძალზედ ვსაჭიროებ განვითარებას“.

გარდა საკუთარი ცოდნის, უნარებისა და საჭიროებების შეფასებისა, რესპონდენტები ასევე აფასებდნენ ზემოაღნიშნულ ბლოკებში (გარდა დემოგრაფიული მონაცემების ბლოკისა) წარმოდგენილი დებულებების პრიორიტეტულობას ფაკულტეტის განვითარების მიმართულებით. კერძოდ, თითოეული დებულება ფასდებოდა „დაბალი“, „საშუალო“ და „მაღალი“ პრიორიტეტის მქონედ (1 = „დაბალი“, 2 = „საშუალო“ და 3 = „მაღალი“).

### საკვლე სამუშაოები: გამოკითხვის ჩატარება

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა საქართველოს სამი უსდ-ს (ევროპის უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი).

ტი) ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

რესპონდენტებმა კვლევაში მონაწილეობა ონლაინ გამოკითხვის (Google Forms-ში აწყობილი ანკეტა) მეთოდით მიიღეს. ანკეტა რესპონდენტებთან ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაზიარდა (იხ. დანართი 1). რესპონდენტების გამოკითხვაში მონაწილეობა ნებაყოფლობითი და ანონიმური იყო.

კვლევის მონაცემების სტატისტიკური ანალიზი განხორციელდა სტატისტიკური პროგრამა SPSS-ის მეშვეობით.

## კვლევის მონაცემების სტატისტიკური ანალიზი და შედეგები

**პირველ ეტაპზე**, ანკეტის დემოგრაფიული მონაცემების ბლოკის ფაქტორების ანალიზისთვის განხორციელდა მონაცემთა სიხშირული ანალიზი, ხოლო 1-4 ბლოკების დებულებების ანალიზისთვის მონაცემთა სიხშირულ ანალიზთან ერთად ჩატარდა არითმეტიკული საშუალოს ანალიზი. აღნიშნული სტატისტიკური ანალიზის შედეგები წარმოდგენილია ინდივიდუალურად თითოეული ბლოკისთვის.

### დემოგრაფიული მონაცემების ბლოკის შედეგები

ჯამში, ონლაინ გამოკითხვაში მონაწილეობა ზემოაღნიშნული სამი უსდ-ს 53 აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა მიიღო, რაც გამოკითხვის ჩატარების დროისთვის (2023 წლის მაისი – ივნისი) სამი უსდ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის 37% შეადგენდა<sup>1</sup>: ევროპის უნივერსიტეტი – 21 პერსონალი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი – 16 პერსონალი, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი – 16 პერსონალი. რესპონდენტების სამსახურებრივი პოზიციით გადანაწილების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილი 2.1 სახით.

**ცხრილი 2.1.** რესპონდენტების რაოდენობა უსდ-ების მიხედვით

	პროფესორი	ასოცირებული პროფესორი	ასისტენტი პროფესორი	ასისტენტი	მონვეული ლექტორი	რესპონდენტების რაოდენობა	რაოდენობა %-ში
ევროპის უნივერსიტეტი	5	9	0	0	7	21	39.6%
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	6	5	0	0	5	16	30.2%
შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	0	5	1	0	10	16	30.2%
სულ	11	19	1	0	22	53	100 %

<sup>1</sup> გამოკითხვის ჩატარების პერიოდში (2023 წლის მაისი – ივნისი), პარტნიორი სამი უსდ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჯამური რიცხვი 143 შეადგენდა: ევროპის უნივერსიტეტი – 27 აკადემიური და 31 მოწვეული პერსონალი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი – 22 აკადემიური და 20 მოწვეული პერსონალი, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი – 20 აკადემიური და 23 მოწვეული პერსონალი.

რესპონდენტთა გენდერული განაწილება შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხულთა 47.2% (N=25) არის მამაკაცი, ხოლო 52.8% (N=28) არის ქალი (იხ. ცხრილი 2.2).

**ცხრილი 2.2.** რესპონდენტების გენდერული ნიშნით განაწილება

	რესპონდენტების რაოდენობა	რაოდენობა %-ში
ქალი	28	52.8%
კაცი	25	47.2%
სულ	53	100 %

რესპონდენტთა ასაკობრივი განაწილება შემდეგნაირად გამოიყურება: რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი – 32.1% (N=17) 61-70 წლის ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება; 51-60 წლის და 71 და მეტი წლის ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტები თანაბრად არიან წარმოდგენილნი – თითოეული 18.9%-ით (N=10) თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში). ყველაზე ნაკლები რესპონდენტი 31-40 წლის და 41-50 წლის ასაკობრივ ჯგუფებშია – 13.2% (N=7) და 17% (N=9). უსდ-ების მიხედვით რესპონდენტთა გადანაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით იხილეთ ცხრილი 2.3-ში.

**ცხრილი 2.3.** რესპონდენტების გადანაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

	ასაკი					სულ
	31-40	41-50	51-60	61-70	71<	
ევროპის უნივერსიტეტი	3 5.7%	3 5.7%	3 5.7%	6 11.3%	6 11.3%	21 39.6%
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2 3.8%	2 3.8%	5 9.4%	5 9.4%	2 3.8%	16 30.2%
შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	2 3.8%	4 7.5%	2 3.8%	6 11.3%	2 3.8%	16 30.2%
სულ	7 13.2%	9 17.0%	10 18.9%	17 32.1%	10 18.9%	53 100.0%

სამსახურებრივი პოზიციის მიხედვით, გამოკითხულთა უმრავლესობა მოწვეული ლექტორის პოზიციას იკავებს (22); რესპონდენტების დარჩენილი ნაწილი კი შემდეგ აკადემიურ პოზიციებს იკავებს: პროფესორი – 20.8% (N=11), ასოცირებული პროფესორი – 35.8% (N=19), ასისტენტ-პროფესორი – 1.9% (N=1) (იხ. ცხრილი 2.4).

**ცხრილი 2.4.** რესპონდენტთა განაწილება სამსახურებრივი პოზიციის მიხედვით

	სამსახურებრივი პოზიციის განაწილება				სულ
	პროფესორი	ასოცირებული პროფესორი	ასისტენტ პროფესორი	მონაწილე	
ევროპის უნივერსიტეტი	5 9.4%	9 17%	0 0%	7 13.2%	21 39.6%
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	6 11.3%	5 9.4%	0 0%	5 9.4%	16 30.2%
შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	0 0%	5 9.4%	1 1.9%	10 18.9%	16 30.2%
<b>სულ</b>	<b>11 20.8%</b>	<b>19 35.8%</b>	<b>1 1.9%</b>	<b>22 41.5%</b>	<b>53 100%</b>

გამოკითხული ვეტერინარიის სამაგისტრო ინტეგრირებული პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მონაწილე პერსონალის განაწილება აკადემიური ხარისხის დარგის მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება: რესპონდენტთა 49.1% (N=26) ფლობს აკადემიურ ხარისხს ვეტერინარიის დარგში, ხოლო 50.9% (N=27) ხარისხი სხვა სამეცნიერო დარგში აქვს მოპოვებული (იხ. ცხრილი 2.5). სხვა დარგის წარმომადგენლები მოიცავენ ზუსტ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, ინგლისურ ფილოლოგიას, ეკონომიკას, ისტორიას, ზოოლოგიას, კომპიუტერულ მეცნიერებებს და განათლებას. დოქტორის და მასთან გათანაბრებული ხარისხი მოპოვებული აქვს რესპონდენტთა 75.5% (N=40) (იხ. ცხრილი 2.6).

**ცხრილი 2.5.** რესპონდენტთა განაწილება აკადემიური ხარისხის დარგის მიხედვით

	აკადემიური ხარისხი (დარგი)		სულ
	აკადემიური ხარისხი ვეტერინარიაში	აკადემიური ხარისხი სხვა დარგში	
ევროპის უნივერსიტეტი	11 20.8%	10 18.9%	21 39.6%
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	11 20.8%	5 9.4%	16 30.2%
შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	4 7.5%	12 22.6%	16 30.2%
<b>სულ</b>	<b>26 49.1%</b>	<b>27 50.9%</b>	<b>53 100.0%</b>



**ცხრილი 2.6.** რესპონდენტთა განაწილება უმაღლესი აკადემიური ხარისხისა და დარგის მიხედვით

	აკადემიური ხარისხი (დარგი)		
	აკადემიური ხარისხი ვეტერინარიაში	აკადემიური ხარისხი სხვა დარგში	სულ
მაგისტრი (მასთან გათანაბრებული) ხარისხი	4 7.5%	9 17.0%	13 24.5%
დოქტორის ხარისხი შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	22 41.5%	18 34.0%	40 75.5%
სულ	26 49.1%	27 50.9%	53 100.0%

სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილების მიმართულებით, რესპონდენტთა დიდ უმრავლესობას – 67.9% (N=36) – ოცი და მეტ წლიანი გამოცდილება აქვთ სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის მიმართულებით; ხოლო რესპონდენტთა 11.3% (N=6) 11-15 წლიანი გამოცდილება აქვთ. ყველაზე მცირე გამოცდილება სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიმართულებით (5 წელი და ნაკლები) დააფიქსირა რესპონდენტთა 9.4% (N=5) (იხ. ცხრილი 2.7).

**ცხრილი 2.7.** რესპონდენტთა გადანაწილება სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილების მიმართულებით

		გამოცდილება (წლები)					სულ
		0-5 წელი	6-10 წელი	11-15 წელი	16-19 წელი	20 და მეტი წელი	
პროფესორი	რაოდენობა	0	0	0	0	11	11
	%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	20.8%	20.8%
ასოცირებული პროფესორი	რაოდენობა	1	0	0	3	15	19
	%	1.9%	0.0%	0.0%	5.7%	28.3%	35.8%
ასისტენტ პროფესორი	რაოდენობა	0	0	0	1	0	1
	%	0.0%	0.0%	0.0%	1.9%	0.0%	1.9%
მონწვეული ლექტორი	რაოდენობა	4	2	6	0	10	22
	%	7.5%	3.8%	11.3%	0.0%	18.9%	41.5%
სულ	რაოდენობა	5	2	6	4	36	53
	%	9.4%	3.8%	11.3%	7.5%	67.9%	100.0%

### ბლოკი 1: შრომითი კმაყოფილების კვლევის შედეგები

ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული და აკადემიური განვითარების მამოტივირებელ ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს მათი კმაყოფილება დამსაქმებელი უსდ-ს მიერ შეთავაზებული შრომითი პირობებით, მათ შორის, პროფესიული და კარიერული ზრდის სხვადასხვა ხელშემწყობი მექანიზმით.

ამრიგად, პირველ ბლოკში წარმოდგენილი იყო შემდეგი რვა (8) დებულება, რომლებიც ემსახურებოდა რესპონდენტთა კმაყოფილების კვლევას მათ უსდ-ში არსებულ სამუშაო დავალებებთან, გარე ასპექტებთან დაკავშირებულ არასამუშაო დავალებებთან, გუნდურ მუშაობასთან, სამეცნიერო აქტივობებში ჩართვის მოტივაციასთან, შრომით ანაზღაურებასთან მიმართებაში.

ამ მიზნით, მოცემულ ბლოკში რესპონდენტების მიერ მოხდა წარმოდგენილი რვა დებულებასთან მიმართებაში საკუთარი კმაყოფილების შეფასება 5-ქულიანი სკალის მიხედვით, სადაც „1“ ნიშნავდა „დაბალს“ და „5“ – „უმაღლესს“.

აღნიშნული ბლოკის მონაცემთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ შრომითი კმაყოფილების მიმართულებით წარმოდგენილი ყველა დებულება რესპონდენტების უმრავლესობის მიერ დადებითად, უმაღლესი ქულით შეფასდა: ყველა დებულების ქულათა საშუალო 4.094-4.547 ქულათა დიაპაზონშია. თითოეული დებულების შეფასების შედეგების თანახმად, ყველაზე დადებითად რესპონდენტების მიერ სამუშაო გუნდის მნიშვნელოვან წევრად ყოფნა (ქულათა საშუალო = 4.54, მაქს = 1, მინ = 5, SD = .8450) და სამუშაო დავალებები (ქულათა საშუალო = 4.47, მინ = 2, მაქს = 5, SD = .7495) შეფასდა, ხოლო ყველაზე დაბალი შეფასება ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებული ადმინისტრაციულ თანამდებობაზე განვითარების შესაძლებლობამ მიიღო (ქულათა საშუალო = 4.037, მინ = 1, მაქს = 5, SD = 1.176). აღნიშნული ბლოკის ფაქტორების შეფასების შედეგები წარმოდგენილია ცხრილი 2.8 სახით (იხ. დანართი 2).

**ცხრილი 2.8.** შრომითი კმაყოფილების ბლოკის ინდივიდუალური დებულებების შეფასების მაჩვენებლები

კოდი	დებულება	1	2	3	4	5	საშუალო
JS1	შრომითი კმაყოფილება სამუშაო დავალებებთან მიმართებაში	0	1 (1.9%)	5 (9.4%)	15 (28.3%)	32 (60.4%)	4.472
JS2	შრომითი კმაყოფილება გარე ასპექტებთან დაკავშირებულ არასამუშაო დავალებებთან მიმართებაში	0	1 (1.9%)	8 (15.1)	19 (35.8%)	25 (47.2%)	4.283
JS3	სამუშაო გუნდის მნიშვნელოვან წევრად ყოფნის კმაყოფილება	1 (1.9%)	1 (1.9%)	3 (5.7%)	11 (20.8%)	37 (69.8%)	4.547
JS4	სამეცნიერო აქტივობებში (პუბლიკაციები, კონფერენციები, სამეცნიერო-კვლევითი პროექტები) ჩართვის მოტივაცია	2 (3.8%)	5 (9.4%)	5 (9.4%)	9 (17%)	32 (60.4%)	4.208
JS5	ხელფასის შესაბამისობა შესრულებულ სამუშაოსთან	1 (1.9%)	2 (3.8%)	11 (20.8%)	16 (30.2%)	23 (43.4%)	4.094

JS6	ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებული აკადემიურ თანამდებობაზე განვითარების შესაძლებლობა	0	3 (5.7%)	6 (11.3%)	14 (26.4%)	30 (56.6%)	4.340
JS7	ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებული კარიერული განვითარების შესაძლებლობა	0	3 (5.7%)	7 (13.2%)	12 (22.6%)	31 (58.5%)	4.340
JS8	ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებული ადმინისტრაციულ თანამდებობაზე განვითარების შესაძლებლობა	2 (3.8%)	4 (7.5%)	11 (20.8%)	9 (17%)	27 (50.9%)	4.037

რესპონდენტებმა აგრეთვე მოახდინეს ზემოაღწერილი დებულებების პრიორიტეტულობის შეფასება ფაკულტეტის განვითარების კუთხით, სადაც თითოეულ ფაქტორს მიანიჭეს „დაბალი“, „საშუალო“ და „მაღალი“ პრიორიტეტი. წარმოდგენილი შედეგების თანახმად, ფაკულტეტის განვითარებისთვის ყველაზე მაღალი პრიორიტეტის მქონედ სამუშაო გუნდის მნიშვნელოვან წევრად ყოფნის კმაყოფილება (94.3%) და კმაყოფილება სამუშაო დავალებებთან მიმართებაში (92.5%) დასახელდა. არსებული რვა დებულებიდან, ფაკულტეტის განვითარებაზე საშუალო პრიორიტეტის მქონედ ყველაზე მეტი ხმა ხელფასების შესაბამისობა შესრულებულ სამუშაოსთან (32.1%) და ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებულ ადმინისტრაციულ თანამდებობაზე განვითარების შესაძლებლობამ (20.8%) მიიღო (იხ. ცხრილი 2.9).

**ცხრილი 2.9. შრომითი კმაყოფილების ბლოკის დებულებების პრიორიტეტულობა ფაკულტეტის განვითარებისთვის**

კოდი	დებულება	დაბალი	საშუალო	მაღალი
JSF1	შრომითი კმაყოფილება სამუშაო დავალებებთან მიმართებაში	-	4 (7.5%)	49 (92.5%)
JSF2	შრომითი კმაყოფილება გარე ასპექტებთან დაკავშირებულ არასამუშაო დავალებებთან მიმართებაში	-	8 (15.1%)	45 (84.9%)
JSF3	სამუშაო გუნდის მნიშვნელოვან წევრად ყოფნის კმაყოფილება	-	3 (5.7%)	50 (94.3%)
JSF4	სამეცნიერო აქტივობებში (პუბლიკაციები, კონფერენციები, სამეცნიერო-კვლევითი პროექტები) ჩართვის მოტივაცია	1 (1.9%)	4 (7.5%)	48 (90.6%)
JSF5	ხელფასის შესაბამისობა შესრულებულ სამუშაოსთან	-	17 (32.1%)	36 (67.9%)
JSF6	ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებული აკადემიურ თანამდებობაზე განვითარების შესაძლებლობა	-	5 (9.4%)	48 (90.6%)
JSF7	ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებული კარიერული განვითარების შესაძლებლობა	-	7 (13.2%)	46 (86.8%)
JSF8	ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებული ადმინისტრაციულ თანამდებობაზე განვითარების შესაძლებლობა	1 (1.9%)	11 (20.8%)	41 (77.4%)

## ბლოკი 2: პროფესიული განვითარების საჭიროება სწავლების მიმართულებით

კითხვარის მეორე ბლოკი ემსახურება ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სწავლების მიმართულებით საკუთარი უნარებისა და ცოდნის შეფასების შესახებ მონაცემების მოპოვებას და, ამ გზით, მათი საჭიროებების გამოვლენას სწავლებასთან დაკავშირებული სხვადასხვა მიმართულებით.

აღნიშნულ ბლოკში წარმოდგენილი იყო შემდეგი თერთმეტი (11) დებულება, რომლებიც ემსახურებოდა რესპონდენტების მიერ საკუთარი უნარების და ცოდნის შეფასებას სტუდენტების საჭიროებების შეფასების, სტუდენტებისთვის უკუკავშირისა და შეფასების მიცემის, დიდ და პატარა ჯგუფებში სწავლების, სწავლებაში ტექნოლოგიების გამოყენების, სტუდენტური მენტორობის, შშმ სტუდენტების იდენტიფიცირების, სასწავლო გეგმისა და ტესტების შემუშავების მიმართულებით.

წარმოდგენილი თერთმეტი დებულება რესპონდენტებმა 5-ქულიანი სკალის მიხედვით შეაფასეს, სადაც „1“ ნიშნავდა „არ ვსაჭიროებ განვითარებას/შემიძლია სხვებს ვასწავლო“ და „5“ – „ძალზედ ვსაჭიროებ განვითარებას“.

სწავლების მიმართულებით განვითარების ბლოკში წარმოდგენილი ფაქტორების სინშირული ანალიზი აჩვენებს, რომ რესპონდენტები საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევენ საკუთარ უნარებს. თერთმეტივე კომპონენტში გამოკითხულთა 64%-79.2% საკუთარ უნარებს უმაღლეს შეფასებას („1“) ანიჭებს, რაც გულისხმობს განვითარების არსაჭიროებას და სხვებისთვის აღნიშნული უნარების სწავლების შესაძლებლობას.

თითოეული დებულების შეფასების შედეგების თანახმად, ყველაზე დადებითად საგამოცდო ტესტების შემუშავება (ქულათა საშუალო = 1.26, მინ = 1, მაქს = 4, SD = .593) და სტუდენტის საჭიროებების შეფასება (ქულათა საშუალო = 1,28, მინ = 1, მაქს = 3, SD = .495) შეფასდა, ხოლო ყველაზე უარყოფითად სწავლება დიდ ჯგუფებში (ქულათა საშუალო = 1.53, მინ = 1, მაქს = 4, SD = .846) და სტუდენტების მენტორობა (ქულათა საშუალო = 1.51, მინ = 1, მაქს = 5, SD = .869) შეფასდა. აღნიშნული ბლოკის ფაქტორების შეფასების შედეგები წარმოდგენილია ცხრილი 2.10 სახით (იხ. დანართი 2).

**ცხრილი 2.10.** სწავლების მიმართულებით პროფესიული განვითარების საჭიროების ბლოკის დებულებების შეფასების მაჩვენებლები

	საკუთარი უნარის შეფასება	1	2	3	4	5	MEAN
TE1	სასწავლო მოლოდინების სტუდენტებთან ერთად ჩამოყალიბება	35 (66%)	15 (28.3%)	3 (5.7%)	-	-	1,40
TE2	სტუდენტის საჭიროებების შეფასება	39 (73.6%)	13 (24.5%)	1 (1.9%)	-	-	1,28
TE3	კონსტრუქციული უკუკავშირის/ შეფასების მიცემა	38 (71.7%)	13 (24.5%)	1 (1.9%)	1 (1.9%)	-	1,34
TE4	სწავლება დიდ ჯგუფებში; საჯარო გამოსვლები	35 (66%)	10 (18.9%)	6 (11.3%)	2 (3.8%)	-	1,53
TE5	სწავლება მცირე ჯგუფებში	41 (77.4%)	8 (15.1%)	3 (5.7%)	1 (1.9%)	-	1,32
TE6	ტექნოლოგიების გამოყენება სწავლებაში	34 (64.2)	16 (30.2%)	3 (5.7%)	-	-	1,42
TE7	სტუდენტების მენტორობა	35 (66%)	12 (22.6%)	4 (7.5%)	1 (1.9%)	1 (1.9%)	1,51
TE8	ზრდასრული სტუდენტებთან მუშაობა; მათი სწავლის სტილის ცოდნა	38 (71.7%)	12 (22.6%)	2 (3.8%)	1 (1.9%)	-	1,36

TE9	შშმ სტუდენტების იდენტიფიცირება	38 (71.7%)	10 (18.9%)	4 (7.5%)	1 (1.9%)	-	1,40
TE10	სასწავლო გეგმის შემუშავება	38 (71.7%)	11 (20.8%)	3 (5.7%)	1 (1.9%)	-	1,38
TE11	საგამოცდო ტესტების შემუშავება	42 (79.2%)	9 (17.0%)	1 (1.9%)	1 (1.9%)	-	1,26

მოცემულ ბლოკში წარმოდგენილი უნარების პრიორიტეტულობა ფაკულტეტის განვითარებისთვის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ შემდგენილად შეფასდა: ყველაზე მაღალი პრიორიტეტულობის მქონე უნარად შეფასებულ იქნა სასწავლო გეგმის შემუშავების უნარი (96.2%), სტუდენტის საჭიროებების შეფასება (96.2%) და ტექნოლოგიების გამოყენება სწავლებაში (94.3%). ყველაზე ნაკლები პრიორიტეტულობის მქონედ კონსტრუქციული უკუკავშირის/შეფასების მიცემის უნარი (15.1%) და ზრდასრულ სტუდენტებთან მუშაობა და მათი სწავლის სტილის ცოდნა დასახელდა (13.2%) (იხ. ცხრილი 2.11).

**ცხრილი 2.11. სწავლების მიმართულებით პროფესიული განვითარების საჭიროების ბლოკის დებულებების პრიორიტეტულობა ფაკულტეტის განვითარებისთვის**

	პრიორიტეტი ფაკულტეტის განვითარებისთვის	დაბალი	საშუალო	მაღალი
TEF1	სასწავლო მოლოდინების სტუდენტებთან ერთად ჩამოყალიბება	-	5 (9.4%)	48 (90.6%)
TEF2	სტუდენტის საჭიროებების შეფასება	-	2 (3.8%)	51 (96.2%)
TEF3	კონსტრუქციული უკუკავშირის/შეფასების მიცემა	-	8 (15.1%)	45 (84.9%)
TEF4	სწავლება დიდ ჯგუფებში; საჯარო გამოსვლები	-	9 (17%)	44 (83%)
TEF5	სწავლება მცირე ჯგუფებში	1 (1.9%)	6 (11.3%)	41 (86.8%)
TEF6	ტექნოლოგიების გამოყენება სწავლებაში	-	3 (5.7%)	50 (94.3%)
TEF7	სტუდენტების მენტორობა	-	4 (7.5%)	49 (92.5%)
TEF8	ზრდასრული სტუდენტებთან მუშაობა; მათი სწავლის სტილის ცოდნა	-	7 (13.2%)	46 (86.8%)
TEF9	შშმ სტუდენტების იდენტიფიცირება		6 (11.3%)	47 (88.7%)
TEF10	სასწავლო გეგმის შემუშავება		2 (3.8%)	51 (96.2%)
TEF11	საგამოცდო ტესტების შემუშავება		4 (7.5%)	49 (92.5%)

### ბლოკი 3: პროფესიული განვითარების საჭიროება კვლევის მიმართულებით

კითხვარის მესამე ბლოკი ემსახურება ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ საკუთარი უნარებისა და ცოდნის შეფასებას და საჭიროებების გამოვლენას კვლევის მიმართულებით.

აღნიშნულ ბლოკში წარმოდგენილი იყო ათი (10) დებულება, რომლებიც ემსახურებოდა რესპონდენტების მიერ საკუთარი უნარების და ცოდნის შეფასებას საგრანტო კვლევითი განაცხადის მომზადების, სამეცნიერო სტატიის/ნაშრომის წერის, კვლევის თანამედროვე მეთოდების ცოდნის, მონაცემთა სტატისტიკური ანალიზის, კვლევის ეთიკის საკითხების, საკვლევი თემის შერჩევის, ნაშრომის/კვლევის კონფერენციაზე წარდგენის, კლინიკური ქეისების აღწერის, სამეცნიერო სტატიების რეცენზირების, სამეცნიერო აქტივობების გაზრდის მიმართულებით.

მსგავსად წინა ბლოკისა, რესპონდენტები საკუთარი უნარების შეფასებას 5-ქულიანი სკალის მიხედვით ახდენდნენ, სადაც „1“ ნიშნავდა „არ ვსაჭიროებ განვითარებას/შემიძლია სხვებს ვასწავლო“ და „5“ – „ძალზედ ვსაჭიროებ განვითარებას“.

კვლევის მიმართულებით განვითარების ბლოკში წარმოდგენილი ფაქტორების სიხშირული ანალიზი აჩვენებს, რომ რესპონდენტები საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევენ საკუთარ უნარებს, თუმცა, ამავედროულად, იკვეთებიან რესპონდენტები, რომლებიც სხვადასხვა კომპონენტში განვითარებას საჭიროებენ. კერძოდ. ყველაზე დადებითად ნაშრომის/კვლევის კონფერენციაზე წარდგენის უნარი (პრეზენტაციის უნარი) (ქულათა საშუალო = 1.45, მინ = 1, მაქს = 4, SD = .774) და საკვლევი თემის შერჩევა (ქულათა საშუალო = 1.55, მინ = 1, მაქს = 4, SD = .845) შეფასდა, ხოლო ყველაზე უარყოფითად საგრანტო კვლევითი განაცხადის მომზადება (ქულათა საშუალო = 2.08, მინ = 1, მაქს = 4, SD = 1.053) და კლინიკური ქეისების აღწერა (ქულათა საშუალო = 1.87, მინ = 1, მაქს = 5, SD = 1.161) შეფასდა (იხ. ცხრილი 2.12).

**ცხრილი 2.12.** კვლევის მიმართულებით პროფესიული განვითარების საჭიროების ბლოკის დებულებების შეფასების მაჩვენებლები

	საკუთარი უნარის შეფასება	1	2	3	4	5	MEAN
RE1	საგრანტო კვლევითი განაცხადის მომზადება	21 (39.6%)	13 (24.5%)	13 (24.5%)	6 (11.3%)	-	2.08
RE2	სამეცნიერო სტატიის/ნაშრომის წერა	31 (58.5%)	8 (15.1%)	10 (18.9%)	4 (7.5%)	-	1.75
RE3	კვლევის თანამედროვე მეთოდები	26 (49.1%)	16 (30.2%)	6 (11.3%)	5 (9.4%)	-	1.81
RE4	მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი	28 (52.8%)	16 (30.2%)	6 (11.3%)	3 (5.7%)	-	1.70
RE5	კვლევის ეთიკის საკითხები	32 (60.4%)	12 (22.1%)	8 (15.1%)	1 (1.9%)	-	1.58
RE6	საკვლევი თემის შერჩევა	34 (64.2%)	11 (20.8%)	6 (11.3%)	2 (3.8%)	-	1.55
RE7	ნაშრომის/კვლევის წარდგენა კონფერენციაზე (პრეზენტაციის უნარი)	37 (69.8%)	9 (17%)	6 (11.3%)	1 (1.9%)	-	1.45
RE8	კლინიკური ქეისების აღწერა	30 (56.6%)	8 (15.1%)	8 (15.1%)	6 (11.3%)	1 (1.9%)	1.87
RE9	სამეცნიერო სტატიების რეცენზირება	31 (58.5%)	9 (17%)	6 (11.3%)	5 (9.4%)	2 (3.8%)	1.83
RE10	სამეცნიერო აქტივობების გაზრდა	32 (60.4%)	10 (18.9%)	5 (9.4%)	4 (7.5%)	2 (3.8%)	1.75

მოცემულ ბლოკში წარმოდგენილი დებულებების პრიორიტეტულობა ფაკულტეტის განვითარებისთვის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მეორ შემდგენიარად შეფასდა: ყველაზე მაღალი პრიორიტეტულობის მქონე უნარად შეფასებულ იქნა სამეცნიერო სტატიის/ნაშრომის წერა, მონაცემთა სტატისტიკური ანალიზის უნარი, ნაშრომის/კვლევის წარდგენა კონფერენციაზე (პრეზენტაციის უნარი) და მეცნიერული აქტივობების გაზრდის უნარი (80.6% თითოეული), ხოლო ყველაზე დაბალი პრიორიტეტის მქონე უნარად კლინიკური ქეისების აღწერა (15.1%) დასახელდა (იხ. ცხრილი 2.13).

**ცხრილი 2.13.** კვლევის მიმართულებით პროფესიული განვითარების საჭიროების ბლოკის დებულებების პრიორიტეტულობა ფაქულტეტის განვითარებისთვის

კოდი	პრიორიტეტი ფაკულტეტის განვითარებისთვის	დაბალი	საშუალო	მაღალი
REF1	საგრანტო კვლევითი განაცხადის მომზადება	-	7 (13.2%)	46 (86.8%)
REF2	სამეცნიერო სტატიის/ნაშრომის წერა	-	5 (9.4%)	48 (90.6%)
REF3	კვლევის თანამედროვე მეთოდები	-	6 (11.3%)	47 (88.7%)
REF4	მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი	-	5 (9.4%)	48 (90.6%)
REF5	კვლევის ეთიკის საკითხები	-	7 (13.2%)	46 (86.8%)
REF6	საკვლევი თემის შერჩევა	-	7 (13.2%)	46 (86.8%)
REF7	ნაშრომის/კვლევის წარდგენა კონფერენციაზე (პრეზენტაციის უნარი)	-	5 (9.4%)	48 (90.6%)
REF8	კლინიკური ქეისების აღწერა	-	8 (15.1%)	45 (84.9%)
REF9	სამეცნიერო სტატიების რეცენზირება	-	7 (13.2%)	46 (86.8%)
REF10	სამეცნიერო აქტივობების გაზრდა	-	5 (9.4%)	48 (90.6%)

#### ბლოკი 4: პროფესიული განვითარების საჭიროება კარიერის დაგეგმვის მიმართულებით

კითხვარის მეოთხე ბლოკი ემსახურება რესპონდენტების მიერ საკუთარი უნარებისა და ცოდნის შეფასებას კარიერული განვითარების კუთხით და მათი საჭიროებების გამოვლენას კარიერის დაგეგმვასთან დაკავშირებული სხვადასხვა მიმართულებით.

აღნიშნულ ბლოკში წარმოდგენილი იყო ათი (10) დებულება, რომლებიც ემსახურებოდა რესპონდენტების მიერ საკუთარი უნარების და ცოდნის შეფასებას ლიდერობის, მენტორობის, გუნდის მართვის, დროის ეფექტური მართვის, ურთიერთობების, კონფლიქტებისა და სტრესის მართვის, ემოციური ინტელექტის, კარიერის განვითარების გეგმის შედგენისა და რეზიუმეს შედგენის უნარის მიმართულებით.

კარიერის დაგეგმვის მიმართულებით განვითარების ბლოკში წარმოდგენილი დებულებების სიხშირული ანალიზი გვიჩვენებს, რომ რესპონდენტების 58.5% – 77.4%, 5-ქულიანი სკალის მიხედვით, საკუთარ უნარებს უმაღლეს შეფასებას ანიჭებს და მზად არის აღნიშნული უნარები სხვას ასწავლოს. კერძოდ, გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა ყველაზე დადებითად რეზიუმეს მომზადების უნარს აფასებს (ქულათა საშუალო = 1.25, მინ = 1, მაქს = 3, SD = .477), ხოლო ყველაზე დაბალი ქულით ლიდერობის უნარს აფასებს (ქულათა საშუალო = 1.51, მინ = 1, მაქს = 4, SD = .697) (იხ. ცხრილი 2.14).

**ცხრილი 2.14.** კარიერის დაგეგმვის მიმართულებით პროფესიული განვითარების საჭიროების ბლოკის დებულებების შეფასების მაჩვენებლები

	საკუთარი უნარის შეფასება	1	2	3	4	5	MEAN
CA1	ლიდერობის უნარები	31 (58.5%)	18 (34%)	3 (5.7%)	1 (1.9%)	-	1.51
CA2	მენტორობის გაწევა	34 (64.2%)	13 (24.5%)	5 (9.4%)	1 (7.5%)	-	1.49
CA3	გუნდის მართვის უნარი	35 (66%)	15 (28.3%)	2 (3.8%)	1 (1.9%)	-	1.42

CA4	დროის ეფექტური მართვა	39 (73.6%)	11 (20.8%)	2 (3.8%)	1 (1.9%)	-	1.34
CA5	კონფლიქტების მართვა	39 (73.6%)	12 (22.1%)	1 (1.9%)	1 (1.9%)	-	1.32
CA6	სტრესის მართვა	36 (67.9%)	14 (26.4%)	2 (3.8%)	1 (1.9%)	-	1.40
CA7	ემოციური ინტელექტის უნარები	36 (67.9%)	14 (26.4%)	2 (3.8%)	1 (1.9%)	-	1.40
CA8	ურთიერთობების მართვა	39 (73.6%)	12(22.1%)	1 (1.9%)	1 (1.9%)	-	1.32
CA9	კარიერის განვითარების გეგმის შედგენა	34 (64.2%)	14 (26.4%)	4 (7.5%)	1 (1.9%)	-	1.47
CA10	CV-ის მომზადება/გაძლიერება	41 (77.4%)	11 (20.8%)	1 (1.9%)	-	-	1.25

მოცემულ ბლოკში წარმოდგენილი უნარების პრიორიტეტულობა ფაკულტეტის განვითარებისთვის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ შემდეგნაირად შეფასდა: ყველაზე მაღალი პრიორიტეტულობის მქონე უნარად შეფასებულ იქნა ურთიერთობების მართვის და სტრესის მართვის უნარი (92.5%), საშუალო მნიშვნელობის უნარად დასახელდა ლიდერობის უნარი (22.6%), ხოლო ყველაზე დაბალი პრიორიტეტის მქონე უნარად რეზიუმეს მომზადების უნარი (3.8%) დასახელდა (იხ. ცხრილი 2.15).

**ცხრილი 2.15.** კარიერის დაგეგმვის მიმართულებით პროფესიული განვითარების საჭიროების ფაქტორების პრიორიტეტულობა ფაკულტეტის განვითარებისთვის

	პრიორიტეტი ფაკულტეტის განვითარებისთვის	დაბალი	საშუალო	მაღალი
CAF1	ლიდერობის უნარები	1 (1.9%)	12 (22.6%)	40 (75.5%)
CAF2	მენტორობის გაწევა	-	7 (13.2%)	46 (86.8%)
CAF3	გუნდის მართვის უნარი	-	8 (15.1%)	45 (84.9%)
CAF4	დროის ეფექტური მართვა	-	7 (13.2%)	46 (86.8%)
CAF5	კონფლიქტების მართვა	-	6 (11.3%)	47 (88.7%)
CAF6	სტრესის მართვა	-	4 (7.5%)	49 (92.5%)
CAF7	ემოციური ინტელექტის უნარები	-	5 (9.4%)	48 (90.6%)
CAF8	ურთიერთობების მართვა	-	4 (7.5%)	49 (92.5%)
CAF9	კარიერის განვითარების გეგმის შედგენა	-	7 (13.2%)	46 (86.8%)
CAF10	CV-ის მომზადება/გაძლიერება	2 (3.8%)	6 (11.3%)	45 (84.9%)

**მონაცემთა ანალიზის მეორე ეტაპზე,** მე-2, მე-3 და მე-4 ბლოკების შემადგენელ დებულებებს შორის სტატისტიკური მნიშვნელოვანი სხვაობების გამოსავლენად გამოყენებული იყო ფრიდმანის არაპარამეტრული ტესტი. ამისათვის, თითოეულ ბლოკში შემავალი დებულებისთვის მინიჭებული თვითშეფასების ქულები (1 – „არ ვსაჭიროებ განვითარებას/შემიძლია სხვებს ვასწავლო“, 5 – „ძალზედ ვსაჭიროებ განვითარებას“) გავამრავლეთ ფაკულტეტის განვითარებისთვის პრიორიტეტულობის ქულებზე (1 – „დაბალი“, 2 – „საშუალო“ და 3 – „მაღალი“). შედეგად მიღებულ იქნა 15-ქულიანი სკალა, სადაც „1“ ნიშნავს „არ ვსაჭიროებ განვითარებას ამ მიმართულებით და, ამავდროულად, აღნიშნულ უნარს დაბალი პრიორიტეტი აქვს ფაკულტეტის განვითარებისთვის“, ხოლო „15“ ნიშნავს „ძალიან ვსაჭიროებ განვითარებას ამ მიმართულებით და, ამავდროულად, აღნიშნულ უნარს მაღალი პრიორიტეტი აქვს ფაკულტეტის განვითარებისთვის“.



თითოეული ფაქტორისთვის გამოყვანილ იქნა მასში შემავალი დებულებების საშუალო ქულა (სწავლება – ქულათა საშუალო = 1.82, კვლევა – ქულათა საშუალო = 2.44, კარიერის დაგეგმვა – ქულათა საშუალო = 1.74) (იხ. დანართი 2).

საკვლევი ცვლადების განაწილების ნორმალურობა ვიკვლიეთ Shapiro-Wilk-ის ტესტის გამოყენებით. ანალიზი აჩვენებს, რომ როგორც სწავლების (statistic=.757,  $p<.001$ ), ასევე კვლევის (statistic=.811,  $p<.001$ ) და კარიერის დაგეგმვის (statistic=.760,  $p<.001$ ) განაწილება სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდება ნორმალური განაწილებისგან. შესაბამისად, ამ ცვლადებთან მიმართებით, დასკვნითი სტატისტიკის წარმოებისას ვიყენებთ არაპარამეტრულ ტესტებს.

იმისათვის, რომ დაგვედგინა, იყო თუ არა ზემოაღნიშნულ ცალკეულ ბლოკებს შიგნით თითოეული დებულების შეფასებებში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები, მივმართეთ ფრიდმანის არაპარამეტრულ ტესტს, რომლის შედეგადაც გამოვლინდა, რომ კვლევის ბლოკში (Chi-Square=40.103,  $p<.00001$ ) და კარიერის დაგეგმვის ბლოკში (Chi-Square=21.716,  $p<.01$ ) წარმოდგენილი დებულებები სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოვლინდა სწავლების ბლოკში წარმოდგენილი თერთმეტ დებულებას შორის (Chi-Square=17.163,  $p>.05$ ). კვლევის და კარიერის დაგეგმვის დებულებების რანგები იხილეთ ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში (იხ. ცხრილი 2.16).

**ცხრილი 2.16.** კვლევის და კარიერის დაგეგმვის დებულებების რანგები

კვლევა	MEAN RANK
საგრანტო კვლევითი განაცხადის მომზადება	6,67
კვლევის თანამედროვე მეთოდები	5,84
კლინიკური ქეისების აღწერა	5,79
სამეცნიერო სტატიების რეცენზირება	5,75
მეცნიერული აქტივობების გაზრდა	5,62
მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი	5,49
სამეცნიერო სტატიის/ნაშრომის წერა	5,42
კვლევის უთიკის საკითხები	4,95
საკვლევი თემის შერჩევა	4,83
ნაშრომის/კვლევის წარდგენა კონფერენციაზე (პრეზენტაციის უნარი)	4,64
კარიერის დაგეგმვა	MEAN RANK
მენტორობის გაწევა	5,99
კარიერის განვითარების გეგმის შედგენა	5,82
სტრესის მართვა	5,76
ლიდერობის უნარები	5,69
ემოციური ინტელექტის უნარები	5,62
გუნდის მართვის უნარი	5,59
ურთიერთობების მართვა	5,36
კონფლიქტების მართვა	5,27
დროის ეფექტური მართვა	5,25
CV-ის მომზადება/გაძლიერება	4,64

პროფესიული განვითარების კუთხით ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორის გამოსავლენად, შევადარეთ მე-2, მე-3 და მე-4 ბლოკების დებულებების შეფასებები ერთმანეთს. ამისათვის გამოვიყენეთ ფრიდმანის არაპარამეტრული ტესტი, რომლის შედეგებმაც აჩვენა, რომ აღნიშნულ სამ ფაქტორს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობები არსებობს (Chi-Square=23.62,  $p<0.00001$ ) (იხ. დანართი 2).

იმის გასარკვევად, თუ რომელ წყვილებში (სწავლება – კვლევა, კარიერის დაგეგმვა – კვლევა, კარიერის დაგეგმვა – სწავლება) გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობები, გამოვიყენეთ უილკოქსონის ნიშნიანი რანგების ტესტი, რომლის შედეგადაც გამოვლინდა, რომ კვლევის მიმართულება სტატისტიკურად მნიშვნელოვნად აღემატება როგორც სწავლების მიმართულებას ( $Z=4.066$ ,  $p<0.0001$ ), ასევე კარიერის დაგეგმვის მიმართულებას ( $Z=4.105$ ,  $p<0.0001$ ), ხოლო სწავლება და კარიერის დაგეგმვას შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობები არ გამოვლინდა ( $Z=.376$ ,  $p<.707$ ) (იხ. დანართი 2).

აღნიშნულის საფუძველზე, ვასკვნით, რომ გამოკითხული აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის პროფესიული განვითარებისთვის და ფაკულტეტის განვითარებისთვის პრიორიტეტულად უფრო მნიშვნელოვანია კვლევის მიმართულებით პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, ვიდრე სწავლებისა და კარიერული დაგეგმვის მიმართულებით.

კვლევის მიმართულების ბლოკის დებულებებს შორის სხვაობების გამოსავლენად გამოვიყენეთ ფრიდმანის არაპარამეტრული ტესტი, რომლის შედეგადაც გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობები (Chi-Square = 40.103,  $p<0.00001$ ) (იხ. დანართი 2). კერძოდ, თითოეული დებულების შეფასების შედეგების თანახმად, ყველაზე მაღალი ქულით საგრანტო კვლევითი განაცხადის მომზადება (ქულათა საშუალო = 5.83, მინ = 3, მაქს = 12, SD = 2.9) შეფასდა, ხოლო ნაშრომის/კვლევის წარდგენის უნარს (პრეზენტაციას) ყველაზე დაბალი ქულა ერგო (ქულათა საშუალო = 4.17, მინ = 2, მაქს = 9, SD = 2.13).

## დასკვნა

საქართველოს სამი უსდ-ს (ევროპის უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი) ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი:

- რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა გამოხატავს კმაყოფილებას დამსაქმებელი უსდ-ს მიერ შეთავაზებული შრომითი პირობების მიმართ და ყველაზე მაღალ შეფასებას სამუშაო გუნდის მნიშვნელოვან წევრად ყოფნას (ქულათა საშუალო = 4.54) და სამუშაო დავალებებით კმაყოფილებას (ქულათა საშუალო = 4.47) ანიჭებს. შრომითი კმაყოფილების ბლოკის დებულებათა შორის ყველაზე დაბალი შეფასება ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებული ადმინისტრაციულ თანამდებობაზე განვითარების შესაძლებლობამ მიიღო (ქულათა საშუალო = 4.037). აღსანიშნავია, რომ რესპონდენტების დიდი უმრავლესობის მიერ ფაკულტეტის განვითარებისთვის ყველაზე მაღალი პრიორიტეტის მქონედ იგივე ფაქტორები დასახელდა (სამუშაო გუნდის მნიშვნელოვან გუნდის წევრად ყოფნა – 94.3% და შრომითი კმაყოფილება სამუშაო დავალებებთან მიმართებაში – 92.5%).
- გამოკითხული აკადემიური და მოწვეული პერსონალის 64.2 % – 79.2% სწავლების მიმართულებით საკუთარ უნარებს უმაღლეს შეფასებას ანიჭებს და ფლობს უნარს სხვებს გაუზიაროს საკუთარი ცოდნა ისეთი საკითხების მიმართულებით, როგორცაა საგამოცდო ტესტების შემუშავება (79.2%), სწავლება მცირე ჯგუფებში (77.4%), სტუდენტების საჭიროებების შეფასება (73.6%), სასწავლო გეგმის შემუშავება (71.7%), შშმ სტუდენტების იდენტიფიცირება (71.7%), ზრდასრული სტუდენტებთან მუშაობა; მათი სწავლის სტილის ცოდნა (71.7%), კონსტრუქციული უკუკავშირის/ შეფასების მიცემა (71.7%), და სხვა. აღნიშნული ასევე დასტურდება იმ ფაქტით, რომ სწავლების უნარების შეფასებებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოკვეთილა (Chi-Square=17.163,  $p>.05$ ). აღნიშნული მდგომარეობა დიდ წილად აიხსნება გამოკითხული აკადემიური და მოწვეული პერსონალის უმრავლესობის (67.9%) სასწავლო საქმიანობის მრავა-

ლწლიანი (20 და მეტი წელი) გამოცდილებით. ფაკულტეტის განვითარებასთან დაკავშირებით, გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა (83% – 96.2%) თანხმდება იმაზე, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების უნარები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ფაკულტეტის განვითარებაში.

- მსგავსად სწავლების უნარების შეფასების შედეგებისა, გამოკითხული აკადემიური და მოწვეული პერსონალის უმრავლესობა (58.5% – 77.4%) საკუთარ ცოდნასა და უნარებს კარიერის დაგეგმვის მექანიზმების მიმართულებით უმაღლეს შეფასებას ანიჭებს, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული უნარებს შორის იკვეთება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები ( $\text{Chi-Square}=21.716$ ,  $p<.01$ ), რაც გულისხმობს ცალკეულ უნარებში თვითშეფასების ქულების არათანაბარ გადანაწილებას და რიგ უნარებში საშუალოზე დაბალი თვითშეფასების ქულების არსებობას.
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ კვლევასთან დაკავშირებული საკუთარი უნარების შეფასებები და აღნიშნული უნარების ფაკულტეტის განვითარებისთვის პრიორიტეტულობის შეფასებები სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდება სწავლების და კარიერული დაგეგმვის უნარების შეფასებებისგან. შესაბამისად, აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის პროფესიული განვითარებისთვის და ფაკულტეტის განვითარებისთვის უფრო მნიშვნელოვანია კვლევის მიმართულებით პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, ვიდრე სწავლებისა და კარიერული დაგეგმვის მიმართულებით.

## რეკომენდაციები

წარმოდგენილი კვლევის შედეგების ანალიზისა და დასკვნის საფუძველზე, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური და პროფესიული განვითარების ხელშეწყობისთვის მიზანშეწონილია შემდეგი აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება:

- 1) სამუშაო შეხვედრების (ე.წ. „ვორქშოპების“) და ტრენინგების შეთავაზება მენტორობის და კარიერის განვითარების გეგმის შედგენის თემებზე. აღნიშნული ხელს შეუწყობს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალსა და სტუდენტებს შორის უფრო აქტიური და ეფექტური თანამშრომლობის ჩამოყალიბებას და სტუდენტების პროფესიული და კარიერული განვითარების კუთხით აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხრიდან მხარდაჭერის გაძლიერებას. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის წევრებში ზემოაღნიშნული უნარების განვითარება და მათი პრაქტიკაში გამოყენება აგრეთვე ხელს შეუწყობს სტუდენტებში ფართო კარიერული პერსპექტივების დანახვასა და აღქმას, რასაც მათ ვეტერინარიის დარგი სთავაზობს.
- 2) კვლევითი საქმიანობის გაძლიერებისა და სამეცნიერო პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით სამუშაო შეხვედრების (ე.წ. „ვორქშოპების“) და ტრენინგების შეთავაზება კვლევის ბლოკში წარმოდგენილი უნარების რანგების გათვალისწინებით. განსაკუთრებით საგულისხმოა საინფორმაციო და სამუშაო შეხვედრების შეთავაზება საგრანტო კვლევითი პროექტების წერის და თანამედროვე კვლევის მეთოდების მიმართულებით.
- 3) მნიშვნელოვანია უსდ-ების მიერ პერსონალისთვის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმების დანერგვა ან/და დახვეწა, მაგ. პერსონალისთვის დროული და რელევანტური ინფორმაციის, მათ შორის, სამეცნიერო კონფერენციების, ინდივიდუალური სასტიპენდიო პროგრამების (ე.წ. fellowships) და საგრანტო კვლევითი პროგრამების შესახებ ინფორმაციის გაზიარება, კვლევის განხორციელებით დაინტერესებული პირებისთვის ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციების გაწევა კვლევითი პროექტების მომზადების მიზნით. ამასთანავე, მნიშვნელოვანია დამსაქმებელი უსდ-ების მიერ პერსონალში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წახალისების მიზნით სხვადასხვა სახის მექანიზმის დანერგვა და გამოყენება, რაც გაზრდის პერსონალის ინტერესსა და მოტივაციას უფრო აქტიურად ჩაერთონ კვლევით საქმიანობაში და მოახდინონ კვლევით აქტივობებში სტუდენტების ჩართვა.

## თავი 3. ადგილობრივი მცირე ფერმერების საჭიროებების კვლევა

მოცემულ თავში წარმოდგენილია ერაზმუს+ ინსტიტუციური განვითარების პროექტის „სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტების განვითარება საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ახალგაზრდა ვეტერინარიის პროფესიონალების მომზადების მიზნით“ (ERASMUS-EDU-2022-CBHE-STRAND 1-101082479) ფარგლებში საქართველოს მასშტაბით განხორციელებული მცირე და საშუალო ზომის ფერმერების გამოკითხვის შედეგები. გამოკითხვა მიზნად ისახავდა მცირე და საშუალო ფერმერების საჭიროებებისა და გამოწვევების გამოვლენას, ფერმერულ მიმართულებაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას მათთვის სამომავლო მხარდაჭერის ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით.

### კვლევა

კვლევა ოთხ თანმიმდევრულ ეტაპად განხორციელდა: მოსამზადებელი ეტაპი (კითხვარის შემუშავება), საველე სამუშაოები (გამოკითხვა), კვლევის მონაცემების სტატისტიკური დამუშავება, შედეგების ანალიზი და ანგარიშის მომზადება.

#### მოსამზადებელი ეტაპი: კითხვარის შემუშავება

აღნიშნული კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დასაქმებული მცირე და საშუალო ზომის ფერმერები მესაქონლეობა, მეღორეობა, მეფრინველეობისა და აკვაკულტურის მიმართულებით.

გამომდინარე იქიდან, რომ კვლევა ფერმერების ოთხ სხვადასხვა მიმართულებას ითვალისწინებდა, პირველ ეტაპზე, მკვლევართა გუნდის მიერ მოხდა კითხვარის საერთო დებულებების შემუშავება და რამდენიმე თემატურ ბლოკად დაყოფა, შემდგომ ეტაპზე კი, თითოეული მიმართულების სპეციფიკის გათვალისწინებით, მოხდა გარკვეული ცვლილებების შეტანა გამოყენებულ ტერმინოლოგიაში (მაგ. მესაქონლეობის მიმართულების კითხვარში გამოყენებული ტერმინი „ვეტერინარი“ აკვაკულტურის მიმართულების კითხვარში ჩანაცვლდა ტერმინით „იხტიოლოგი“, და ა.შ.). აღნიშნული მიმართულებათაშორისი განსხვავებები აგრეთვე გათვალისწინებული იყო დემოგრაფიული მონაცემების ბლოკის შეკითხვების ფორმულირებისას.

ამრიგად, კითხვარის ანკეტა მოიცავდა დემოგრაფიული ინფორმაციის ბლოკს და ძირითადი საკვლევი დებულებების ოთხ (4) ბლოკს, რომლებიც ჯამში 21 საკითხს აერთიანებდა. გარდა ამისა, თითოეული ბლოკის ბოლოს ჩართული იყო კომენტარის ველი, სადაც რესპონდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ კომენტარის სახით დაეფიქსირებინათ მათთვის მნიშვნელოვანი საკითხი კონკრეტული ბლოკის თემატიკის გათვალისწინებით. ბლოკში წარმოდგენილი თითოეული დებულება ფასდებოდა „ძლიერ საჭირო“, „საჭირო“, და „ნაკლებად საჭირო“ პრიორიტეტის მქონედ (იხ. დანართი 3).

ანკეტის საინფორმაციო ნაწილში რესპონდენტებთან გაზიარებული იყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მათ მიერ დაფიქსირებული პასუხების საფუძველზე მოხდებოდა გზამკვლევის შემუშავება და ფერმერებთან გაზიარება; გარდა ამისა, გამოკითხვის შედეგები გათვალისწინებული იქნებოდა ღია წვდომის ონლაინ კურსების (MOOCs) შემუშავებისას.

## კითხვარის ანკეტის აღწერა

კითხვარის ანკეტის პირველი ნაწილი დემოგრაფიულ მონაცემებს აერთიანებს და შემდეგ რვა (8) ცვლად მოდერატორს მოიცავს: სქესი, ასაკი, რეგიონი/ქალაქი/სოფელი, სამეურნეო მიმართულება, ფერმერული საქმიანობის გამოცდილება (თვე, წელი), ფერმერული საქმიანობის პერიოდულობა, მეურნეობის მოცულობა, მოსამრავლებელი პირუტყვის სახეობა (ჯიში).

კვლევის მიზნობრიობისათვის განისაზღვრა ოთხი (4) რელევანტური ფაქტორი და თითოეული ფაქტორისთვის შეიქმნა დებულებების შესაბამისი ბლოკი.

**ბლოკი 1.** ვეტერინარია – აღნიშნული ბლოკი აერთიანებს შვიდ (7) დებულებას და მიზნად ისახავს ფერმერების საჭიროებების გამოვლენას ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორიცაა: ფერმისთვის პირადი ვეტერინარის/ინტიოლოგის ყოლის საჭიროება; ვეტერინარის/ინტიოლოგის დისტანციური და ადგილზე მომსახურების; ფერმის მომსახურე პერსონალისთვის სემინარების მოწყობის; ვეტერინარების/ინტიოლოგების საკონტაქტო ინფორმაციისა და ვეტერინარული აფთიაქის მისამართების ხელმისაწვდომობის საჭიროება; წელიწადის მანძილზე ვეტ-დონისძიებების ჩატარების ცხრილის, სანიტარი-ჰიგიენის ნორმების შესახებ ინფორმაციის გავრცელების და ხელმისაწვდომობის საჭიროება; რეგიონში გავრცელებულ დაავადებებზე ინფორმაციის მიღების საჭიროება.

**ბლოკი 2.** ფერმის მენეჯმენტი (მოვლა-მენახვის პირობები) – აღნიშნული ბლოკი აერთიანებს შვიდ (7) დებულებას და ემსახურება ფერმერების საჭიროების შეფასებას ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორიცაა: პრაქტიკოსი ზოოტექნიკოსის/პრაქტიკოსი ინტიოლოგის ადგილზე მომსახურების საჭიროება; პრაქტიკოსი ინტიოლოგის, ზოოტექნიკოსის და ვეტერინარი ტექნიკოსის დისტანციური მომსახურების და მათი საკონტაქტო ინფორმაციის ცოდნის საჭიროება; ფერმის მომსახურე პერსონალისთვის (მომვლელი, ინტიოლოგი, ზოოტექნიკოსი, მენეჯერი) სხვადასხვა თემაზე სემინარების მოწყობის საჭიროება; რეგიონში ზოოტექნიკოსის საკონტაქტო ინფორმაციის, პრაქტიკული ცნობარის საჭიროება (ნაბეჭდი ან ციფრული ვერსია); წელიწადის მანძილზე ზოოტექნიკურ/ინტიოლოგიურ დონისძიებების ჩატარების ცხრილის ცოდნა; ზოოტექნიკაში/თევზის გამოზრდაში თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ პერიოდული სიახლეების მიღების საჭიროება; ფერმის ხარჯების კონტროლისა და შემოსავლების აღრიცხვის ცოდნის მიღების საჭიროება.

**ბლოკი 3.** კვება – აღნიშნული ბლოკი აერთიანებს სამ (3) დებულებას და ემსახურება ფერმერების საჭიროების შეფასებას ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორიცაა: ინფორმაცია რეგიონის ფარგლებში ხარისხიანი და ფერმისთვის აუცილებელი პროდუქტის ხელმისაწვდომობის შესახებ; საკვების მიერი პრობლემების პირველადი ნიშნების დიაგნოსტიკის ცნობარის საჭიროება; რეგიონში საკვების ფასებზე პერიოდული განახლებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

**ბლოკი 4.** ფერმის და წარმოებული პროდუქციის მარკეტინგი/მეურნეობის განვითარება – აღნიშნული ბლოკი აერთიანებს ოთხ (4) დებულებას და ემსახურება ფერმერების საჭიროების შეფასებას ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორიცაა: სწავლება წარმოების პროცესების სტანდარტიზაციისა და წარმოებული პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით; ფერმერის მიერ წარმოებული პროდუქტის ბაზარზე მოთხოვნის შესწავლა და პროდუქტის რეკლამირება; სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო მხარდაჭერა და შეღავათიან პროექტზე ინფორმაციის მიღება და ჩართულობა; წარმოების რისკების შეფასება.

### სავლე სამუშაოები: გამოკითხვის ჩატარება

გამოკითხვა ონლაინ (Google Forms-ში აწყობილი ანკეტა) და პირისპირ ინტერვიუების მეშვეობით განხორციელდა. ონლაინ კითხვარი განთავსებული იყო პროექტის ვებგვერდსა ([www.vetpro.eu.edu.ge](http://www.vetpro.eu.edu.ge)) და პროექტის გვერდებზე სოციალურ ქსელებში (Facebook, LinkedIn). ონლაინ კითხვარი ესევე გაზიარდა საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან მისი საქართველოში რეგისტრირებულ ფერმერებთან გაზიარების მიზნით. შიდა და ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში ფერმერებთან პირისპირ ინტერვიუები პროექტში ჩართული მკვლევრებისა და ვეტერინარიის

ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების მიერ განხორციელდა. რესპონდენტების გამოკითხვაში მონაწილეობა იყო ნებაყოფლობითი და მათ მიერ წარმოდგენილი პირადი სახის ინფორმაცია (სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია) გამოყენებულ იქნება მათთან პროექტის ფარგლებში შემდგომი აქტივობების შედეგების შესახებ ინფორმაციის გაზიარების მიზნით (გზამკვლევი ფერმერებისთვის და ღია წვდომის ონლაინ კურსები).

## კვლევის მონაცემების სტატისტიკური ანალიზი და შედეგები

**პირველ ეტაპზე**, ანკეტის დემოგრაფიული მონაცემების ბლოკში და ფაქტორების დებულებების სტატისტიკური ანალიზისთვის განხორციელდა მონაცემთა სიხშირული ანალიზი. აღნიშნული სტატისტიკური ანალიზის შედეგები წარმოდგენილია ინდივიდუალურად თითოეული ბლოკისთვის.

### დემოგრაფიული მონაცემების ბლოკის შედეგები

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს შემდეგი ცხრა (9) რეგიონის მცირე და საშუალო ზომის 113 მოქმედა ფერმერებმა: კახეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, აჭარა, გურია, იმერეთი, თბილისი (იხ. დანართი 5). რესპონდენტთა განაწილება რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება: სამცხე-ჯავახეთი – 29.2% (N=33), ქვემო ქართლი – 18.6% (N=21), სამეგრელო-ზემო სვანეთი – 15.9% (N=18), შიდა ქართლი – 15% (N=17), კახეთი – 10.6% (N=12), თბილისი, აჭარა, გურია, იმერეთი, რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი – 10.7% (N=12).<sup>1</sup> (იხ. ცხრილი 3.1).


**ცხრილი 3.1.** გამოკითხული ფერმერების გადანაწილება რეგიონების მიხედვით



<sup>1</sup> გამოკითხვაში მონაწილეობა შესაძლებელი იყო ონლაინ კითხვარის შევსების გზით, თუმცა დიდი ნაწილი რესპონდენტების გამოკითხვა პირისპირ ინტერვიუს გზით პროექტში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, ვინც, გარდა აკადემიური საქმიანობისა, აქტიურად არის დაკავებული პრაქტიკული საქმიანობით, რაც გულისხმობს რეგიონებში ადგილობრივ მცირე და საშუალო ზომის ფერმებზე ვიზიტებს და სხვადასხვა რეგიონში ფერმერებთან ურთიერთობას. ამასთანავე, რიგი ინტერვიუებისა სამცხე-ჯავახეთის და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის სოფლებში განხორციელდა ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების მიერ.

რესპონდენტთა განაწილება ფერმის სახეობების მიხედვით შემდეგნაირია: მესაქონლეობა – 33.6% (N=38), აკვაკულტურა – 29.2% (N=33), მეფრინველეობა – 21.1% (N=24), ღორის მოშენების – 15.9% (N=18). გენდერული თვალსაზრისით, გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 19 (21.47 %) ქალმა და 94 (78.53 %) მამაკაცმა ფერმერმა. რესპონდენტთა ყველაზე დიდი წილი 51-60 წლოვან ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება (32.7%, N=37), ხოლო ყველაზე ნაკლები რესპონდენტი 61-70 (11.5%, N=13) და 71 და მეტი წლის (0.9%, N=1) ასაკობრივ ჯგუფებში დაფიქსირდა (იხ. ცხრილი 3.2).

**ცხრილი 3.2.** გამოკითხულთა დემოგრაფიული მაჩვენებლები



რესპონდენტების განაწილების შედარებითი ანალიზი სქესის და ფერმის სახეობის მიხედვით გვიჩვენებს, რომ გამოკითხული მამაკაცი ფერმერები მეურნეობის ოთხივე კატეგორიაში რიცხობრივად აღემატებიან ქალ ფერმერებს, თუმცა აღსანიშნავია, რომ აკვაკულტურასა და მესაქონლეობაში საგრძნობლად მეტი მამაკაცი ფერმერია, ვიდრე ქალი. მეფრინველეობა და ღორის მოშენების კატეგორიებში მამაკაცი ფერმერები ჭარბობენ, თუმცა განსხვავება სქესებს შორის შედარებით მცირეა.

რესპონდენტთა ფერმერული საქმიანობის გამოცდილების სინშირული ანალიზი გვიჩვენებს, რომ 5 წელზე ნაკლები (0.5, 1, 2 და 3 წელი) გამოცდილების მქონე ფერმერების საერთო პროცენტი შეადგენს 13.5%-ს. გამოკითხულთა ყველაზე დიდი რიცხვი მოდის 5-დან 15 წლამდე გამოცდილების მქონე ფერმერებზე, ჯამური 59.3%-ით, ხოლო 20-დან 40 წლამდე გამოცდილების მქონე ფერმერები რესპონდენტთა 25.7% შეადგენენ. რესპონდენტთა 1.5%-მა პასუხი არ დააფიქსირა.

რესპონდენტების განაწილება მეურნეობის სახეობის, მეურნეობის მიმართულებით და სამეურნეო გამოცდილების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

აკაკულტურის მიმართულებით, გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა – 88 % (N=29) – სახორცე მეურნეობას ფლობს, რესპონდენტთა დარჩენილი 12% (N=4) ახორციელებს სალიფსიტე წარმოებას (N=2) და სახიზილალე წარმოებას (N=1) (ერთმა პასუხისგან თავი შეიკავა). გამოკითხულთა სახორცე წარმოების საქმიანობის საშუალო სტაჟი 8.5 წელს, სალიფსიტე წარმოების საქმიანობის საშუალო სტაჟი კი 1 წელს შეადგენს.

მესაქონლეობის მიმართულებით რესპონდენტთა უმრავლესობა მერძულ საქმიანობას მისდევს – 81.5% (N=31) – და ამ მიმართულებით საშუალოდ 14.2 წლიანი გამოცდილება აქვთ; მეხორცეული საქმიანობას გამოკითხულთა 18.4% (N=7) მისდევს და მათ ამ მიმართულებით საშუალოდ რვაწლიანი გამოცდილება აქვთ.

მეფრინველეობის მეურნეობის მფლობელებში ყველაზე გავრცელებული მეხორცეული საქმიანობა აღმოჩნდა, რესპონდენტთა 54%-ით (N=13) და საშუალოდ 8.8 წლიანი გამოცდილებით. ამ ჯგუფის რესპონდენტების დარჩენილი 37.5% (N=9) კვერცხეულ საქმიანობას მისდევს და ამ მიმართულებით საშუალოდ 13.7 წლიანი გამოცდილება აქვთ.

დორის მოშენების მიმართულებით რესპონდენტების 77.7% (N=14) მეხორცეული საქმიანობას მისდევს და საშუალოდ 19.3 წლიანი გამოცდილება აქვთ ამ მიმართულებით. ამ ჯგუფის რესპონდენტების 22.3% (N=4) ფლობს საგოჭე მიმართულების მეურნეობას და საშუალოდ ამ მიმართულებით 6 წლიანი გამოცდილება აქვთ.




## ბლოკი 1: ვეტერინარია


აღნიშნული ბლოკი ემსახურება ადგილობრივი მცირე და საშუალო ზომის ფერმერების საჭიროებების შეფასებას მათ რეგიონში პირადი ვეტერინარის/ინტიოლოგის დისტანციურ და ადგილზე მომსახურების; ფერმის მომსახურე ვეტერინარი/ინტიოლოგი პერსონალისთვის სემინარების მოწყობის, ვეტერინარების/ინტიოლოგების საკონტაქტო ინფორმაციისა და ვეტერინარული აფთიაქის მისამართების ხელმისაწვდომობის; წელიწადის მანძილზე ვეტ-დონისძიებების ჩატარების ცხრილის, სანიტარი-ჰიგიენის ნორმების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისა და ხელმისაწვდომობის, რეგიონში გავრცელებულ დაავადებებზე ინფორმაციის მიღების მიმართულებით.

პირველი ბლოკის შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მესაქონლეობაში ჩართული, თევზის და დორის მომშენებელი ფერმერების უმეტესობა ძლიერ საჭიროდ რეგიონში გავრცელებულ დაავადებებზე ინფორმაციის მიღებას (VET7 – 76.3%, 75.8% და 83.30%) ასახელებს. ძლიერ საჭირო მომსახურებებში მეორე ადგილზე მესაქონლეობაში ჩართული ფერმერებისა და თევზის მომშენებელი ფერმერებისთვის პრაქტიკოსი ვეტერინარის/ინტიოლოგის ადგილზე მომსახურების საჭიროება (ოპერაცია, მშობიარობა, ვაქცინაცია, ხელოვნური განაყოფიერება და სხვა) (VET2 – 73.7% და 69.7%) დასახელდა, ხოლო დორის მომშენებელი ფერმერების მიერ მეორე ძლიერ საჭირო პრიორიტეტად დასახელდა ფერმის მომსახურე პერსონალისთვის (მომვლელი, ვეტერინარი, მენეჯერი) სხვადასხვა თემაზე სემინარების მოწყობა (VET4 – 61.10%). განსხვავებული სურათია მეფრინველეობის ფერმერების პასუხებში: მეფრინველეობაში ჩართული ფერმერების დიდმა უმრავლესობამ ძლიერ საჭიროდ ვეტერინარის დისტანციურ (სატელეფონო ან ონლაინ) მომსახურების (VET3 – 91.70%) და ფერმერებისთვის პრაქტიკოსი ვეტერინარის ადგილზე მომსახურების საჭიროება (მედიკამენტოზური მკურნალობის დანიშვნა, ვაქცინაცია და სხვა) (VET2 – 83.30%) დაასახელა. ყველაზე ნაკლები საჭიროების მქონედ ოთხივე სახეობის ფერმერებისთვის პირადი ვეტერინარის/ინტიოლოგის ყოლა დასახელდა (VET1 – 31.6%, 15.20%, 22.20%, 12.30%) (იხ. ცხრილი 3.3).



ცხრილი 3.3. რესპონდენტების საჭიროებები პირველი ბლოკის საკითხებთან მიმართებაში









**ბლოკი 2: ფერმის მენეჯმენტი (ცხოველის/თევზის/ფრინველის მოვლა-შენახვა)**

აღნიშნული ბლოკი ემსახურება ფერმერების საჭიროებების შეფასებას ფერმის მენეჯმენტის გაუმჯობესების ხელშემწყობი მექანიზმების მიმართულებით. ამ მიზნით, რესპონდენტებს უნდა შეეფასებინათ ბლოკში გაერთიანებული შემდეგი მექანიზმების/მომსახურებების საჭიროება: პრაქტიკოსი ზოოტექნიკოსის ადგილზე მომსახურება; ზოოტექნიკოსის და ვეტერინარი ტექნიკოსის დისტანციური მომსახურება და მათი საკონტაქტო ინფორმაციის ცოდნის საჭიროება; ფერმის მომსახურე პერსონალისთვის (მომვლელი, ზოოტექნიკოსი, მენეჯერი) სხვადასხვა თემაზე სემინარების მოწყობა; რეგიონში ზოოტექნიკოსის საკონტაქტო ინფორმაციის, პრაქტიკული ცნობარის (ნაბეჭდი ან ციფრული ვერსია) არსებობა, წელიწადის მანძილზე ზოოტექნიკურ/ისტოლოგიურ ღონისძიებების ჩატარების ცხრილის ცოდნა; ზოოტექნიკაში/თევზის გამოზრდაში თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ პერიოდული სიახლეების მიღება; ფერმის ხარჯების კონტროლისა და შემოსავლების აღრიცხვის ცოდნის მიღება.

მეორე ბლოკის შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ფერმის მენეჯმენტის გაუმჯობესების მიმართულებით, მესაქონლეობაში ჩართული და თევზის მოშენებაში ჩართული ფერმერები ყველაზე საჭიროდ ზოოტექნიკაში არსებული თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ პერიოდული სიახლეების მიღებას ასახელებენ (MAN6 – 63.2% და 72.2%). მეორე ძლიერ საჭირო მექანიზმად თევზის მოშენებელი ფერმერების მიერ ფერმერებისთვის პრაქტიკოსი ისტოლოგის ადგილზე მომსახურების საჭიროება (MAN1 – 63.6%) დასახელდა, ხოლო მესაქონლეობაში ჩართული ფერმერებისთვის მეორე ძლიერ საჭიროებად ფერმის ხარჯების კონტროლისა და შემოსავლების აღრიცხვის ცოდნის მიღება (MAN7 – 57.9%) სახელდება. მეფრინველეობაში ჩართული ფერმერები ყველაზე საჭირო ხელშემწყობ მექანიზმად ზოოტექნიკოსის და ვეტერინარი ტექნიკოსის დისტანციური მომსახურების (სატელეფონო ან ონლაინ) ხელმისაწვდომობას (MAN 2 – 75%) ასახელებენ, ხოლო ღორის მოშენებაში ყველაზე საჭიროდ ფერმერის მიერ რეგიონში ზოოტექნიკოსის საკონტაქტო ინფორმაციისა და ვეტერინარული აფთიაქის მისამართის ცოდნა (MAN 4 – 66.7%) გამოიკვეთა. ყველაზე ნაკლებად საჭიროდ მესაქონლეობის, მეფრინველეობის და ღორის მოშენების მიერ ფერმერებისთვის პრაქტიკოსი ზოოტექნიკოსის ადგილზე მომსახურების საჭიროება დასახელდა (MAN 1 – 26.3%, 16.7%, 11.1%). თევზის მოშენებელი ფერმერების ზოოტექნიკოსის დისტანციური მომსახურების (სატელეფონო ან ონლაინ) საჭიროება (MAN 2 – 9%) სახელდება (იხ. ცხრილი 3.4).

ცხრილი 3.4. რესპონდენტების საჭიროებები მეორე ბლოკის საკითხებთან მიმართებაში







**ბლოკი 3: ცხოველის/ფრინველის/თევზის კვება**

აღნიშნული ბლოკი ემსახურება ფერმერების საჭიროების შეფასებას ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორიცაა: ინფორმაციის გავრცელება რეგიონის ფარგლებში ხარისხიანი და ფერმისთვის აუცილებელი პროდუქტის შესახებ; ცხოველის/ფრინველის/თევზის საკვები პროდუქტების პრობლემების პირველადი ნიშნების დიაგნოსტიკის ფერმერის ცნობარის საჭიროება; რეგიონში საკვების ფასებზე პერიოდული განახლებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

მესამე ბლოკის მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მესაქონლეობაში და ღორის მოშენებაში ჩართული ფერმერები, თევზის მოშენების და მეფრინველეობაში ჩართული ფერმერებისგან განსხვავებით, უფრო მნიშვნელოვნად და საჭიროდ მიიჩნევენ მეტ ინფორმირებულობას ცხოველების კვების საკითხებთან დაკავშირებით, რაც გამოიხატება საკვებ-საამქროს სპეციალისტის საკონტაქტო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის აუცილებლობაში (FEE 1 – 76.3% და 83.3%) და საკვებისმიერი პრობლემების პირველადი ნიშნების დიაგნოსტიკის ფერმერის ცნობარის საჭიროებაში (FEE 2 – 68.4% და 83.3%). რაც შეეხება თევზის მოშენებელი და მეფრინველეობაში ჩართულ ფერმერებს, მათი უმრავლესობა კვებასთან დაკავშირებულ საკითხებს „საჭიროდ“ და „ნაკლებ საჭიროდ“ ასახელებს (იხ. ცხრილი 3.5).

**ცხრილი 3.5.** რესპონდენტების საჭიროებები მესამე ბლოკის საკითხებთან მიმართებაში






**ბლოკი 4: ფერმის და წარმოებული პროდუქციის მარკეტინგი/მეურნეობის განვითარება**

აღნიშნული ბლოკი ემსახურება ადგილობრივი მცირე და საშუალო ფერმერების საჭიროების შეფასებას ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორცაა: წარმოების პროცესების სტანდარტიზაციისა და წარმოებული პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფის სწავლების აუცილებლობა; ფერმერის მიერ წარმოებული პროდუქტის ბაზარზე მოთხოვნის შესწავლა და პროდუქტის რეკლამირება; სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო მხარდაჭერა და შეღავათიანი პროექტზე ინფორმაციის მიღება და წარმოების რისკების შეფასება.

მეოთხე ბლოკის მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სხვა ფერმერული მიმართულებებისაგან განსხვავებით, თევზის გამოზრდაში ჩართული ფერმერები „ნაკლებ საჭირო“ და „საჭირო“ აფასებენ აღნიშნულ ბლოკში წარმოდგენილ მექანიზმებს (DEV 1 – 36.4%, DEV 2 – 27.3%, DEV 3 – 39.4%, DEV 4 – 30.3%), მაშინ, როდესაც მესაქონლეობის (DEV 1 – 42.1%, DEV 2 – 48.6%, DEV 3 – 65.8%, DEV 4 – 55.3%), და ღორის მოშენებელი (DEV 1 – 55.6%, DEV 2 – 66.7%, DEV 3 – 66.7%, DEV 4 – 61.1%), ფერმერების უმრავლესობა მათ „ძლიერ საჭიროდ“ და „საჭიროდ“ შეფასებას აძლევენ. მეფრინველეობაში ჩართულ ფერმერების შემთხვევაში გამოკითხულთა პასუხები ძირითადად „ძლიერ საჭიროდ“ და „ნაკლებად საჭიროდ“ კატეგორიებს შორის არის განაწილებული (იხ. ცხრილი 3.6).

ცხრილი 3.6. რესონდენტების საჭიროებები მეოთხე ბლოკის საკითხებთან მიმართებაში



**მონაცემების ანალიზის მეორე ეტაპზე**, 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 ბლოკების შემადგენელი დებულებებს შორის სტატისტიკური მნიშვნელოვანი სხვაობების გამოსავლენად თითოეული ფაქტორისთვის [ვეტერინარია (VET), მენეჯმენტი (MAN), კვება (FEE), მარკეტინგი/მეურნეობის განვითარება (DEV)] მოვახდინეთ საშუალო რანგების გამოყვანა (VET\_total = 2.56, MAN\_total = 2.30, FEE\_total = 2.80, DEV\_total = 2.35). იმისათვის, რომ დაგვედგინა, იყო თუ არა ზემოაღნიშნულ ცალკეულ ბლოკებს შიგნით თითოეული დებულების შეფასებებში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები, მივმართეთ ფრიდმანის არაპარამეტრულ ტესტს, რომლის შედეგად გამოვლინდა ოთხ ფაქტორს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობები (Chi-Square=12.54,  $p < .006$ ).

მოცემული ფაქტორების წყვილებს შორის განსხვავებების საპოვნელად გამოვიყენეთ უილკოქსონის რანგული კრიტერიუმის ტესტი, რომლის შედეგადაც გამოვლინდა, რომ ვეტერინარიის ბლოკში წარმოდგენილი დებულებები შეფასება სტატისტიკურად მნიშვნელოვნად აღემატებოდა მენეჯმენტის ( $Z = -2.802$ ,  $p < .005$ ) და მარკეტინგის ( $Z = -2.832$ ,  $p < .005$ ) ბლოკებში წარმოდგენილი დებულებების შეფასებებს; ანალოგიურად, კვების ბლოკი სტატისტიკურად აღემატებოდა მენეჯმენტის ( $Z = -2.144$ ,  $p < .032$ ) და მარკეტინგის ( $Z = -4.279$ ,  $p < .000$ ) ბლოკებს. თავად ვეტერინარიასა და კვებას შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა არ ვლინდება ( $Z = -.725$ ,  $p < .469$ ). ასევე არ გამოვლინდა სხვაობა მენეჯმენტსა და მარკეტინგს შორის ( $Z = -1.817$ ,  $p < .069$ ).

აღნიშნული მონაცემების საფუძველზე, ვასკვნით, რომ გამოკითხული რესპონდენტებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და უფრო საჭიროა ვეტერინარიისა (ბლოკი 1) და ფრინველის/ცხოველის/თევზის კვების (ბლოკი 3) ბლოკებში წარმოდგენილი საკითხები, ხოლო შედარებით ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება ფერმის მენეჯმენტის (ბლოკი 2) და მარკეტინგის/ფერმის განვითარების (ბლოკი 4) საკითხებს.

რაც შეეხება საქმიანობის მიმართულებით ჩაშლილ შედეგებს, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობები ფიქსირდება აკვაკულტურაში (Chi-Square=21.211,  $p < .001$ ), მესაქონლეობასა (Chi-Square = 29.541,  $p < .001$ ) და ღორის მოშენებაში (Chi-Square=13.623,  $p < .01$ ). მეფრინველეობაში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობები ფაქტორებს შორის არ გამოვლინდა.

კერძოდ, აკვაკულტურის (თევზის მოშენების) ფერმერები ყველაზე საჭიროდ მიიჩნევენ ფერმის მენეჯმენტის ბლოკში წარმოდგენილი საკითხების მიმართულებით ხელშეწყობას. ფერმის მენეჯმენტსა და ვეტერინარიას შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობები არ გამოვლინდა ( $Z = -.400$ ,  $p < .689$ ), ხოლო შემდგომ წყვილებში დარჩენილი ფაქტორი ყველა ფაქტორთან სტატისტიკურად მნიშვნელოვან სხვაობას აჩვენებს (FEE – VET  $Z = -3.306$ ,  $p < .001$ , DEV – VET  $Z = 3.430$ ,  $p < .001$ , FEE – MAN  $Z = 3.020$ ,  $p < .003$ ; DEV – MAN  $Z = -3.545$ ,  $p < .000$ ; DEV – FEE  $Z = -2.197$ ,  $p < .028$ ). ამრიგად, თევზის მოშენების ფერმერებისთვის თანაბრად ყველაზე მნიშვნელოვანია ფერმის მენეჯმენტი და ვეტერინარია, შემდეგ კვება, და ბოლოს – მარკეტინგი და ფერმის განვითარება.

მესაქონლეობაში ჩართული ფერმერებთან მიმართებაში, ფრიდმანის არაპარამეტრული ტესტის შედეგების მიხედვით, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობები მხოლოდ კვების ფაქტორთან მიმართებაში გამოვლინდა: კვების ფაქტორი სტატისტიკურად მნიშვნელოვნად აღემატებოდა ვეტერინარიის (FEE-VET,  $Z = -3.949$ ,  $p < .001$ ), ფერმის მარკეტინგის/ფერმის განვითარებისა (DEV – FEE,  $Z = -3.142$ ,  $p < .002$ ) და ფერმის მენეჯმენტის (FEE – MAN,  $Z = -4.169$ ,  $p < .000$ ) ფაქტორებს.

ღორის მოშენებაში შედარებით მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა კვება (mean rank = 3.14) და შემდგომ – მარკეტინგი (mean rank = 2.86).

აღსანიშნავია, რომ გარდა წარმოდგენილი ოთხი ფაქტორის შეფასებისა, რესპონდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ კითხვარის ბოლოს, კომენტარის სახით, დაეფიქსირებინათ ინდივიდუალური საჭიროებები და მათთვის მნიშვნელოვანი საკითხები. რესპონდენტების კომენტარები ფერმების სახეობების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

#### აკვაკულტურა:

- **სამცხე-ჯავახეთი, ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფ. ურაველი:** „ქართულ ენაზე შესაბამისი წიგნების არსებობა ძლიერ საჭიროა.“

- **სამეგრელო – ზემო სვანეთი, სოფ. ძველი სენაკი:** „მაქვს სატბორე, თუმცა მწირი ინფორმაციის გამო ჩემი მცდელობები გამოდგა უშედეგო, ამიტომ ამ დარგის სპეციალისტის მომზადება ქვეყანაში დაგვეხმარება თევზის მოშენებაში. იმედია, ამ სურვილს ავიხდენ.“
- **სამცხე-ჯავახეთი, ქ. ახალციხე:** „კარგია ასეთი კითხვარები, რათა გავავრცელოთ ჩვენი ფერმერების შესახებ ყველა ის ინფორმაცია, რაც აინტერესებს მოსახლეობას, აგრეთვე, ყველა დამწყებ და დაინტერესებულ ადამიანებს, რომლებსაც აინტერესებთ ეს ბიზნესი, დავეხმარებით ამ კითხვარებით ყველა შესაძლო რისკზე და მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის მიღებაში.“

#### მესაქონლეობა:

- **სამეგრელო – ზემო სვანეთი, მესტიის რაიონი, სოფ. იდლიანი:** „კარგი იქნებოდა ვეტერინარული ტრენინგები და ფერმერების გადამზადება.“
- **ქვემო ქართლი, გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვაზიანი:** „ვისურვებდი სეზონური დაავადებების შესახებ დროული ინფორმაციის მიღებას.“
- **კახეთი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი:** „დაინტერესებული ვარ ჩავერთო ტრენინგებში, მოვიპოვო ინფორმაცია დაფინანსებასთან დაკავშირებით.“
- **კახეთი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. მაჩხაანი:** „მობარული ვარ ჩავერთო ტრენინგებში მეცხოველეობის მიმართულებით.“
- **ქვემო ქართლი, სოფ. თონეთი:** „ინფორმაციის მიღება პროექტების შესახებ.“
- **კახეთი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი:** „ფერმის აღჭურვილობის გაუმჯობესება.“
- **ქვემო ქართლი, გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნორიო:** „ფერმის შენობის რეკონსტრუქცია.“
- **სამცხე-ჯავახეთი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩუნჩხა:** „ძალიან მნიშვნელოვანი კვლევაა ფერმერებისთვის. წარმატებას გისურვებთ.“
- **სამცხე-ჯავახეთი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩუნჩხა:** „ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია კარგი ვეტერინარის ყოფილი რეგიონში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, რათა ფერმერმა შეძლოს და ჩვენ იმედიანად ვიყოთ. თუმცა, მრავალწლიანი გამოცდილებიდან გამომდინარე, ჩვენ, ფერმერებიც კარგად ვართმევთ თავს ვეტერინარის სპეციალისტის საქმიანობას.“
- **სამცხე-ჯავახეთი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩუნჩხა:** „კარგი ვეტერინარი ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი რეგიონისთვის, რადგან ყოველთვისაა რისკი მსხვილფეხა პირუტყვის დაავადების, ვაქცინაციის, გადასხმების. ამიტომ, სტანდარტიზაცია მეტად გამოაცოცხლებს ჩვენი ფერმერების საქმიანობას და საქმის შესრულებიდან გამომდინარე – ხარისხს.“
- **სამეგრელო – ზემო სვანეთი, მესტიის რაიონი, სოფ. იდლიანი:** „ყველაფერი ჯანსაღი მივიღოთ.“
- **კახეთი, სოფ. ახალსოფელი:** „მინდა ცოდნის გაღრმავება და მესაქონლეობის გაფართოება.“

#### მეფრინველეობა:

- **ქვემო ქართლი, ქ. გარდაბანი:** „თანამშრომლების კვალიფიკაციის და ცოდნის დონის ამაღლება.“
- **სამეგრელო – ზემო სვანეთი, სოფ. ძველი სენაკი:** „ეზოტიური ფრინველების მოვლა-პატრონობაზე, კვებასა და მკურნალობაზე მეტი ინფორმაციის მიღება.“

## დასკვნა და რეკომენდაციები

მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს მასშტაბით მცირე და საშუალო ზომის ფერმერების საჭიროებების გამოვლენას და გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით შესაბამისი გზამკვლევების მომზადება და პოლიტიკის შემქნელებისთვის შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება და გაზიარება. შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებას.



კვლევის ფარგლებში გამოკითხული 113 მცირე და საშუალო ზომის ფერმერის მიერ მათი საქმიანობის განვითარებისა და ხელშეწყობის მექანიზმების საჭიროებების ფაქტორული ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ მესაქონლეობაში, თევზის მოშენებაში (აკვაკულტურა), მეფრინველეობასა და ღორის მოშენებაში ჩართული ფერმერებისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია და საჭიროებას წარმოადგენს ვეტერინარული სერვისების და ფრინველის/ცხოველის/თევზის კვების მიმართულებით მხარდაჭერა, ხოლო შედარებით ნაკლებ საჭიროებას წარმოადგენს ფერმის მენეჯმენტის და ფერმის განვითარების/მარკეტინგის ხელშეწყობა და განვითარება (ფაქტორების დეტალური აღწერა იხილეთ დანართი 4-ში).

რაც შეეხება ფერმერების სახეობების ინდივიდუალურ საჭიროებებს, შედეგების ანალიზის საფუძველზე ვადგენთ, რომ:

- მესაქონლეობაში ჩართული ფერმერებისთვის ცხოველების კვების მიმართულებით ხელშეწყობი მექანიზმების არსებობა უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე დარჩენილი სამი (ვეტერინარია, ფერმის მენეჯმენტი, ფერმის მარკეტინგი/ფერმის განვითარება) ფაქტორის მიმართულებით ხელშეწყობა. ამ ჯგუფის რესპონდენტების შეფასებების თანახმად, მათ რეგიონ(ებ)ში ძალზედ საჭიროა ინფორმირებულობის გაზრდა ცხოველების კვების საკითხებთან მიმართებაში. ამ მიზნით აუცილებელია შემდეგი მექანიზმების გააქტიურება: რეგიონის ფარგლებში ხარისხიანი და ფერმისთვის აუცილებელი პროდუქტის ხელმისაწვდომობის შესახებ ინფორმაციის გაზიარება (საკვებ-საამქროს სპეციალისტის საკონტაქტო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა); საკვებისმიერი პრობლემების პირველადი ნიშნების დიაგნოსტიკის ცნობარის შემუშავება და ფერმერებთან გაზიარება, რომელიც შეიცავს ინფორმაციას საკვების შემადგენლობაზე და საკვების ლაბორატორიის საკონტაქტო მონაცემებს; რეგიონში ფერმერებთან საკვების ფასებზე პერიოდული განახლებული ინფორმაციის გაზიარება.
- თევზის მოშენებაში (აკვაკულტურის) ჩართული ფერმერებისთვის ფერმის მენეჯმენტის და იხტიოლოგის მომსახურების მიმართულებით ხელშეწყობი მექანიზმების არსებობა და განვითარება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თევზების კვებისა და ფერმის განვითარების/მარკეტინგის ხელშეწყობი მექანიზმების განვითარება. ამ მიზნით, აუცილებლობას წარმოადგენს შემდეგი მიმართულებით მექანიზმების განვითარება და ფერმერებისთვის შეთავაზება: რეგიონში გავრცელებულ დაავადებებზე ინფორმაციის დროული გაზიარება – გამოქვეყნება; ფერმერებისთვის პრაქტიკოსი იხტიოლოგის ადგილზე მომსახურების შესაძლებლობის შეთავაზება (მედიკამენტოზური მკურნალობის დანიშვნა, ვაქცინაციის და სხვა მიზნით); თევზის მოშენების ფერმებზე დასაქმებული პერსონალისთვის (მომვლელი, იხტიოლოგი, მენეჯერი) სხვადასხვა თემაზე სემინარების მოწყობა.
- მეფრინველეობის მოშენებაში ჩართული ფერმერების მიერ წარმოდგენილი პასუხების ანალიზმა არ გამოავლინა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობები წარმოდგენილ ოთხ ფაქტორს შორის, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ კატეგორიის ფერმერები ოთხივე ფაქტორს (ვეტერინარია, ფრინველების კვება, ფერმის მენეჯმენტი, მარკეტინგი/ფერმის განვითარება) თანაბარ პრიორიტეტს ანიჭებენ და ოთხივე მიმართულებით საჭიროებენ მხარდაჭერას.
- ღორის მოშენებაში ჩართული ფერმერების მცირე რიცხვიდან გამომდინარე (N=18), შეუძლებელი იყო ფაქტორებს შორის შედარებითი ანალიზის განხორციელება. დაფიქსირებული პასუხების საშუალო რანგების ანალიზის შედეგების მიხედვით, ფერმერების ამ კატეგორიისთვის შედარებით მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა კვება (mean rank = 3.14) და შემდგომ – მარკეტინგი (mean rank = 2.86). ამ მიზნით რეკომენდებულია ღორის მოშენების ფერმერებისთვის მსგავსად მესაქონლეობაში ჩართული ფერმერებისა, რეგიონის ფარგლებში ხარისხიანი და ფერმისთვის აუცილებელი პროდუქტის ხელმისაწვდომობის შესახებ ინფორმაციის დროული გაზიარება და საკვებისმიერი პრობლემების პირველადი ნიშნების დიაგნოსტიკის ცნობარის შემუშავება და გაზიარება.

## თავი 4. ვეტერინარული განათლების მიღწევები და პერსპექტივები ესტონეთსა და ლატვიაში

### უმაღლესი ვეტერინარული განათლება

სავეტერინარო მედიცინა ევროკავშირის (EU) შვიდი რეგულირებადი პროფესიიდან ერთ-ერთია.

რეგულირებადი პროფესიები – ექიმები, სტომატოლოგები, ფარმაცევტები, მედლები, ბებიქალები, ვეტერინარიის ქირურგები და არქიტექტორები – სარგებლობენ მათი კვალიფიკაციის ავტომატური აღიარებით მინიმალური სწავლების მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველზე. აღნიშნული მოთხოვნები მუშავდებოდა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში და ამჟამად ჩამოყალიბებულია ერთიან საკანონმდებლო დოკუმენტში, ევროკავშირის პროფესიული კვალიფიკაციის დირექტივაში 2013/55/EU (ძველი დირექტივა 2005/36/EC შესწორება). დირექტივის დარგობრივ ნაწილში, სავეტერინარო მედიცინის მომზადების მოთხოვნები განსაზღვრულია 38-ე პარაგრაფში და მე-5 დანართში. მოცემული დებულებები არეგულირებენ ტრენინგზე მიღების პირობებს და ტრენინგის მინიმალურ ხანგრძლივობას, გთავაზობენ ვეტერინარიის კურსდამთავრებულთათვის დასაუფლებელი უნარებისა და ცოდნის ელემენტების სიას. დირექტივა ასევე ძალიან მკაფიოდ ადგენს (მუხლი 38, პუნქტი 3), რომ „ვეტერინარიის ქირურგის მომზადება გარანტიას უნდა იძლეოდეს, რომ აღნიშნულმა პირმა შეიძინა შემდეგი ცოდნა და უნარები“. ვეტერინარული განათლების დაწესებულებების ევროპულმა ასოციაციამ (EAEVE) უფრო განავითარა რეკომენდებული და ძირითადი კომპეტენციები, რომლებსაც უნდა ფლობდნენ კურსდამთავრებულები „პირველი დღის კომპეტენციები“.

სავეტერინარო მედიცინა იყო პირველი და დღემდე რჩება რეგულირებადი პროფესიების ერთადერთ მიმართულებად ევროპის მასშტაბით ხარისხის შეფასების და აკრედიტაციის პროგრამით, რომელსაც 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მართავს EAEVE [ამჟამად ევროპის ვეტერინართა ფედერაციასთან ერთად (FVE)]. ევროკავშირის ვეტერინარიის სკოლების შეფასება ხორციელდება ევროპის კომისიასთან ერთად.

საბაკალავრო და სამაგისტრო ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამები მოიცავენ როგორც საბაზისო, ისე სპეციალიზებულ სწავლებას. ასეთი ხანგრძლივი ციკლის პროგრამები, როგორც წესი, შემოთავაზებულია მედიცინის, ვეტერინარიის, ფარმაციის, სტომატოლოგიის, არქიტექტურის, სამოქალაქო ინჟინერიის და სკოლის მასწავლებლების მომზადების დარგში. კურსდამთავრებულები იღებენ კვალიფიკაციას, რომელიც ადასტურებს ინტეგრირებული სასწავლო პროგრამების დასრულებას. ფარმაციის, არქიტექტურის, სამოქალაქო ინჟინერიისა და სკოლის მასწავლებლის მომზადების პროგრამის კურსდამთავრებულებს ენიჭებათ მაგისტრის ხარისხი. მედიცინის, სტომატოლოგიისა და ვეტერინარიის პროგრამების კურსდამთავრებულებს მიენიჭებათ მედიცინის (მასთან გათანაბრებული) ხარისხი, სტომატოლოგიის (მასთან გათანაბრებული) ხარისხი ან სავეტერინარო მედიცინის ხარისხი (მასთან გათანაბრებული). ეს კვალიფიკაცია იძლევა ასპირანტურის სადოქტორო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

მიუხედავად იმისა, რომ ვეტერინარიის პროგრამების ზოგადი სტრუქტურა განსხვავებულია [მაგ. ინტეგრირებული სწავლების ხანგრძლივი პერიოდის სისტემა უფსალაში (შვედეთი) და ტარტუში (ესტონეთი)], ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის პროგრამის კომბინირებული სასწავლო პროგრამები ჰელსინკში (ფინეთი) და გენტში (ბელგია)], სავეტერინარო მედიცინის სრული პროგრამა მოიცავს ხუთიდან ექვს წლამდე პერიოდს ევროპულ უნივერსიტეტებში.

საბაკალავრო პროგრამა და სწავლების პირველი სამი წელი წარმოადგენს ვეტერინარული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის პირველ საფეხურს, რომელიც შექმნილია სტუდენტების ზოგადი საგანმანათლებლო ცოდნისა და უნარების გასაუმჯობესებლად. ბაკალავრის ხარისხი გაცივს ვეტერინარული სწავლების პირველი სამი წლის წარმატებით დასრულების შემდეგ, თუმცა, კურსდამთავრებულე-

ბი, როგორც წესი, არ არიან საკმარისად კვალიფიციურები იმისთვის, რომ იმუშაონ ასისტენტებადაც კი, კვალიფიციური ვეტერინარის მკაცრი კონტროლის ქვეშ. ორწლიანმა სწავლებამ მაგისტრატურაზე უნდა მისცეს სტუდენტებს დამოუკიდებელი კლინიკური მუშაობის კომპეტენცია.

პირზე, რომელმაც დაასრულა ბაკალავრიატი, გაცივმა დიპლომი უნივერსიტეტის მიერ, რომელიც ადასტურებს სასწავლო პროგრამის დასრულებას და ბაკალავრის ხარისხის მინიჭებას, როგორცაა მეცნიერების ბაკალავრი სავეტერინარო მედიცინაში (BSc) ან სავეტერინარო მედიცინის ბაკალავრი. ვეტერინარიის გრძელვადიანი პროგრამის დასრულება შეესაბამება მაგისტრატურის დონეს. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ მაგისტრის ხარისხი არ არის სამეცნიერო ხარისხი. ინტეგრირებული ხანგრძლივი ციკლის ან მაგისტრატურის დონის სასწავლო პროგრამის ვეტერინარული ხარისხის პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულმა მიიღო ვეტერინარის სტატუსი ("vetvrach" = „ვეტერინარი“ = „ვეტერინარი ქირურგი“ = მაგისტრის ხარისხი სავეტერინარო მედიცინაში = ხარისხი ვეტერინარიაში = სავეტერინარო მედიცინის დოქტორი = DVM), ე.ი. ვეტერინარად მუშაობისა და პრაქტიკის უფლება.

სასწავლო პროგრამები და კვლევების ჩატარება უნდა შეესაბამებოდეს საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის შიდა სტანდარტებს, ასევე ეროვნულ და საერთაშორისო ხარისხის მოთხოვნებსა და მეთანხმებებს.

მაგისტრატურაზე, ვეტერინარიის სტუდენტებმა, მედიცინის სტუდენტებთან შედარებით, გაცილებით მეტი დრო უნდა დაუთმონ პრაქტიკულ მომზადებას, ვიდრე სამეცნიერო კვლევას. ჩვეულებრივ პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს გონივრული მიდგომა, რომ სადიპლომო ან საკურსო საათების გამოყენებულ იქნას პრაქტიკისთვის. სასწავლო პროგრამები უნდა ეფუძნებოდეს საფუძვლიან ცოდნას (ვეტერინარული) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის/კვების ჰიგიენის სფეროში. გარდა ამისა, პრაქტიკულ მომზადებას ძალზედ დიდი მნიშვნელობა აქვს და შესაბამისი (კლინიკის ჩათვლით) მომზადებისთვის გამოყოფილი დრო უნდა შეადგენდეს 5 – ან 6-წლიან სასწავლო პროგრამის მინიმუმ 40%-ს.

სადოქტორო პროგრამები წარმოადგენენ უმაღლესი განათლების მესამე ციკლს, რომელთა მიზანია დამოუკიდებელი კვლევისთვის, განვითარებისა ან პროფესიონალური სამუშაოსთვის ცოდნისა და უნარების დაუფლება. სადოქტორო სწავლებაზე მიღების მოთხოვნაა მაგისტრის ხარისხი სავეტერინარო მედიცინა ან შესაბამისი კვალიფიკაციები (DVM-სთან გათანაბრებული). პროგრამის ხანგრძლივობაა 3-დან 4 წლამდე (180-240 ECTS კრედიტი). სადოქტოროს დასრულებისას მიღებული კვალიფიკაცია არის დოქტორის ხარისხი – „ფილოსოფიის დოქტორი“ (PhD).

დოქტორის ხარისხი არის სამეცნიერო ხარისხი, რომელიც გაცივმა სასწავლო პროგრამის დასრულებისა და დისერტაციის საჯარო დაცვის შემდეგ და დაფუძნებულია დამოუკიდებელ სამეცნიერო კვლევით სამუშაოზე. დოქტორანტურის მიმართულებები (სხვადასხვა სასწავლო პროგრამა) ჩვეულებრივ იყოფა ფართო ჯგუფებად. ერთ-ერთი მათგანია სოფლის მეურნეობა. თუმცა, უფრო ზუსტი ქვედანაყოფები (სწავლის სფეროები) გამოიყენება ეროვნული სადოქტორო პროგრამების სისტემის აღწერისთვის. ქვედანაყოფების დაყოფა, როგორცაა "სოფლის მეურნეობის მეცნიერებები" (მოიცავს სპეციალობებს, როგორცაა აგრონომია, ზოოტექნიკა – მეცნიერება სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მოშენების, კვების, შენახვისა და სწორად გამოყენების შესახებ, სატყეო და მეთევზეობა) და "სავეტერინარო მედიცინა" (ხშირად მოიცავს კვების მეცნიერებას) ჩვეულებრივ გამოიყენება სხვადასხვა ეროვნულ საგანმანათლებლო სქემებში. მიუხედავად არჩეული სპეციალობისა, მინიჭებული ხარისხი არის "ფილოსოფიის დოქტორი" (PhD), რასაც მოჰყვება დასრულებული სასწავლო პროგრამის დასახელება და სასწავლო პროგრამის სპეციფიკური სპეციალობა.

## ვეტერინართა მომზადება

ქვემოთ მოყვანილია სავეტერინარო მედიცინის საბაკალავრო საუნივერსიტეტო დონის სრულფასოვანი სასწავლო პროგრამის მოთხოვნების აღწერა, შესაბამისი კომენტარების ჩათვლით. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ დამზებულია მხოლოდ სრული დასწრება, დისტანციური სწავლება ითვლება შეუსაბამოდ ევროკავშირში სავეტერინარო მედიცინის პროგრამებისთვის.

### 1. ვეტერინარული განათლება და სასწავლო პროგრამა

(1) კურსის სტანდარტული ხანგრძლივობა არის ხუთი (ან ექვსი) წელი, ხოლო სასწავლო პროგრამა შედგება 300 (ან 360) ECTS კრედიტისგან.

(2) ვეტერინარი ქირურგების მომზადება უნდა მოიცავდეს სრულ განაკვეთზე თეორიულ და პრაქტიკულ სწავლას უნივერსიტეტში ან უნივერსიტეტის ზედამხედველობის ქვეშ (მაგ., დაუსწრებელი პრაქტიკული სწავლება ან კლინიკური პრაქტიკა). პრაქტიკული სწავლება შეიძლება განხორციელდეს სასწავლო პერიოდის სახით, იმ პირობით, რომ ასეთი სწავლება ჩატარდება სრული განაკვეთით და კომპეტენტური ორგანოს უშუალო კონტროლის ქვეშ და არ აღემატება ექვს თვეს ხუთწლიანი სწავლის მთლიანი სასწავლო პერიოდის განმავლობაში.

(3) სასწავლო პროგრამა უნდა მოიცავდეს სულ მცირე მოცემული კანონის დანართში ჩამოთვლილ საგნებს/კურსებს (*ევროკავშირის პროფესიული კვალიფიკაციის შესახებ დირექტივის 2013/55/EU შესაბამისად*), ხოლო სწავლება ერთ ან რამდენიმე საგანში შეიძლება ჩატარდეს როგორც სხვა კურსების ნაწილი ან მათთან ერთობაში. თეორიული და პრაქტიკული სწავლების გადანაწილება საგნების სხვადასხვა ჯგუფს შორის უნდა იყოს დაბალანსებული და კოორდინირებული, იმგვარად რომ ცოდნისა და გამოცდილების მიღების შემდეგ ვეტერინარმა ქირურგებმა შეძლონ ყველა თავიანთი მოვალეობის შესრულება.

### 2. მიღების კრიტერიუმები

(1) საშუალო სკოლის დიპლომი ან მისი ექვივალენტი.

### 3. სწავლის შედეგები

ვეტერინარი ქირურგის მომზადებამ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი პირის მიერ შემდეგი ცოდნის მიღება და უნარების განვითარება:

1. იმ მეცნიერებების სათანადო ცოდნა, რომლებზეც დაფუძნებულია ვეტერინარული პროფესიის საქმიანობა;
2. ადეკვატური ცოდნა ცხოველების სტრუქტურის, ფუნქციებისა და ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების, ცხოველთა მეურნეობის, ცხოველთა კეთილდღეობის, გამრავლებისა და ზოგადად ცხოველთა ჰიგიენის შესახებ; ასევე მათი კვების, მათ შორის, მათი საჭიროებების შესაბამისი საკვების წარმოებისა და კონსერვაციაში ჩართული ტექნოლოგიების ცოდნა;
3. შესაბამისი ცოდნა ცხოველების ქცევისა და ცხოველების დაცვის შესახებ (ადამიანისა და ცხოველის ურთიერთობის ეთიკა და ადამიანის მიერ ცხოველების მოპყრობა);
4. კლინიკური, ეპიდემიოლოგიური და ანალიტიკური უნარები და კომპეტენციები, რომლებიც საჭიროა ცხოველთა დაავადებების პროფილაქტიკისთვის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვის, ანესთეზიის, ასეპტიური ქირურგიისა და უმტკივნეულო სიკვდილის ჩათვლით, ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად განხილული, მათ შორის სპეციფიკური ცოდნა იმ დაავადებების შესახებ, რომლებიც შეიძლება გადაეცეს ადამიანებს;
5. პრევენციული მედიცინის შესაბამისი ცოდნა, მათ შორის კომპეტენციები, რომლებიც დაკავშირებულია გამოკითხვასთან და სერტიფიცირებასთან;
6. ჰიგიენისა და ტექნოლოგიის შესაბამისი ცოდნა, რომელიც გამოიყენება ცხოველის საკვების ან ადამიანის მიერ მოხმარებისთვის განკუთვნილი ცხოველური წარმოშობის საკვების წარმოებაში, დამზადებასა და რეალიზაციაში; დამატებითი უნარები და კომპეტენციები, რომელიც საჭიროა კარგი პრაქტიკის გასაგებად აღნიშნულთან დაკავშირებით;
7. ზემოთ აღნიშნულ საგნებთან დაკავშირებული კანონების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული დებულებების შესაბამისი ცოდნა;

8. შესაბამისი კლინიკური და სხვა პრაქტიკული გამოცდილება (მემორწმებების შესრულებისას) სათანადო ზედამხედველობის ქვეშ.

#### 4. სპეციალისტის პრაქტიკული კურსების მასწავლებელთა კვალიფიკაციის მოთხოვნები

(1) სულ მცირე მაგისტრის ხარისხი ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და პროფესიული გამოცდილების სამი წელი.

#### 5. ვეტერინარიის სასწავლო პროგრამის დასრულება

(1) როგორც წესი მოითხოვება საბოლოო გამოცდა ან დისერტაციის დაცვა.

(2) სასწავლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ, სტუდენტზე გაიცემა დიპლომი, რომელიც ადასტურებს, რომ სტუდენტმა დაასრულა ვეტერინარიის ინტეგრირებული გრძელვადიანი სასწავლო პროგრამა [კურსდამთავრებულს მიღებული აქვს ვეტერინარის სტატუსი (“vetvrach” = “ვეტერინარი ქირურგი” = “ვეტერინარი” = “ექიმი ვეტერინარი” = “ვეტერინარიის ექიმი” = **DVM**)] და რომ მაგისტრის ხარისხის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, ხოლო დიპლომის დანართ აღწერს მისი მფლობელის მიერ დასრულებული სწავლების ბუნებას, დონეს, კონტექსტს, შინაარსსა და სტატუსს.

(3) ვეტერინარიის პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს წვდომა სადოქტორო (PhD) პროგრამებზე (უმაღლესი განათლების მესამე საფეხური) უნივერსიტეტის საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

### სავეტერინარო მომზადების შეფასების ევროპული სისტემის (ESEVT) სტანდარტული საოპერაციო პროცედურა (SOP)

ვეტერინარული მომზადება შეფასების ევროპული სისტემა (ESEVT) არის პროფესიონალური კოლეგიალური შეფასების EAEVE-სა და FVE-ს მიერ შემუშავებული სისტემა, ვეტერინარული განათლების დაწესებულებებისთვის და მათი აკრედიტაციისთვის, რომელიც უზრუნველყოფს ვეტერინარიის სტუდენტების ეფექტურ მომზადებას. ESEVT-ს მთავარი მიზანია შეაფასოს, შეესაბამება თუ არა ვეტერინარული განათლების დაწესებულებების (VEEs) მიერ მოწოდებული პროფესიული კვალიფიკაციები ევროკავშირის (EU) შესაბამის დირექტივებს და რეკომენდაციებს ხარისხის უზრუნველყოფისათვის უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში (ESG).

შეფასების სისტემა ჩაფიქრებული იყო როგორც კოლეგიალური შეფასების პროგრამა და დაინერგა 1985 წელს. ის დაფინანსებულია ევროკომისიის მიერ ვეტერინარული მომზადების მრჩეველთა კომიტეტის (ACVT) რეკომენდაციით. მას შემდეგ, ESEVT მუდმივად ვითარდებოდა და ხდებოდა განახლება EAEVE წევრებისა და დაინტერესებული მხარეების მიერ გაუმჯობესების წინადადებების გათვალისწინებით, ასევე ვეტერინარულ განათლებასა და მომზადებაში და მთლიანად ვეტერინარულ პროფესიაში უახლესი მოვლენების გათვალისწინებით. ESEVT-მა გაიარა გარე შეფასება და მიიღო აკრედიტაცია უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) მიერ.

სავეტერინარო მომზადების შეფასების ევროპული სისტემის (ESEVT) სტანდარტული საოპერაციო პროცედურის (SOP) უახლესი ვერსია დამტკიცდა ლაიფციგის გენერალურ ასამბლეაზე 2023 წლის 8 ივნისს [იხ. სტანდარტული საოპერაციო პროცედურა (SOP) 2023].

## ლატვიის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი (LTBU)

სავეტერინარო მედიცინის სფეროში ლატვიაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სახელმწიფო პოლიტიკას, მხარდაჭერის პროგრამას და ლიცენზირების წესებს. წინამდებარე ანალიზი წარმოგიდგინთ სფეროში მიმდინარე მოვლენების ზოგად მიმოხილვას, რომელიც გამოყოფს ძირითად ასპექტებს, როგორებიცაა სახელმწიფო პოლიტიკა, სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები, ვეტერინარების ლიცენზირება და სხვა.

### სახელმწიფო პოლიტიკა

ლატვიამ მკაცრი სახელმწიფო პოლიტიკა გაატარა სავეტერინარო მედიცინის სფეროში ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად და კვების მიწოდების ჯაჭვის უსაფრთხოებისათვის. ლატვიის მთავრობამ აქტიური მხარდაჭერა გაუწია ცხოველთა ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას კანონმდებლობის, რეგულაციებისა და სახელმძღვანელო რეკომენდაციების საშუალებით. აქცენტი კეთდება დაავადების პრევენციის, მეთვალყურეობისა და კონტროლის ზომებზე, მათ შორის, ვაქცინაციის პროგრამებზე, ცხოველთა იდენტიფიკაციასა და მიკვლევადობის სისტემებზე. გარდა ამისა, ლატვია აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ისეთებთან, როგორიცაა ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (OIE), თავისი პოლიტიკის გლობალურ სტანდარტებთან შესაბამისობისთვის.

### სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა

ლატვიამ დანერგა სხვადასხვა სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა ვეტერინარიის დარგის განვითარებისა და ზრდის ხელშეწყობისთვის. ეს პროგრამები მიზნად ისახავს ვეტერინარული კლინიკებისა და დაწესებულებების ინფრასტრუქტურის, აღჭურვილობისა და ექსპერტიზის გაუმჯობესებას. ვეტერინარები იღებენ ფინანსურ მხარდაჭერას განათლების, ტრენინგისა და კვლევის გასაგრძელებლად. გარდა ამისა, ლატვიის მთავრობა სთავაზობს გრანტებს და სუბსიდიებს თანამედროვე ვეტერინარულ ტექნოლოგიებსა და ობიექტებში ინვესტიციების წახალისებისთვის. ეს მხარდაჭერის პროგრამები გადამწყვეტ როლს თამაშობენ ქვეყნის მასშტაბით მაღალი ხარისხის ვეტერინარული მიწოდების უზრუნველსაყოფად.

### ვეტერინართა ლიცენზირება

ვეტერინართა ლიცენზირება ლატვიაში რეგულირებული პროცესია, რომელიც უზრუნველყოფს ვეტერინარულ დახმარების გაწევას კვალიფიციური პროფესიონალების მიერ. სავეტერინარო მედიცინის პრაქტიკისთვის, ინდივიდუალურმა პირებმა უნდა დაასრულონ აღიარებული ვეტერინარული განათლების პროგრამა და გაიარონ ეროვნული სალიცენზიო გამოცდა. ლატვიის ვეტერინარული პალატა ზედამხედველობს ლიცენზირების პროცესს და აწარმოებს ლიცენზირებული ვეტერინარების რეესტრს. ეს სისტემა უზრუნველყოფს პრაქტიკოსების კომპეტენციას და პროფესიონალიზმს, იცავს მათ მზრუნველობის ქვეშ მყოფი ცხოველების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას. ვეტერინარის ხელახალი ლიცენზირება ტარდება ყოველ 5 წელიწადში ერთხელ. ლიცენზირების მიღება შესაძლებელია ორი გზით, როგორც უწყვეტი განათლების ქულების მოპოვებით ან სალიცენზიო გამოცდით, თუ ქულების რაოდენობა არასაკმარისია.

### სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი (VMF)

ლატვიის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის (LBTU) სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი (VMF) არის ერთადერთი დაწესებულება უმაღლესი ვეტერინარული განათლებისთვის ლატვიაში. პირველად ვეტერინარული განათლება ლატვიაში დაარსდა 1919 წელს, როდესაც ლატვიის უნივერსიტეტი შეიქმნა ლატვიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს მიღებისთანავე (1918 წლის 18 ნოემბერს). 1944 წელს სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი (VMF) შევიდა ლატვიის სოფლის მეურნეობის აკადემიის შემადგენლობაში (ამჟამად ლატვიის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი). 1964 წლიდან დღემდე სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი (VMF) მდებარეობს ელგავაში.

სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი (VMF) ახორციელებს 2 სასწავლო პროგრამას: პროფესიული სასწავლო პროგრამასა და სადოქტორო სასწავლო პროგრამას სავეტერინარო მედიცინაში. პროგრამები ლიცენზირებულია და აკრედიტებულია სახელმწიფო დონეზე 2028 წლამდე და დამტკიცებულია EAEVE-ს მიერ 2026 წლამდე.

ლატვიის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი (LBTU) დიდ პრიორიტეტს ანიჭებს ვეტერინარების განათლების ხარისხს და განვითარებას.

2013 წელს ERAF-ის პროგრამის ფარგლებში დასრულდა ლატვიის სოფლის მეურნეობის უნივერსიტეტის ვეტერინარული საავადმყოფოს (VH) რეკონსტრუქცია. ამჟამად სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტს (VMF) აქვს საავადმყოფო სამი განცალკევებული და კეთილმოწყობილი კლინიკა: წვრილფეხა ცხოველთა კლინიკა, პროდუქტიულ ცხოველთა კლინიკა და ცხენის კლინიკა. 2016 წლიდან სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის (VMF) ბაზაზე განთავსებულია მოლეკულური ბიოლოგიისა და მიკრობიოლოგიის სამეცნიერო ლაბორატორია.

### ვეტერინარული განათლების პროგრამების აღწერა და აკრედიტაცია

ლატვიაში ვეტერინარულმა საგანმანათლებლო პროგრამებმა მნიშვნელოვანი განვითარება განიცადეს დარგის ცვალებადი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. აკრედიტაციისა და ხარისხის აღიარების პროცესები უზრუნველყოფენ პროგრამების მაღალი სტანდარტების შენარჩუნებას და ვეტერინარი კომპეტენტური პროფესიონალების გადამზადებას. წინამდებარე ნაწილი განიხილავს ვეტერინარული საგანმანათლებლო პროგრამების, აკრედიტაციის პროცედურების, სასწავლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების სფეროში საუკეთესო პრაქტიკის განვითარებას და დარგობრივი სპეციალიზაციის პრაქტიკის კომპონენტის/სტაჟირების დეტალურ აღწერას სტუდენტებისთვის.

### ვეტერინარული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება

ვეტერინარული საგანმანათლებლო პროგრამები შექმნილია იმისთვის, რომ სტუდენტებს მიაწოდოს ყოვლისმომცველი ცოდნა ცხოველების ჯანმრთელობის, დაავადების პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შესახებ. ეს პროგრამები ვითარდება, რათა გააერთიანოს ვეტერინარული მეცნიერებებისა და განვითარებადი ტექნოლოგიების მიღწევები და პროფესიის ცვალებადი მოთხოვნილებები. სასწავლო პროგრამა მუდმივად განიხილება და განახლდება ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობისთვის და დარგის განვითარებადი გამოწვევების დასაკმაყოფილებლად.

### აკრედიტაცია და ხარისხის აღიარება

აკრედიტაცია თამაშობს გადამწყვეტ როლს ლატვიაში ვეტერინარული განათლების პროგრამების ხარისხისა და სტანდარტიზაციის უზრუნველყოფაში. ლატვიის აკრედიტაციის სააგენტო აფასებს და აკრედიტაციას ანიჭებს ვეტერინარულ პროგრამებს წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, რომლებიც აფასებენ სასწავლო პროგრამას, ფაკულტეტის კვალიფიკაციას, ინფრასტრუქ-

ტურას და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომ რესურსებს. აკრედიტაცია არა მხოლოდ უზრუნველყოფს პროგრამების შესაბამის სტანდარტებს, არამედ ხელს უწყობს ვეტერინარული განათლების მუდმივ გაუმჯობესებას.

### **სასწავლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების საუკეთესო პრაქტიკები**

სასწავლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ვეტერინარულ საგანმანათლებლო პროგრამებში შეესაბამება საუკეთესო პრაქტიკას სტუდენტებისთვის მრავალმხრივი განათლების უზრუნველსაყოფად. ეს პრაქტიკები მოიცავენ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს შორის ბალანსს, ინტერდისციპლინარული საგნების ინტეგრაციას და ფაკულტეტისა და დარგის პროფესიონალების აქტიურ ჩართულობას. სასწავლო პროგრამა შექმნილია კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრის უნარებისა და ეთიკური გადაწყვეტილების მიღების მიზნით. იგი ასევე ხაზს უსვამს ვეტერინარულ პრაქტიკაში ეფექტური კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის უნარების განვითარებას.

### **სასწავლო პროგრამის აღწერა**

ვეტერინარული სასწავლო პროგრამა ლატვიაში დაყოფილია ორ ძირითად ნაწილად: პრეკლინიკური და კლინიკური კომპონენტები.

### **პრეკლინიკური კომპონენტები**

სასწავლო პროგრამის პრეკლინიკური ნაწილი ფოკუსირებულია სტუდენტებისთვის სავეტერინარო მედიცინის შესაბამისი საბაზისო მეცნიერებების ძლიერი საფუძვლის მიწოდებაზე. იგი მოიცავს ისეთ საგნებს, როგორიცაა ანატომია, ფიზიოლოგია, ბიოქიმია, მიკრობიოლოგია, პათოლოგია, ფარმაკოლოგია და ცხოველთა ქცევა. სტუდენტები იძენენ ცოდნას ამ დისციპლინებში, რათა გაიგონ ცხოველების ნორმალური სტრუქტურა და ფუნქცია და დაავადებათა პათოფიზიოლოგია.

### **კლინიკური კომპონენტი**

სასწავლო პროგრამის კლინიკური ნაწილი შექმნილია პრეკლინიკური ცოდნის გასაუმჯობესებლად და ვეტერინარული დიაგნოზის, მკურნალობის და პაციენტთა მოვლის პრაქტიკული უნარების გასაძლიერებლად. ის შეიცავს როტაციებს სხვადასხვა კლინიკურ დეპარტამენტებში, როგორცაა მედიცინა წვრილფეხა ცხოველებისთვის, მედიცინა მსხვილფეხა ცხოველებისთვის, ქირურგია, დიაგნოსტიკური ვიზუალიზაცია და ვეტერინარული პათოლოგია. სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ კლინიკურ შემოვლებში, შემთხვევების განხილვებსა და პრაქტიკულ სესიებში, კლინიკურ კვლევებში, დიაგნოსტიკურ პროცედურებში, ქირურგიულ ტექნიკებსა და თერაპევტულ ჩარევებში გამოცდილების შესაძენად. კლინიკური კომპონენტი ფოკუსირებულია კლინიკური აზროვნების და გადაწყვეტილების მიღების უნარების განვითარებაზე ეფექტური ვეტერინარული პრაქტიკებისთვის.

### **დარგობრივი სპეციალიზაციის პრაქტიკის კომპონენტი/სტაჟირება**

ლატვიაში ვეტერინარიის სტუდენტებმა უნდა გაიარონ დარგობრივი სპეციალიზაციის პრაქტიკის სრული კომპონენტი ან სტაჟირება. ეს პრაქტიკული მომზადება საშუალებას აძლევს სტუდენტებს მიიღონ რეალური გამოცდილება მათ მიერ არჩეული სპეციალიზაციის სფეროში. გამოცდილი ვეტერინარების ზედამხედველობით, სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ კლინიკურ პრაქტიკაში, დიაგნოსტიკაში, მკურნალობასა და შემთხვევების მართვაში. ეს კომპონენტი წარმოადგენს შეუფასებელ შესაძლებლობას სტუდენტებისთვის გამოიყენონ მათი ცოდნა და უნარები პროფესიონალურ გარემოში, განვიტარონ კომპეტენცია მათ მიერ არჩეულ სფეროში და შეუფერხებლად გადავიდნენ ვეტერინარულ პრაქტიკაზე.



## დასკვნა

ვეტერინარული განათლების პროგრამებისთვის ლატვიაში დამახასიათებელია ფოკუსირება სასწავლო პროგრამის ხარისხზე, აკრედიტაციის პროცესსა და საუკეთესო პრაქტიკაზე ინტეგრაციაზე. სასწავლო პროგრამა უზრუნველყოფს ყოველმხრივ განათლებას, რომელიც აბალანსებს თეორიულ ცოდნას ვეტერინარული პრაქტიკისთვის აუცილებელ პრაქტიკულ უნარებთან. კლინიკური კომპონენტი დარგობრივი სპეციალიზაციის პრაქტიკის კომპონენტთან ერთად უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ არჩეულ სფეროში საჭირო პრაქტიკული გამოცდილების და სპეციალიზაციის მოპოვებას. სასწავლო პროგრამის უწყვეტი შეფასება და გაუმჯობესება და აკრედიტაციაზე ხაზგასმა ხელს უწყობს კომპეტენციის წარმოქმნას.

## სასწავლო პროგრამის აღწერა „სავეტერინარო მედიცინა“

### სასწავლო პროგრამა

2002-2003 აკადემიური წლიდან სასწავლო წლის ხანგრძლივობა შეადგენს 6 წელიწადს (12 სემესტრი) და 2010-2011 აკადემიური წლიდან სასწავლო პროგრამა მოიცავს 366 ECTS კრედიტს ან 244 ლატვიურ საკრედიტო ქულას. ეროვნული რეგულაციების შესაბამისად სასწავლო პროგრამა „სავეტერინარო მედიცინა“ წარმოადგენს მეორე დონის პროფესიული უმაღლესი განათლების სასწავლო პროგრამას, რომელიც უტოლდება მაგისტრატურის ხარისხს დოქტორანტურაზე დაშვებით. სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება „ვეტერინარის“ კვალიფიკაცია.

ფაკულტეტსა და უნივერსიტეტს აქვს მნიშვნელოვანი ავტონომია, შეიმუშაოს სასწავლო პროგრამა საკუთარი გამოცდილების შესაბამისად ჩარჩოს ფარგლებში. უნივერსიტეტში სწავლა ტარდება აკადემიური კალენდრის მიხედვით. სასწავლო წელი შედგება ორი სემესტრისგან (გაზაფხულის და შემოდგომის სემესტრისაგან). ყოველი სემესტრის ხანგრძლივობაა 16 კვირა, რასაც მოსდევს საგამოცდო სესია ოთხი კვირის განმავლობაში. საშემოდგომო სემესტრისა და საგამოცდო სესიის შემდეგ გათვალისწინებულია 2 კვირიანი არდადეგები საშობაო და საახალწლო დღეებისთვის. საგაზაფხულო სემესტრისა და საგამოცდო სესიის შემდეგ გათვალისწინებულია 8 კვირიანი საზაფხულო არდადეგების განმავლობაში არ ტარდება ოფიციალური საგანმანათლებლო აქტივობები.

სასწავლო პროგრამის „სავეტერინარო მედიცინა“ ფარგლებში სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის (VMF) დეკანი, სასწავლო მეთოდოლოგიური კომიტეტი (MMK), სასწავლო კურსებისა და ინსტიტუტების წამყვანი მასწავლებლები და ფაკულტეტის საბჭო არიან სასწავლო პროგრამაში ცვლილებათა შესახებ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ჩართული ორგანოები.

ლატვიის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის (LBTU) რეგულაციების შესაბამისად, სასწავლო კურსის პროგრამები უნდა განახლდეს ახალი ინფორმაციის ან უახლესი მიღწევების შესაბამისად სულ მცირე ერთხელ მაინც ორ წელიწადში თვით-შეფასების აქტივობების განმავლობაში. 2014 წლიდან ლატვიის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის (LBTU) საბჭოს გადაწყვეტილებით, სასწავლო კურსი არ შეიძლება იყოს 2 კრედიტზე ნაკლები. ეს წესი არ იძლევა სასწავლო კურსის შემუშავების საშუალებას კრედიტების მცირე რაოდენობით და საფუძველი ჩაეყარა ტენდენციას რამდენიმე მცირე სასწავლო კურსის ერთში გაერთიანებისკენ.

სტუდენტების კლინიკური მომზადება ორგანიზებულია როგორც:

- სასწავლო კურსების პრაქტიკული გაკვეთილები;
- ინდივიდუალური სამუშაო (მორიგეობა);
- პრაქტიკული სამუშაოები.

### პრაქტიკული მომზადების აღწერა

„პრაქტიკული სწავლების“ გასავლელად, სტუდენტები უფლებიან პირველ უნარებსა და შესაძლებლობებს კვებაში, მოვლასა და სხვადასხვა სახეობის ცხოველებთან ურთიერთობაში (ცხენების ჩათვლით) ზოგიერთ პრეკლინიკურ სასწავლო კურსებზე პირველ და მეორე კურსზე (მაგ: ბიოლოგია, ეკოლოგია, ეთოლოგია I და II, საკვების წარმოება და ცხოველთა კვება, ანატომია, ფიზიოლოგია, ცხოველთა ჰიგიენა) ლექტორების ხელმძღვანელობით, ასევე ინდივიდუალური ტრენინგის დროს ლაბორატორიის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის (LBTU) სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის (VMF) ვეტერინარული კლინიკის (VK) და მისი სტაციონარული პერსონალის ზედამხედველობით.

მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა 1-ლი და მე-2 კურსის ოთხი სასწავლო კურსის პროგრამებში, სადაც სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის (VMF) ვეტერინარული კლინიკის (VK) სტაციონარული სამუშაო საათების მინიმალური რაოდენობა ჯამში 100 საათს შეადგენს. სასწავლო კურსის „ცხოველთა ბიოლოგია, ეკოლოგია და ეთოლოგია“ I (I სემესტრში, Biol1019) და II (მე-2 სემესტრი, Biol1020) ყოველ სემესტრში შესაბამისად 20 საათი; ხოლო სასწავლო კურსში „ფიზიოლოგია“ I (მე-3 სემესტრში, Vete6022) და II (მე-4 სემესტრი, Vete6021) სემესტრში 30 საათი. სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის (VMF) სტაციონარულ განყოფილებაში შესრულებული ინდივიდუალური სამუშაო ფიქსირდება ინდივიდუალურად თითოეული სტუდენტისთვის სპეციალური ფორმის შევსების გზით.

მე-4 სემესტრის ბოლოს მე-2 კურსის სტუდენტები გადიან პრაქტიკულ სწავლებას პირველ გარე პრაქტიკაში „ფიზიოლოგია, ეთოლოგია და კეთილდღეობა“ (VetePO16). პრაქტიკოსი ვეტერინარი ექიმის ხელმძღვანელობით სტუდენტები ეცნობიან ვეტერინარული სამუშაოს ორგანიზებას; მათ აგრეთვე უვითარდებათ პრაქტიკული უნარ-ჩვევები ცხოველებთან ურთიერთობისას. პრაქტიკის განმავლობაში სტუდენტები სწავლობენ სხვადასხვა სახეობის ცხოველთა ძირითადი ფიზიოლოგიური პარამეტრების განსაზღვრას, სწავლობენ სხვადასხვა დადებითი ვითარებისა და ფიზიოლოგიური ფაქტორის გავლენას ორგანიზმზე და აანალიზებენ ცხოველთა ქცევას. პრაქტიკის ერთ-ერთი ამოცანაა ცხოველთა კეთილდღეობის დონის შეფასება. ცხოველების კეთილდღეობის შეფასების უნარის და სტუდენტების პრაქტიკული უნარების გასაუმჯობესებლად ფერმის ცხოველებთან და ცხენებთან მუშაობისას, ისევე როგორც შინაურ ცხოველებთან უშუალოდ ურთიერთობისას, სავალდებულო პრაქტიკა სტაციონარულ დაწესებულებაში შეტანილ იყო როგორც სავალდებულო კომპონენტი სტუდენტთა პრაქტიკის პროგრამაში.

აღნიშნული პრაქტიკა ორ კვირას გრძელდება და თითოეულ სტუდენტს აძლევს შესანიშნავ შესაძლებლობას გამოიყენოს და გაიდრმავოს ცოდნა, ძირითადი უნარები და კომპეტენციები ლექციებისა და პრაქტიკული გაკვეთილების დროს ისეთ სასწავლო კურსებში, როგორიცაა "ფიზიოლოგია", "ეთოლოგია", "მეცხოველეობა". პრაქტიკის დასასრულს სტუდენტები წარუდგენენ ფაკულტეტის ხელმძღვანელს დღიურსა და ანგარიშს, სადაც აღწერილი იქნება რა ისწავლეს და დაინახეს პრაქტიკის დროს (ცხოველთა სახეობები, ცხოველთა რაოდენობა, პირადი დაკვირვებები და შესრულებული მანიპულაციები და ა.შ.). პრაქტიკის დღიური უნდა დამოწმდეს ვეტერინარიის პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ. სტუდენტთა დღიურებში გაკეთებული ჩანაწერებიდან ვხედავთ, რა სახეობის ცხოველებთან მუშაობდნენ სტუდენტები.

ძირითადი ცვლილებები კლინიკურ საგნებში ცალკეული სტუდენტებისთვის „პრაქტიკული მომზადების“ გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით განხორციელდა 2017-2018 სასწავლო წლიდან, რომელიც გულისხმობს 5-6 სტუდენტისგან შემდგარ მცირე ჯგუფებში პრაქტიკული მუშაობის ორგანიზებას (ლაბორატორიის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის (LBTU) სენატის გადაწყვეტილება). მცირე ჯგუფებში პრაქტიკული მუშაობა ტარდება შემდეგ საგნებში.

#### მე-3 სასწავლო წელი

- ანესთეზიოლოგია და გადაუდებელი დახმარება
- კლინიკური და ლაბორატორიული დიაგნოსტიკა I
- კლინიკური და ლაბორატორიული დიაგნოსტიკა II

- ოპერაციული ქირურგია და ტოპოგრაფიული ანატომია I
- ოპერაციული ქირურგია და ტოპოგრაფიული ანატომია II

#### მე-4 სასწავლო წელი

- შინაგანი დაავადებები, ნახირის ჯანმრთელობა II
- მსხვილფეხა საქონლის რეპროდუქცია I
- წვრილფეხა ცხოველთა ქირურგია I
- წვრილფეხა ცხოველთა ქირურგია II
- ვეტერინარული სტომატოლოგია

#### მე-5 სასწავლო წელი

- შინაგანი დაავადებები, ნახირის ჯანმრთელობა III
- მსხვილფეხა საქონლის რეპროდუქცია II
- მსხვილფეხა ცხოველთა ქირურგია I
- მსხვილფეხა ცხოველთა ქირურგია II
- ოფთალმოლოგია

სასწავლო კურსის “კლინიკური და ლაბორატორიული დიაგნოსტიკა” განმავლობაში (მეხუთე და მეექვსე სემესტრის განმავლობაში) სტუდენტებს ეძლევათ ინდივიდუალური სამუშაოები ლატვიის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის (LBTU) ვეტერინარულ კლინიკაში (VK) – წვრილფეხა ცხოველებისა და ცხენების კლინიკაში. სტუდენტების სამორიგეო საათებია სამუშაო დღეებში და შაბათს 07:00-დან 16:00 საათამდე. ინდივიდუალური სამუშაოს მიზანია წვრილფეხა ცხოველებთან და ცხენებთან კონტაქტის პრაქტიკული უნარ-ჩვევების შექმნა, აგრეთვე ცხოველების კლინიკურ დიაგნოსტიკაში პრაქტიკული უნარების შექმნა. სტუდენტები მონაწილეობენ ამბულატორიულ გამოკვლევებში და ეხმარებიან ვეტერინარს, აკვირდებიან ანამნეზის მიღებას და კლინიკურ გამოკვლევას. სტუდენტებმა უნდა ისწავლონ კლინიკური გამოკვლევის ზოგადი მეთოდები, ჩაატარონ ვეტერინარულ კლინიკაში (VK) მოთავსებული პაციენტების კლინიკური გამოკვლევა (წვრილფეხა ცხოველები, ცხენები), ასევე მონაწილეობა უნდა მიიღონ კლინიკის პაციენტებთან ყოველდღიურ მუშაობაში, სხვა მანიპულაციებსა და გამოკვლევებში, ინდივიდუალური პაციენტის მიხედვით, მაგალითად, დახმარების გაწევა ულტრაბგერითი გამოკვლევის დროს. სტუდენტები დილის შეხვედრებზე კლინიკის პერსონალს წარუდგენენ ვეტერინარული კლინიკის (VK) სტაციონარში მოთავსებული ყველა ცხოველის კლინიკური გამოკვლევის შედეგებს. გარდა ამისა, სტუდენტები ასევე სტუმრობენ ლაბორატორიას, სადაც სტუდენტები ეცნობიან სხვადასხვა ნიმუშის ლაბორატორიულ ტესტირებას. გარდა კლინიკური გამოკვლევებისა მესამე კურსის სტუდენტები აკეთებენ ინექციებს, აყენებენ ინტრავენურ კათეტერებს, ასევე ამზადებენ პაციენტებს ოპერაციისთვის – აკეთებენ ინტუბაციას, დოზის გამოთვლას და ა.შ.

### აკადემიური პერსონალის განვითარება

ლატვიის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის რეგლამენტის N569-ის თანახმად, უნივერსიტეტებისა და კოლეჯების აკადემიური პერსონალი ვალდებულია გაიაროს პროფესიული განვითარების პროგრამები უმაღლესი განათლების სისტემაში ინოვაციების სფეროში, უნივერსიტეტის დიდაქტიკაში ან განათლების მენეჯმენტში. ეს პროგრამები მოიცავს სულ 160 აკადემიურ საათს, მათ შორის მინიმუმ 60 საკონტაქტო საათს. პროფესიული განვითარება ასევე შეიძლება მოიცავდეს საერთაშორისო მოხილო-

ბის პროგრამებში, კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობას აკადემიური პერსონალის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის მხარდაჭერით.

პროფესიული კომპეტენციის ამალღების პროგრამა მოიცავს ერთ-ერთ შემდეგ თემას:

#### **მასწავლებელთა ზოგადი კომპეტენციები:**

- განათლების სფეროში მიმდინარე მოვლენებისა და ტენდენციების შესახებ ინფორმირებულობა
- აღზრდასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება
- სამოქალაქო დამოკიდებულებების ჩამოყალიბება
- თითოეული სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული ხარისხიანი და შემოქმედებითი პედაგოგიური პრაქტიკის ხელშეწყობა
- მომავალი კომპეტენციების განვითარების შესაბამისად პედაგოგიური პროცესების განხორციელება.
- მდგრადი განვითარებისა და ინკლუზიური განათლების ადვოკატირება
- ბავშვთა უფლებების დაცვა
- ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა
- ბავშვზე ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღიარება და პრევენცია

#### **საგანმანათლებლო შინაარსი და დიდაქტიკა:**

- კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგიებისა და მეთოდების შერჩევა
- კითხვისა და წერის უნარის გაუმჯობესება
- სააზროვნო პროცესების, კრეატიულობისა და ინოვაციების სტიმულირება
- დიდაქტიკური მოდელების გააზრება
- ტრადიციულ, მრავალპროფილურ და დისციპლინათშორისი სასწავლო პროცესებში ჩართვა
- კომპეტენტურობისა და ჯვარედინი უნარების ცნების გაცნობიერება
- სიახლეები საგნობრივ და შინაარსობრივ მეთოდოლოგიაში განათლების სფეროში
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ცოდნა თანამედროვე საგანმანათლებლო გარემოში

#### **საგანმანათლებლო ლიდერობა:**

- მიზანმიმართული, შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესების ორგანიზება
- პროფესიულ თანამშრომლობაზე ორიენტირებული პედაგოგიური პროცესების განხორციელება
- ლიდერობის უნარების გამოვლენა
- ფინანსური უნარები
- დოკუმენტების მართვა
- სკოლის მართვა, მათ შორის ცვლილებების მართვა
- ხარისხის მონიტორინგი საგანმანათლებლო დაწესებულებებში
- პერსონალის მართვა

ლატვიის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტმა (LBTU) შეიმუშავა პროფესიული განვითარების პროგრამა, რომელიც შედგება მუდმივად განახლებადი მრავალი მოდულისგან.

საუნივერსიტეტო და კოლეჯის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის შინაარსის მაგალითი – ინოვაციები უმაღლესი განათლების დიდაქტიკაში.

1. თაობების მახასიათებლები სასწავლო პროცესში; თაობების ძირითადი მახასიათებლები; სწავლებისა და სწავლის სპეციფიკა (ინფორმაციის დამუშავება, კომუნიკაცია, მუშაობის სტილი, სწავლების მეთოდები). პრაქტიკული ნაწილი: Z თაობის პიროვნული თვისებების ინდიკატორები, სასწავლო პროცესის ორგანიზების რეკომენდაციები, პრაქტიკული ექსპერიმენტები სხვადასხვა მეთოდით.
2. მონაცემთა მათემატიკური დამუშავების სტატისტიკის საფუძვლები, მათ შორის დასკვნის სტატისტიკა MS Excel-ში (მონაცემთა ანალიზის ხელსაწყოების გამოყენებით).
3. ANOVA-ს დისპერსიათა ანალიზი (ANOVA) და ANOVA-ს დაშვებების შემოწმება R-ს გამოყენებით.
4. „წიგნისა და გამოცემის საერთაშორისო გამოფენა 2022“: მრავალფეროვანი წიგნების გამოფენა, გამომცემლების უახლესი გამოშვებები, წიგნების პრეზენტაციები, ავტორის მიერ წიგნის საჯარო კითხვა, წიგნები განსაკუთრებით ხელსაყრელ საგამოფენო ფასებში, განმავითარებელი და საგანმანათლებლო თამაშები, მასალები და იდეები შემოქმედებითი სემინარებისთვის.
5. ძირითადი კომპონენტის ანალიზი (PCA) R-ს გამოყენებით.
6. კვლევის შედეგების ფორმულირება და მათი გამოყენება კვლევის პროცესში: კვლევის შედეგების ფორმულირების წყაროების მიმოხილვა: 8 EQF დონე; ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ახსნა; მოცულობა და საკვანძო სიტყვები კვლევის შედეგების ფორმულირებისთვის. სწავლის შედეგების ფორმულირება სკოლებში SOLO ტაქსონომიის გამოყენებით და ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების შედეგების ფორმულირებას შორის განსხვავებები; განმავითარებელი შეფასება: მისი არსი და გამოყენება, ჯგუფური გაგების შემოწმება ლექციის შემდეგ ან კონკრეტულ თემაზე. განმავითარებელი შეფასება ქვეჯგუფებში, მოკლე შეფასების მეთოდების გამოყენებით.
7. პროგრამირების საფუძვლები
8. სწავლების მეთოდები: ლექცია; სასწავლო სადგურები. გონებრივი რუკები. მორფოლოგიური ყუთი. ოსბორნის საკონტროლო ყუთი.
9. ონლაინ ინსტრუმენტები სასწავლო პროცესში: QR კოდების გენერირება და მათი ტიპები; ინტერაქტიული სასწავლო სესია ვირტუალურ ოთახში; ინტერაქტიული ონლაინ ვიქტორინების შექმნა (სასწავლო ამოცანები); Google ფორმების შექმნა.
10. დიალოგები: კომუნიკაციის ფუნქციები; კომუნიკაციის სახეები და კომპონენტები; დიალოგის ფილოსოფია; დიალოგის ელემენტები, ბარიერები და შედეგები; დიალოგის ტექნიკა.
11. კონფლიქტი და მისი მოგვარების მეთოდები: ცნებები და განსხვავებები კონფლიქტსა და უთანხმოებას შორის; კონფლიქტის სახეები; კონფლიქტის ესკალაციის ეტაპები; კონფლიქტის, მისი მოგვარების მეთოდებისა და სტრატეგიების გააზრება; არაძალადობრივი კომუნიკაცია.
12. ონლაინ ინსტრუმენტები სასწავლო პროცესში: აუდიტორიის ჩართულობა სემინარებში, ლექციებში ან ხმის მიცემის სიმულაციის ინსტრუმენტში; ციფრული ფოტო რედაქტირება; GIF ანიმაციების შექმნა; GIF-ის გადაყვანა MP4-ად; Google-ის ფორმები (გამოკითხვების შექმნა და მათი დანერგვა ელექტრონული სწავლების გარემოში).
13. ინფორმაციის მოძიება და მონაცემთა ბაზის შექმნა: ელექტრონული ჟურნალისა და ელექტრონული წიგნების მონაცემთა ბაზები: ScienceDirect, CABI (CAB Abstracts, CABI Animal Health and Production Compendium, CABI Crop Protection Compendium, CABI Forestry Compendium), EBSCO, Taylor & Francis Group CRC Press E-Books, Scopus, Web of Science და ა.შ.; ინფორმაციის ძიება, შედეგების შენახვა, ბიბლიოგრაფიების და პირადი ანგარიშების შექმნა; აღმოჩენის მომსახურების ინსტრუმენტები; მონაცემთა ბაზის ფუნქციები პუბლიკაციებზე განახლებების მისაღებად; ციტატები Scopus და Web of Science მონაცემთა ბაზებში; EndNote® Online Reference Management Tool და Journal Citation Reports® (JCR); მენდელი – ბიბლიოგრაფიული სიების და ციტატების შექმნა და აკადემიური გარემოს სოციალური ქსელი; მკვლევართა საიდენტიფიკაციო ნომრების ORCID-ის (Scopus Database) და Publons-ის (Web of Science Researcher ID) შექმნა.

14. MS Word-ში მუშაობის მოწინავე უნარები:

სტილის შეცვლა: სარჩევის ავტომატური ცხრილის შექმნა; სურათებისა და ცხრილების ავტომატური ნუმერაცია; სურათების და ცხრილების სიების ავტომატური გენერირება; საგნების ანბანური ინდექსის შექმნა; ავტომატური მითითებები და ციტატები; ბიბლიოგრაფიის შექმნა APA სტილის გამოყენებით; Google დოკუმენტების შექმნა.

15. MS Excel-ში მუშაობის მოწინავე უნარები: პირობითი ფორმატირება; გამოთვლების შესრულება ჩანაწერების ჯგუფების მიხედვით; Pivot Tables, Pivot Charts; მონაცემთა კონსოლიდაცია; პროგნოზირება; მონაცემთა გაფართოებული ფილტრაცია; Google Sheets-ის შექმნა.

MS PowerPoint-ში მუშაობის მოწინავე უნარები: ინტერნეტიდან ვიდეოების ჩასმა, სანავიგაციო დილაკები, ვიდეოს ან JPG-ს სახით შექმნა.

16. ონლაინ ინსტრუმენტები სასწავლო პროცესში: ონლაინ პრეზენტაცია; ონლაინ პოსტერის შექმნა; ინფოგრაფიკის ონლაინ შექმნა; Google პრეზენტაციების მომზადება.

## სახელმძღვანელოებისა და სასწავლო მასალების ყოველწლიური კონკურსი და აკადემიური კონფერენცია

ამჟამად, ჩვენი სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ლატვიის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი (LBTU) ატარებს ყოველწლიურ კონკურსს სახელმძღვანელოებისა და სასწავლო მასალებისთვის. უპირველესი მიზანია ხელი შეუწყოს ახალი, ინოვაციური საგანმანათლებლო რესურსების შექმნას, ლატვიის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის (LBTU) სასწავლო პროგრამების წარმატებით განხორციელებისთვის. მხოლოდ იმ მასწავლებლებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი ლატვიის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტთან (LBTU) აქვთ უფლება წარადგინონ თავიანთი სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალები განსახილველად. აღნიშნულ წინადადებებს შეაფასებს რექტორის მიერ უფლებამოსილი კომიტეტი.

იმავდროულად, ლატვიის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის (LBTU) აკადემიური კონფერენციები 1981 წლიდან არის მისასალმებელი და მუდმივი ტრადიცია. მათი მიზანია წაახალისოს პედაგოგები, რათა სისტემატურად გააუმჯობესონ თავიანთი დიდაქტიკური კომპეტენცია და გაუზიარონ თავიანთი წარმატებები კოლეგებს.

## ესტონეთის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა უნივერსიტეტი (EMU)

### შესავალი

ვეტერინარის პროფესია ევროპაში რეგულირებადი პროფესიაა. სავეტერინარო მედიცინის განხორციელების ლიცენზიისთვის ან შესაბამისი სერტიფიკატის მისაღებად კანდიდატმა უნდა გაიაროს ყოვლისმომცველი სასწავლო პროგრამა. ევროკავშირში ვეტერინარების თავისუფალი გადაადგილების ხელშეწყობისთვის, პროფესიული კვალიფიკაციის აღიარების მინიმალური სატრენინგო მოთხოვნები გათვალისწინებულია ევროკავშირის კანონმდებლობაში.

სავეტერინარო მედიცინა არის ერთ-ერთი ე.წ. „ლიბერალური პროფესია“, რომელიც მოითხოვს მომზადებას ლიბერალურ ხელოვნებაში ან მეცნიერებაში ინტელექტუალური უნარების განვითარებისთვის. იგი ხორციელდება პროფესიული კვალიფიკაციის საფუძველზე, უზრუნველყოფს ინტელექტუალურ მომსახურებას მომხმარებლების და ფართო საზოგადოებისთვის პიროვნულად, პასუხისმგებლობით და დამოუკიდებლად და რეგულირდება ეროვნული კომპეტენტური ორგანოების მიერ დადგენილი წესებითა და პროფესიული რეგულაციების სისტემის მეშვეობით. სავეტერინარო მედიცინა წარმოადგენს რეგულირებად პროფესიას, რომლის ხელმისაწვდომობა და განხორციელება განისაზღვრება კანონით და ექვემდებარება გარკვეული უნარებისა და კვალიფიკაციის ფლობას.

ამ სფეროში მომუშავე ადამიანებისთვის დღეს სასურველი ტერმინი უნდა იყოს „ვეტერინარი“. ამ სიტყვას უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს ტიპურ ბრიტანულ "ვეტერინარ ქირურგთან" შედარებით (ადამიანი, რომელიც იღებს კვალიფიკაციას დაავადებული ან დაშავებული ცხოველების სამკურნალოდ). სავეტერინარო მედიცინა მოიცავს საკითხთა ფართო სპექტრს და ვეტერინარები გადიან სწავლებას არა მხოლოდ ვეტერინარულ პრაქტიკაში, არამედ კარიერისთვის სურსათის უვნებლობისა და უსაფრთხოების, ბიოსაფრთხოების, ზოონოზური დაავადებების პრევენციისა და კონტროლის, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების, ფარმაცევტული ინდუსტრიის, ბაზრის ხელმისაწვდომობის, ვეტერინარული და ბიოსამედიცინო კვლევის, სამთავრობო სამსახურის და სხვა სფეროებში. ეს მოიცავს ბევრად მეტს, ვიდრე მხოლოდ დაავადებების დიაგნოსტიკას და მკურნალობას.

**ძალიან მნიშვნელოვანია იმის აღიარება და მკაფიოდ განსაზღვრა, რომ ვეტერინარი არის ადამიანი, რომელმაც დაასრულა ვეტერინარიის ხუთწლიანი ან ექვსწლიანი პროგრამა უნივერსიტეტის დონეზე (ფლობს აკადემიურ კვალიფიკაციას), ხოლო ვეტერინარი ტექნიკოსი (ვეტერინარის ასისტენტი, ვეტერინარიის მედდა, პარავეტერინარი) ან ცხოველთა ჯანმრთელობის სპეციალისტი) არის პირი, რომელმაც დაასრულა პროფესიული სკოლა ან ნებისმიერი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს შესაბამის მომზადებას (ჩვეულებრივ, სწავლის საერთო ხანგრძლივობა 1-3 წელია) სავეტერინარო მედიცინის სასწავლო პროგრამის საფუძველზე.**

სწავლის დასრულების შემდეგ, ვეტერინარებმა უნდა უზრუნველყონ მათი კვალიფიკაციის შენარჩუნება და განვითარება შესაბამისი უწყვეტი პროფესიული განვითარებითა და ტრენინგით. გარდა ამისა, ზოგიერთი ვეტერინარი იუმჯობესებს ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს სავეტერინარო მედიცინის კონკრეტულ მიმართულებაში ან სფეროში, სწავლობენ ამ ნაწილს დეტალურად, რათა გახდნენ "სპეციალისტები" (ე.ი. დაასრულონ შესაბამისი ეროვნული ან საერთაშორისოდ აკრედიტებული სამაგისტრო პროგრამა).

ვეტერინარული მომსახურებები აღიარებულია მთელს მსოფლიოში როგორც სახელმწიფო სერვისები, ხოლო კარგად რეგულირებადი ვეტერინარის პროფესია არის ეფექტური და საიმედო კვების სექტორის მნიშვნელოვანი კომპონენტი.

სავეტერინარო მედიცინა ეხება ცხოველთა ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას, ისევე როგორც ადამიანის ჯანმრთელობას (კვების უვნებლობასა და ზოონოზურ დაავადებებს) და კეთილდღეობას. ვეტერინარული სერვისები (VS) ხელს უწყობს ვეტერინარული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შე-

ნარჩუნებას, მათ შორის საკვებით გადამდები დაავადებების პრევენციასა და კონტროლს, ასევე ცხოველებისა და ცხოველური პროდუქტების რეგიონალურ და საერთაშორისო ბაზარზე წვდომას.

ამიტომ, ისევე როგორც ყველა ჯანდაცვის პროფესიისთვის, მნიშვნელოვანია შესაბამისი საზოგადოებრივი ინტერესების მუდმივი დაცვა. ვეტერინარულ მეცნიერებაში სწრაფი განვითარებისა და ახალი სოციალური პრობლემების გათვალისწინებით, ვეტერინარების უწყვეტი პროფესიული განვითარების მოთხოვნები, ვეტერინარებისა და ვეტერინარული ტექნიკოსების სერტიფიცირების დადგენილი სისტემა და დიპლომის შემდგომი (სიცოცხლის მანძილზე) სწავლების ხარისხი ძალზე მნიშვნელოვანია.

საერთაშორისო დონეზე მოსალოდნელია, რომ თითოეულ ქვეყანაში შეიქმნას დამოუკიდებელი ვეტერინარული ნორმატიული ორგანო (VSB), რომელიც პასუხისმგებელი იქნება ქვეყანაში ვეტერინარების ხარისხზე, კომპეტენციასა და ეთიკის ზედამხედველობაზე. კომპეტენტური დამოუკიდებელი ვეტერინარული ნორმატიული ორგანო (VSB) ასევე არეგულირებს პროფესიაზე ხელმისაწვდომობას (რეგისტრაცია და სერტიფიცირება, ე.ი. პრაქტიკის ლიცენზია) და სათანადო უწყვეტ პროფესიულ განვითარებას (CPD) მთელი ვეტერინარული კარიერის განმავლობაში. ეფექტური დამოუკიდებელი ვეტერინარული ნორმატიული ორგანო (VSB) ხელს უწყობს ვეტერინარული სამსახურების კარგ მმართველობას.

მინიმალურ ტექნიკურ კომპეტენციაზე ადგილობრივი ან ეროვნული სერტიფიცირება ნიშნავს, რომ დარეგისტრირებული პირები საკმარისად ფლობენ ვეტერინარული ცოდნის ძირითად ნაწილს, დამატებით ნებისმიერ კონკრეტულ ადგილობრივ პირობებს, რაც აუცილებელია ხარისხიანი მომსახურების მიწოდებისთვის. გარდა ამისა, ვეტერინარების საერთაშორისოდ აღიარებული რეგისტრაცია აწესებს აკადემიურ სახელმძღვანელო რეკომენდაციებს ვეტერინარულ ფაკულტეტებზე მომზადებისთვის. უმეტეს ქვეყნებში, როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორის ვეტერინარები უნდა იყვნენ სერტიფიცირებული და დარეგისტრირებულნი ეროვნული სარეგისტრაციო ორგანოს მიერ. აქედან გამომდინარე, ცხოველთა ჯანდაცვის სისტემაში (ვეტერინარის ასისტენტები და ტექნიკოსები) მონაწილე არა ვეტერინარებმა ასევე უნდა გაიარონ სერტიფიცირება მათ მინიმალურ ტექნიკურ კომპეტენციასთან დაკავშირებით, გავლილი მომზადების შესაბამისი ხარისხიანი მომსახურებების გასაწევად.

## ვეტერინარული აქტივობების ორგანიზების საფუძვლები

**ვეტერინარული მომსახურება** გულისხმობს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ახორციელებენ ცხოველთა ჯანდაცვისა და კეთილდღეობის ღონისძიებებს და სხვა სტანდარტებსა და რეკომენდაციებს შესაბამისი ხმელეთის და წყლის კოდექსების მიხედვით. ვეტერინარული სამსახურები ექვემდებარებიან კომპეტენტური ვეტერინარული ორგანოს [საქართველოში – სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს (NFA)] საერთო კონტროლს და ხელმძღვანელობას. კერძო სექტორის ორგანიზაციები, ვეტერინარები, ვეტერინარული პარაპროფესიონალები ან წყლის ცხოველების ჯანდაცვის პროფესიონალები, როგორც წესი, არიან აკრედიტებული ან დამტკიცებული კომპეტენტური ვეტერინარული ორგანოს მიერ დელეგირებული ფუნქციების შესასრულებლად.

**ვეტერინარული საქმიანობა** გულისხმობს ღონისძიებების სისტემას, რომელიც გამოიყენება ცხოველთა და ადამიანის ჯანმრთელობის დასაცავად და ცხოველების კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, რომელიც მოიცავს საქმიანობას ცხოველთა ჯანმრთელობის, ცხოველური პროდუქტების ჰიგიენისა და ცხოველთა დაცვის სფეროებში.

ვეტერინარული საქმიანობა იყოფა ვეტერინარულ ზედამხედველობად და ვეტერინარულ პრაქტიკად:

- ა) ვეტერინარული პრაქტიკა ნიშნავს საქმიანობას ცხოველთა დაავადებების მკურნალობის, პრევენციისა და დიაგნოსტიკის, მათ შორის ლაბორატორიული დიაგნოსტიკის სფეროში.
- ბ) **ვეტერინარული ზედამხედველობის** დავირვებები და ოფიციალური ვეტერინარებისა და უფლებამოსილი (კონტრაქტით) ვეტერინარების მიერ განხორციელებული ვეტერინარული შემოწმებები არ ითვლება ვეტერინარულ პრაქტიკად.



- ბ) პირს, რომელმაც მოიპოვა შესაბამისი სერტიფიკატი (ე.ი. წარმატებით გაიარა სერტიფიცირება) და დარეგისტრირებულია ვეტერინართა დადგენილ რეესტრში, უფლება აქვს დაკავდეს ვეტერინარული პრაქტიკით და მონაწილეობა მიიღოს ვეტერინარულ ზედამხედველობაში.

**ვეტერინარული ზედამხედველობის თანამდებობის პირი** არის ვეტერინარული კომპეტენტური ორგანოს (ე.ი. NFA საქართველოში) თანამდებობის პირი, რომელიც ახორციელებს ვეტერინარულ ზედამხედველობას, კერძოდ:

- ა) ვეტერინარული ზედამხედველობის თანამდებობის პირებს უნდა ჰქონდეთ კვალიფიკაცია სავეტერინარო მედიცინაში, ე.ი. ჰქონდეთ სავეტერინარო მედიცინის დოქტორის ხარისხი = ვეტერინარი = ფორმალური კვალიფიკაციის მტკიცებულება (დიპლომი) ევროკავშირის პროფესიული კვალიფიკაციის დირექტივის შესაბამისად 2013/55/EU, რომელიც ცვლის ძველ დირექტივას 2005/36/EC, ე.ი. დაამთავრა უნივერსიტეტი (მინიმუმ ხუთწლიანი ვეტერინარული პროგრამა); საქართველოს განათლების სისტემის მე-8 დონე.

- ბ) ოფიციალური ვეტერინარი არის ვეტერინარი, რომელიც დასაქმებულია და/ან უფლებამოსილია (კონტრაქტი გაფორმებული) ქვეყნის კომპეტენტური ვეტერინარული ორგანოს მიერ (ე.ი. NFA საქართველოში) შეასრულოს გარკვეული ოფიციალური ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია ცხოველთა ჯანმრთელობასთან და/ან საზოგადოებრივ ჯანმრთელობასთან და საქონლის ინსპექტირებასთან.

უფლებამოსილი (ე.ი. NFA-ს მიერ გაფორმებული კონტრაქტი, მაგალითად) ვეტერინარი/ვეტერინარი ტექნიკოსი (აგრეთვე, „ვეტერინარის სპეციალისტის“ პროფესიული ხარისხი საქართველოში) არის ფიზიკური პირი, რომელიც რეგისტრირებულია რეესტრში, ფლობს შესაბამის სერტიფიკატს და კანონით გათვალისწინებული წესით ენიჭება უფლებამოსილება შეასრულოს ცხოველთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ამოცანები ან შეამოწმოს ზედამხედველობის ობიექტების მდგომარეობა.

- გ) ვეტერინარი ტექნიკოსი ან ვეტერინარიის სპეციალისტი ან ვეტერინარის ასისტენტი ან ვეტერინარული მედლა ან პარავეტერინარი ან ცხოველთა ჯანმრთელობის სპეციალისტი არის პირი, რომელმაც მიიღო საშუალო პროფესიული განათლება ან ბაკალავრის ხარისხი სავეტერინარო მედიცინის დარგში ან მასთან გათანაბრებული კვალიფიკაცია, (ამჟამად, საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის 3-5 საფეხურები) უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ვეტერინარულ ზედამხედველობაში, ზედამხედველობის თანამდებობის პირების კონტროლითა და პასუხისმგებლობით.

ვეტერინარის მეთვალყურეობითა და პასუხისმგებლობით ვეტერინარული პრაქტიკით დაკავების უფლება აქვს პირს, რომელმაც მიიღო შესაბამისი სერტიფიკატი (გაიარა სერტიფიცირება) და დარეგისტრირებულია ვეტერინარ ტექნიკოსთა დადგენილ რეესტრში.

**პრაქტიკოსი ვეტერინარი** ნიშნავს პირს, რომელიც კვალიფიცირებულია სავეტერინარო მედიცინაში (მინიმუმ ხუთი წლის სრული განაკვეთით თეორიული და პრაქტიკული სწავლა უნივერსიტეტში ევროკავშირის პროფესიული კვალიფიკაციის 2013/55/EU დირექტივის შესაბამისად) და აქვს პროფესიული ვეტერინარული სერტიფიკატი.

**პროფესიული ვეტერინარული მომსახურების გაწევის უფლება** მკაცრად უკავშირდება ერთ ფიზიკურ პირს და შესაბამისი სერტიფიკატი გაიცემა ფიზიკურ პირზე, რომელმაც მოიპოვა კვალიფიკაცია სავეტერინარო მედიცინაში და გაიარა სერტიფიცირების დადგენილი პროცედურა და რეგისტრირებულია რეესტრში, როგორც სერტიფიცირებული ვეტერინარი<sup>1</sup>.

<sup>1</sup> **მინიმუმ:** აღნიშნული წარმოადგენს პირად სერტიფიკატებს. თუ ბიზნეს საწარმოს ან არა ვეტერინარს სურს სავეტერინარო კლინიკის გახსნა, უნდა მოხდეს ვეტერინარის დაქირავება.

## უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) მოთხოვნები ვეტერინარებისთვის ევროკავშირში

ვეტერინარული კომპეტენციის მაღალი დონის მიღწევა შესაძლებელია დიპლომის შემდგომი სწავლებით. ვეტერინარებმა უნდა განაახლონ თავიანთი პროფესიული ცოდნა, კლიენტებისა და პაციენტებისთვის საუკეთესო მომსახურების უზრუნველსაყოფად და მათი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, უზრუნველყონ ცხოველთა ჯანმრთელობა და კეთილდღეობა და დაიცვან ადამიანის ჯანმრთელობა. ვეტერინარებს უნდა შეეძლოთ უპასუხონ მზარდ ეროვნულ თუ საერთაშორისო მოთხოვნას მოწინავე სამეცნიერო უნარების განვითარებისთვის. ვეტერინარებმა უნდა დაიცვან ეთიკური პრინციპები და შეინარჩუნონ მომხმარებელთა მომსახურების მაღალი სტანდარტები.

მინიმალური ტექნიკური კომპეტენციის ეროვნული სერტიფიცირება ნიშნავს, რომ დარეგისტრირებული პირები საკმარისად იცნობენ ვეტერინარული ცოდნის ძირითად ნაწილს, დამატებით ნებისმიერ კონკრეტულ ადგილობრივ პირობებს, ხარისხიანი მომსახურების მიწოდებისთვის. გარდა ამისა, ვეტერინარების საერთაშორისოდ აღიარებული რეგისტრაცია აწესებს აკადემიურ სახელმძღვანელო რეკომენდაციებს ვეტერინარულ ფაკულტეტებზე სწავლებისთვის. უმეტეს ქვეყნებში, როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორის ვეტერინარები უნდა იყვნენ სერტიფიცირებული და დარეგისტრირებული ეროვნული სარეგისტრაციო ორგანოს მიერ. ცხოველთა ჯანდაცვის სისტემაში მონაწილე არა ვეტერინარმა მონაწილეებმა ასევე უნდა გაიარონ სერტიფიცირება მათ მინიმალურ ტექნიკურ კომპეტენციასთან დაკავშირებით, გავლილი ტრენინგის შესაბამისი ხარისხიანი მომსახურების გასაწევად.

უწყვეტი პროფესიული განვითარება (CPD) შეიძლება განიმარტოს, როგორც „ცოდნისა და უნარების სისტემატური შენარჩუნება, გაუმჯობესება და გაფართოება ვეტერინარის სამუშაო ცხოვრების განმავლობაში პროფესიული და ტექნიკური მოვალეობების შესასრულებლად აუცილებელი პიროვნული თვისებების განვითარებასთან ერთად.“

უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) სქემა შექმნილია იმისთვის, რომ პრაქტიკოსი სპეციალისტები იყვნენ ინფორმირებული მიმდინარე მოვლენებზე. როგორც წესი, აღნიშნული სქემა შეთანხმებულია და შემუშავებულია უმაღლეს სავეტერინარო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ან შესაბამის სასწავლო ცენტრთან ერთად, რომელშიც ჩართულია აკადემია. ამდენად, სერტიფიკატი (და ნებისმიერი სახის სერტიფიცირების სისტემა) უნდა იძლეოდეს გარანტიას, რომ სერტიფიცირებული პირის მიერ მიწოდებული იქნება უმაღლესი სტანდარტის მომსახურება.

სერტიფიცირების პროცესი მოიცავს ნებართვას სავეტერინარო მედიცინის განხორციელებაში, ხოლო სერტიფიკატი შეიძლება გაიცეს ფიზიკურ პირზე, რომელმაც შეიძინა სავეტერინარო მედიცინაში საჭირო კვალიფიკაცია და შეავსო შესაბამისი განაცხადის ფორმა.

განახლებული დირექტივა 2013/55/EU ხელს უწყობს CPD-ის გაძლიერებას რეგულირებადი პროფესიონალებისთვის. ევროკავშირის ყველა ქვეყანას აქვს გარკვეული აღწერილობის CPD სისტემა. რეკომენდირებულია, რომ ყველა ვეტერინარმა გაიაროს CPD. CPD გახდა საკანონმდებლო მოთხოვნა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული სავეტერინარო მედიცინის ლიცენზიის განახლებასთან (ე.ი. სერტიფიცირებასთან).

ამჟამად, უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) სისტემა ვეტერინარებისთვის არ არის ჰარმონიზებული მთელ ევროპაში.

### ვეტერინარის პროფესიული საქმიანობის ლიცენზია

ვეტერინარის პროფესიული საქმიანობის ლიცენზია წარმოადგენს სერტიფიკატს ვეტერინარული პრაქტიკის განხორციელების შესახებ, რომელიც ფიზიკური პირის განცხადების საფუძველზე გაიცემა ფიზიკურ პირზე, რომელსაც მიღებული აქვს კვალიფიკაცია სავეტერინარო მედიცინაში.

პროფესიული საქმიანობის ლიცენზია მოიცავს:

- ა) საქმიანობის ლიცენზიის მფლობელის სახელსა და გვარს;
- ბ) საქმიანობის ლიცენზიის მფლობელის სახელსა და გვარს და პერსონალურ საიდენტიფიკაციო კოდს ან, მისი არარსებობის შემთხვევაში, დაბადების თარიღს;
- გ) საქმიანობის ადგილსა და საქმიანობის პირობებს;

(“საქმიანობის სფერო“ ნიშნავს ისეთ სპეციალიზაციას, როგორცაა ვეტერინარული პროფილაქტიკა და მკურნალობა, ფარმაცია, ვეტერინარულ სანიტარული აქტივობები, თუ მოთხოვნილია ან სასურველია ხელისუფლების ორგანოების მიერ; „საქმიანობის პირობები“ ეხება ამ საქმიანობის რეგიონალურ შეზღუდვებს. ეს უკანასკნელი სავარაუდოდ შეუსაბამოა საქართველოსთვის. ფორმალური მოთხოვნები/პირობები უნდა იყოს მარტივი. სერტიფიკატები ჩვეულებრივ მოქმედია მთელი ქვეყნის მასშტაბით).

- დ) პროფესიონალური საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თარიღსა და ადგილს;
- ე) პროფესიული საქმიანობის ლიცენზიის მოქმედების პერიოდს;
- ვ) სარეგისტრაციო ნომერს.

პროფესიული საქმიანობის ლიცენზიებს გასცემს ვეტერინართა ეროვნული ასოციაციები (NVA), ვეტერინარული ნორმატიული ორგანოები (VSB) და ა.შ. პროფესიული საქმიანობის ლიცენზია გაცემა ხუთ წლამდე ვადით. პროფესიული საქმიანობის ლიცენზიის მფლობელს უფლება აქვს პროფესიული საქმიანობის ლიცენზიის ვადის გასვლამდე სამი თვით ადრე წარადგინოს განცხადება პროფესიული საქმიანობის ახალი ლიცენზიის მისაღებად.

პროფესიული საქმიანობის ლიცენზია ძალადაკარგულია პროფესიული საქმიანობის ლიცენზიით განსაზღვრული ვადის გასვლისას ან პროფესიული საქმიანობის ლიცენზიის გაუქმებისას, პროფესიული საქმიანობის ლიცენზიის მფლობელის მოთხოვნით ან პროფესიული საქმიანობის ლიცენზიის მფლობელის გარდაცვალებისას.

ვეტერინარის პროფესიული საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად წარდგენილი განცხადებების განხილვის წესს ადგენენ კონკრეტული ქვეყნების ეროვნული ორგანოები [მაგ. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MEPA)]

ვეტერინარული სერტიფიცირების ეროვნული საბჭო იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული საქმიანობის ლიცენზიის მინიჭების, შეჩერების, გაუქმების ან უარის თქმის შესახებ.

### **ვეტერინართა ეროვნული რეესტრი (ვეტერინარი ტექნიკოსის ქვერეესტრის ჩათვლით)**

რეესტრის მიზანია უზრუნველყოს მომხმარებლისთვის ვეტერინარული პრაქტიკის ფარგლებში საჭირო კვალიფიკაციის მქონე პირის მიერ ვეტერინარული მომსახურების გაწევა, ვეტერინარული ზედამხედველობა და ვეტერინარული პრაქტიკის შემოწმებები. რეესტრი იძლევა სტატისტიკის წარმოებისთვის საჭირო მონაცემების შეგროვებისა და შენახვის შესაძლებლობას, რაც ვეტერინარული საქმიანობის ორგანიზებისთვის არის აუცილებელი.

### **პროფესიული საქმიანობის ლიცენზიის მფლობელი ვეტერინარის უფლებები და ვალდებულებები**

პროფესიული საქმიანობის ლიცენზიის მფლობელი ვეტერინარი უფლებამოსილია:

1. დამოუკიდებლად განახორციელოს ვეტერინარული პრაქტიკა, როგორც ინდივიდუალურმა მეწარმემ ან საწარმოში, რომელთანაც ვეტერინარს აქვს სახელშეკრულებო ურთიერთობა;
2. გამოწეროს და გასცეს სამედიცინო პროდუქტები ცხოველთა მკურნალობისთვის;
3. გასცეს, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ცნობები ცხოველთა და ცხოველთა პროდუქტების მდგომარეობის შესახებ;
4. გამოიყენოს ბეჭედი მისი პირადი საქმიანობის ლიცენზიის სარეგისტრაციო ნომრით.

(რეგისტრირებული ვეტერინარი იღებს მრგვალ ბეჭედს, დიამეტრით 35 მმ, ცენტრში აღბეჭდილი სარეგისტრაციო ნომრით, ზედა კიდეზე ვეტერინარის სახელით და ქვედა კიდეზე პროფესიული წოდებით „ვეტერინარი ექიმი“. ვეტერინარი იღებს ბეჭედს გაცემულ სერტიფიკატთან/დიპლომთან ერთად).

ვეტერინარს მოეთხოვება:

1. დაიცვას ვეტერინართა პროფესიული ეთიკა.
2. გაიაროს პროფესიული დამატებითი გადამზადება (უწყვეტი პროფესიონალური განვითარება, CPD ტრენინგი, სასერტიფიკატო კურსები) საათების/კრედიტების კონკრეტული რაოდენობისთვის (გადაწყვეტილი შესაბამისი ორგანოს მიერ) ყოველ 5 კალენდარულ წელში;
3. წარუდგინოს ვეტერინარული კანონმდებლობით დადგენილი წესით საჭირო ვეტერინარული ანგარიშები NFA-ის ადგილობრივ ოფისს, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას იმ ტერიტორიაზე, სადაც ვეტერინარი მუშაობს და შეესაბამება ამ სამსახურის მიერ ვეტერინარული საქმიანობის სფეროში დადგენილ მითითებებს;
4. აწარმოოს ჩატარებული მკურნალობისა და სხვა პროცედურების, სიკვდილის შემთხვევების შესახებ ჩანაწერები და შეინახოს აღნიშნული ინფორმაცია სამი წლის განმავლობაში (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად);
5. გამოიყენოს მითითებული ბეჭედი (იხილეთ ზემოთ) შესრულებული ვეტერინარული საქმიანობის დასადასტურებლად.

გარდა ამისა, პროფესიული საქმიანობის ლიცენზიის მქონე პირს საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება მოეთხოვოს მონაწილეობა მიიღოს დაავადების აღმოფხვრის პროგრამებში.

### ვეტერინარი ტექნიკოსის საქმიანობა

ვეტერინარი ტექნიკოსი მონაწილეობს ვეტერინარულ პრაქტიკაში ვეტერინარის ზედამხედველობითა და პასუხისმგებლობით.

ვეტერინარული მომსახურებების გაწევისას, ვეტერინარ ტექნიკოსს ეკრძალება:

1. ცხოველების დამოუკიდებლად დიაგნოსტიკა და მკურნალობისა და დიაგნოსტიკური პროცედურების დანიშვნა;
2. მკურნალობის ან დიაგნოსტიკური პროცედურების ჩატარება საკუთარი ინიციატივით;
3. რეცეპტების გამოწერა და სამედიცინო პროდუქტების გაცემა;
4. ვეტერინარული შემოწმებების დამოუკიდებლად შესრულება;
5. ცხოველების ჯანმრთელობის მდგომარეობის ან ცხოველური პროდუქტების უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემა.

### ევროკავშირის დირექტივა პროფესიული კვალიფიკაციის აღიარების შესახებ (დირექტივა 2013/55/EU)

ევროკავშირში შემოთავაზებული ყველა პროფესიული ვეტერინარის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ „მინიმალური მომზადების მოთხოვნებს“. აღნიშნული მოცემულია ევროკავშირის 2013/55/EU დირექტივის 38-ე მუხლში შემდგენიარად:

„ვეტერინარების მომზადება უნდა მოიცავდეს სრულ განაკვეთზე სულ მცირე ხუთწლიან თეორიულ და პრაქტიკულ სწავლას, რომელიც დამატებით შეიძლება გამოიხატოს ექვივალენტური ECTS კრედიტებით, უნივერსიტეტში ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს ეკვივალენტური დონის მომზადებას ან უნივერსიტეტის ზედამხედველობის ქვეშ, რომელიც მოიცავს მინიმუმ V დანართის 5.4.1 პუნქტში მითითებულ სასწავლო პროგრამას (დირექტივა 2005/36/EC).

ექიმი ვეტერინარის მომზადება უნდა უზრუნველყოფდეს, რომ შესაბამისმა ექიმმა მიიღოს შემდეგი ცოდნა და უნარები:

ა) იმ მეცნიერებების ადეკვატური ცოდნა, რომლებზეც დაფუძნებულია ვეტერინარის საქმიანობა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული კავშირის კანონის ცოდნა;

ბ) ცხოველების სტრუქტურის, ფუნქციების, ქცევისა და ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების ადეკვატური ცოდნა, აგრეთვე მათი კვების, კეთილდღეობის, რეპროდუქციისა და ზოგადად ჰიგიენისთვის საჭირო უნარ-ჩვევები და კომპეტენციები;

გ) კლინიკური, ეპიდემიოლოგიური და ანალიტიკური უნარები და კომპეტენციები, რომლებიც საჭიროა ცხოველთა დაავადებების პროფილაქტიკისთვის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვის, ანესთეზიის, ასეპტიური ქირურგიისა და უმტკივნეულო სიკვდილის ჩათვლით (ინდივიდუალურად, თუ ჯგუფურად); ადამიანებზე გადამდები დაავადებების სპეციფიკური ცოდნის ჩათვლით.

დ) ადეკვატური ცოდნა, უნარები და კომპეტენციები პრევენციულ მედიცინაში, გამოკითხვასთან და სერტიფიცირებასთან დაკავშირებული კომპეტენციების ჩათვლით.


ე) ჰიგიენისა და ტექნოლოგიის შესაბამისი ცოდნა, რომელიც გამოიყენება ცხოველის საკვების ან ადამიანის მიერ მოხმარებისთვის განკუთვნილი ცხოველური წარმოშობის საკვების წარმოებაში, დამზადებასა და რეალიზაციაში, უნარებისა და კომპეტენციების ჩათვლით.

ვ) ცოდნა, უნარ-ჩვევები და კომპეტენციები, რომლებიც საჭიროა ვეტერინარული სამკურნალო საშუალებების პასუხისმგებლობით და გონივრული გამოყენებისთვის, ცხოველების მკურნალობისა და კვებითი ჯაჭვის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.“

## საგნების სია და „პირველი დღის კომპეტენციები“

- ა. კომპეტენცია არის კონცეფცია, რომელიც აერთიანებს ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს. კომპეტენცია მოითხოვს ტექნიკური უნარების შეძენას, მაგრამ ასევე გულისხმობს შესაბამისი ცოდნის გამოყენებას და ნასწავლის სხვადასხვა კონტექსტში გადაცემის თავდაჯერებულობასა და უნარს.
- ბ. ვეტერინარული განათლების დაწესებულებების (VEEs) ხელშეწყობისთვის დააკმაყოფილოს საერთო ძირითადი ვეტერინარული კომპეტენციის მოთხოვნები, რომელიც ევროკავშირმა დააწესა, აუცილებელია აღნიშნული კომპეტენციის უფრო კონკრეტულ „პირველი დღის კომპეტენციებად“ დაყოფა, რომლებიც დაკავშირებულია რეგულარულად განახლებად ევროკავშირის რეგულაციებთან.
- გ. მთლიანი საბაზისო კომპეტენცია უნდა მოიცავდეს ევროკავშირის კანონმდებლობის სხვადასხვა ნაწილში მოცემულ ყველა მითითებას პროფესიონალური კვალიფიკაციების აღიარებაში ერთგვაროვნების მისაღწევად ევროკავშირისა თუ მის მიღმა.
- დ. „პირველი დღის კომპეტენციები“ წარმოადგენს იმ მინიმალურ სტანდარტს, რომელიც საჭიროა ახალი კურსდამთავრებული ვეტერინარებისთვის და არის ამოსავალი წერტილი ვეტერინარის პროფესიაში სხვადასხვა როლისთვის. კურსის დამთავრების შემდეგ საჭირო იქნება მუდმივი პროფესიული განვითარება მიუხედავად იმისა თუ რომელ სფეროში გადაწყვეტს კურსდამთავრებული დამკვიდრებას. ზოგიერთ როლს შეიძლება დასჭირდეს დიპლომის შემდგომი გადამზადება და შემდგომი ფორმალური კვალიფიკაცია (მაგ. ევროპული კოლეჯის დიპლომატი, დოქტორი, რომელზეც არ ვრცელდება პირველი დღის კომპეტენციები).
- ე. ახალმა კურსდამთავრებულებმა, რომლებმაც მიიღეს „პირველი დღის კომპეტენციები“, უნდა შეეძლონ დამოუკიდებლად შეასრულონ ვეტერინარული პროფესიის შესაბამისი საწყისი დონის ამოცანები და მოვალეობები და იყვნენ საკმარისად თავდაჯერებულები, რომ აწარმოონ დამოუკიდებელი პრაქტიკა სავეტერინარო მედიცინის დაწყებით საფეხურზე, ამასთანავე იცოდნენ, როდის არის მიზანშეწონილი მიმართულების მიღება უფრო გამოცდილი კოლეგებისგან.
- ვ. სავეტერინარო განათლების დაწესებულებები (VEEs) პასუხისმგებელი არიან მათი სტუდენტების „პირველი დღის კომპეტენციების“ განვითარებასა და კომპეტენციების დაკმაყოფილების უზრუნველყოფაზე კურსის დამთავრებისას. ამაში მათ შესაძლოა დაეხმარონ გარე ორგანიზაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ ექსტრაკურიკულარულ პრაქტიკულ მომზადებას (EPT), რათა სტუდენტებმა შეძლონ ამ კომპეტენციების გამოყენება სამუშაო ადგილზე.

## სასწავლო პროგრამა ფაქტობრივი ინფორმაცია




სურათი 4.1. სასწავლო პროგრამა ვეტერინარიაში

სასწავლო პროგრამის შემუშავება წარმოადგენს უწყვეტ პროცესს, რომელიც იმართება უნივერსიტეტის პერსონალის მიერ, დამსაქმებლების, სტუდენტებისა და ახალი ცოდნის ცვალებად საჭიროებებზე საპასუხოდ. სასწავლო პროგრამის შემუშავება და მოდერნიზაცია გამომდინარეობს პროფესიული კვალიფიკაციის 2013/55/EU დირექტივიდან, რომელიც ცვლის ძველ დირექტივას 2005/36/EC, ასევე ვეტერინარული განათლების დაწესებულებების ევროპული ასოციაციის (EAEVE), ევროპის ვეტერინარების (FVE) და ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE), ევროპის ვეტერინარების ფედერაციის მოთხოვნებისა და წინადადებებისგან. ესტონეთის უმაღლესი განათლების აქტი და უმაღლესი განათლების სტანდარტი არის ფუნდამენტური სამართლებრივი აქტები სასწავლო პროგრამების ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლიცენზირებასა და აკრედიტაციასთან დაკავშირებით. უმაღლესი განათლების სტანდარტი ეფუძნება უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებულ სხვა აქტებს და მოქმედებს უმაღლესი განათლების ყველა საფეხურსა და ფორმაზე, განურჩევლად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საკუთრებისა და სამართლებრივი სტატუსისა. გარდა ამისა, ესტონეთის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა უნივერსიტეტის აქტი საუნივერსიტეტო ცხოვრებას.

სავეტერინარო განათლება რეგულირდება ვეტერინარული და სამოქალაქო ინჟინერიის კვლევების ჩარჩო მოთხოვნებით, რომელიც განსაზღვრავს სწავლის მთლიან მოცულობას, მისაღებ და გამოსაშვებ მოთხოვნებს, სასწავლო პროგრამის მოთხოვნებს, სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებს, ასევე აკადემიური პერსონალისთვის დადგენილ მოთხოვნებს.

სავეტერინარო მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამის (ინტეგრირებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების) ხანგრძლივობა შეადგენს 6 წელს (360 ECTS კრედიტს) 2002 – 2003 აკადემიური წლიდან დასრულებული. ერთი კრედიტულია შეესაბამება სტუდენტის 26 სამუშაო საათს. ერთი სასწავლო წელი მოიცავს 60 ECTS-ს, რაც შეესაბამება სტუდენტის 1,560 სამუშაო საათს. ინტეგრირებული სასწავლო

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება მაგისტრის ხარისხი, რომელიც იძლევა წვდომას სადოქტორო პროგრამებზე.



სურათი 4.2. სასწავლო პროგრამის განვითარების პროცესი

არ არსებობს კონკრეტული ეროვნული სასწავლო პროგრამა. ვეტერინარიის სასწავლო პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამის წესდების შესაბამისად, ესტონეთის მთავრობის მიერ დადგენილი ჩარჩო მოთხოვნების გათვალისწინებით. სასწავლო პროგრამის წესდება ადგენს მოთხოვნებს უნივერსიტეტის ყველა საფეხურზე სასწავლო პროგრამების სტრუქტურაზე, შინაარსსა და ხარისხზე და სასწავლო პროგრამის გახსნის, მართვისა და დახურვის წესს. სასწავლო პროგრამებს ჯერ განსაზღვრავს, ცვლის და იღებს ინსტიტუტის საბჭო, შემდეგ კი უნივერსიტეტის სენატის სასწავლო კომისია (შემდგომში სასწავლო კომისია). თუ ცვლილებები დაკავშირებულია სასწავლო პროგრამის სახელწოდებასთან ან სასწავლო პროგრამის სპეციალიზაციის ცვლილებასთან, ეს უნდა დაადასტუროს განათლებისა და კვლევის სამინისტრომ. სასწავლო პროგრამა ღიად ითვლება, როდესაც სასწავლო პროგრამა რეგისტრირებულია ესტონეთის განათლების საინფორმაციო სისტემაში.

აკადემიურ საკითხთა დეპარტამენტიდან ინფორმაციის მიღების შემდეგ, სასწავლო პროგრამის მართვაზე პასუხისმგებელ ინსტიტუტს არაუგვიანეს 1 მარტისა შეჰყავს სასწავლო პროგრამის ახალი ვერსია სასწავლო საინფორმაციო სისტემაში (OIS), თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული სასწავლო პროგრამაში ცვლილების შეტანის გადაწყვეტილების მიხედვით.

სასწავლო პროგრამის შემუშავება ინსტიტუტის დონეზე ექვემდებარება სასწავლო პროგრამის შემუშავების კომიტეტს (CDC). სასწავლო პროგრამის შემუშავების კომიტეტი (CDC) იქმნება სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელის განცხადებით კვლევების დირექტორის ბრძანებით. უნივერსიტეტში არსებული სასწავლო პროგრამების მიხედვით არსებობს სამი სასწავლო კომიტეტი: სასწავლო პროგრამის შემუშავების კომიტეტი (CDC) სავეტერინარო მედიცინაში; სასწავლო პროგრამის შემუშავების კომიტეტი (CDC) ცხოველთა წარმოებისა და თევზის მეურნეობაში და სასწავლო პროგრამის შემუშავების კომიტეტი (CDC) საკვები პროდუქტების ტექნოლოგიაში. ყველა სასწავლო პროგრამის შემუშავების კომიტეტი (CDC) შედგება პერსონალის წარმომადგენლებისგან და შესაბამისი სასწავლო პროგრამების სტუდენტებისგან. სასწავლო პროგრამის შემუშავების კომიტეტი (CDC) იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო და სასწავლო აქტივობების ორგანიზების მეთოდებზე, ასევე სასწავლო შედეგების და განათლების შინაარსის პრაქტიკულ შემუშავებაზე, სასწავლო პროგრამების ყოველდღიურ ჩატარებაზე ქოუჩინგისა და სასწავლო პროცესების წარმართვის გზით. სასწავლო პროგრამის შემუშავების კომიტეტი (CDC) ითვალისწინებს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოხმაურებას მათ მუშაობაში.

სწავლის შედეგებისა და ინდივიდუალური კურსების შინაარსის შემუშავება პასუხისმგებელი მასწავლებლის პასუხისმგებლობაა. დეპარტამენტებს შორის განიხილება ერთმანეთთან დაკავშირებული საგნების შინაარსი. აკადემიური სასწავლო პერსონალი ასევე განიხილავს თავიანთი საგნების სწავლების საკითხებს სასწავლო მასალის შესახებ ინფორმაციის გაზიარებით და ფორმალური და არაფორმალური დისკუსიებით. სასწავლო პროგრამის შემუშავების კომიტეტი (CDC) მონიტორინგს უწევს და აანალიზებს სწავლის შედეგებსა და ცალკეული კურსების შინაარსს, ყურადღებას აქცევს საგნებს შორის ინტეგრაციას და შესაძლო გადაფარვასა და სწავლების ხარისხის საკითხებს.

**სასწავლო პროგრამის შიდა შეფასება**

2021 წელს უნივერსიტეტმა დაიწყო სასწავლო პროგრამების შიდა შეფასების პროცესი, რომელიც ორ ეტაპად მიმდინარეობს. ჯერ ფასდება სასწავლო პროგრამის საგნების შინაარსი და შესაბამისობა, შემდეგ სასწავლო პროგრამის აქტუალობა და შესაბამისობა შიდა და გარე ხარისხის მაჩვენებლებთან და მოთხოვნებთან. შიდა შეფასების შედეგები ქმნიან მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ინფორმაციას სასწავლო პროგრამის შემუშავებისთვის. ესტონეთის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა უნივერსიტეტის შიდა შეფასების პრინციპების მიხედვით, სასწავლო პროგრამის შიდა შეფასება ტარდება სამ წელიწადში ერთხელ.



სურათი 4.3. სასწავლო პროგრამის შიდა შეფასება



სასწავლო პროგრამაში ცვლილებები, მაგ. საათების განაწილება სხვადასხვა საგანს შორის, ბალანსი თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებასა და კურსის შინაარსს შორის საფუძვლიანად განიხილება სასწავლო პროგრამის შემუშავების კომიტეტში (CDC), ვეტერინარის პროფესიაში ცვლილებების, უნივერსიტეტის, ესტონეთის მთავრობისა და ევროპული ორგანიზაციების სახელმძღვანელო რეკომენდაციების, ასევე სტუდენტების მოსაზრებების გათვალისწინებით, რომლებიც გამოითქვა OIS და სხვა უკუკავშირის სისტემებში და პირადი შეხვედრების დროს. საერთო შეთანხმების მიღწევის შემდეგ წინადადება წარედგინება ინსტიტუტის საბჭოს, შემდეგ კი აკადემიურ საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელს, რომელიც ოფიციალური დამტკიცებისათვის მას გადასცემს სასწავლო კომისიას. ამრიგად, ინსტიტუტს აქვს დიდი ავტონომია სასწავლო პროგრამის ცვლილებებთან დაკავშირებით, სანამ საბოლოო კომპეტენციები და შედეგები იქნება მიღწეული.

სასწავლო პროგრამა მუდმივად იცვლება. ის ადაპტირდება პროფესიის და საზოგადოების ცვალებადი საჭიროებების შესაბამისად. ვინაიდან ბევრი საგანი ერთმანეთთან არის დაკავშირებული აკადემიურ პერსონალს უწევს მათი საგნების ჰარმონიზება ინტეგრირებული სასწავლო პროგრამის უზრუნველყოფად.

მეტად მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც შევიდა სასწავლო პროგრამაში მას შემდეგ, იყო:

- (1) სავეტერინარო მედიცინაში დაბალი მნიშვნელობის საგნების ამოღება ვეტერინარული სასწავლო პროგრამიდან;
- (2) ძირითადი ვეტერინარული მეცნიერებათა უმეტესობა გადატანილია პირველ ორ სასწავლო წელს, რამაც შესაძლებელი გახადა მესამე სასწავლო წლიდან დაწყებულიყო კლინიკური მნიშვნელობის საგნები (ინფექციური და პარაზიტული დაავადებები, კლინიკური ფარმაკოლოგია, ქირურგია, კლინიკური დიაგნოსტიკა და დიაგნოსტიკური გამოსახულება);
- (3) კლინიკური მედიცინის სწავლება ცხოველთა სახეობების მიხედვით;
- (4) პრაქტიკული კლინიკური მომზადების სასწავლო პროგრამის საათების გაზრდა და კლინიკური როტაციის სისტემის დანერგვა;
- (5) სურსათის ჰიგიენასა და ვეტერინარულ საზოგადოებრივ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საგნების საათების გაზრდა; მესამე კურსის სტუდენტებისთვის საკვების ჰიგიენისა და VPH-ის შესავალი კურსის დანერგვა.
- (6) სასწავლო პროგრამების საათების გაზრდა კვლევისა და სამეცნიერო ინფორმაციის მოპოვების საფუძვლებთან დაკავშირებულ საგნებზე. უკვე არსებულ საგნებს, როგორცაა კვლევის საფუძვლები და ბიომეტრია (პირველი კურსის სტუდენტებისთვის) დაემატა რაოდენობრივი სავეტერინარო მედიცინა (მეორე კურსის სტუდენტებისთვის) და კვლევის მეთოდოლოგია (მესამე კურსის სტუდენტებისთვის). განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სტუდენტების მენტალურ ჯანმრთელობას სავალდებულო კურსის „ვეტერინარული ფსიქიკური ჯანმრთელობა და თავის მოვლა (2 ECTS) შემოღებით.

სასწავლო პროგრამის ხარისხის შიდა შეფასების საფუძველზე სასწავლო პროგრამის შემუშავების კომიტეტს (CDC) შეუძლია ხელი შეუწყოს ძირითადი და კლინიკური საგნების უკეთეს ინტეგრაციას, გააანალიზოს სასწავლო პროგრამებისა და საგნების სწავლის შედეგების თანმიმდევრულობა, ასევე გამოყოფილი სასწავლო პროგრამის საათებისა და სწავლების მეთოდების შესაბამისობა მითითებული შედეგების მისაღწევად.

## საგნების მოცულობა და მომზადების სახეობები

ვეტერინარული სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგები სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ:

1. კურსდამთავრებულებმა უნდა ფლობდნენ საბაზისო ვეტერინარულ მეცნიერებებს და ვეტერინარულ ტერმინოლოგიას;
2. კურსდამთავრებულებმა უნდა იცოდნენ ცხოველების მოშენების, მეცხოველეობის და ცხოველთა კვების პრინციპები და საკვების წარმოებისა და შენახვის ტექნოლოგიები;
3. კურსდამთავრებულებმა უნდა იცოდნენ ცხოველთა ქცევისა და ცხოველთა კეთილდღეობის პრინციპები, იცნობდნენ ვეტერინარული კანონმდებლობისა და ზედამხედველობის საფუძვლებს და თავიანთი საქმიანობა დააფუძნონ პროფესიული ეთიკის პრინციპებსა და შესაბამის კანონმდებლობას;
4. კურსდამთავრებულებმა უნდა იცოდნენ ცხოველის ორგანიზმის ფუნქციის ცვლილებები გახშირებული დაავადებების შედეგად და შეძლონ ამ ცოდნის გამოყენება კლინიკურ კონტექსტში;
5. კურსდამთავრებულებმა უნდა იცოდნენ ცხოველებში წარმოშობილი ძირითადი დაავადებების, მათ შორის ადამიანებზე გადამდები დაავადებების მიზეზები, ეპიდემიოლოგია, ბუნება, მიმდინარეობა და პათოგენეზი;
6. კურსდამთავრებულებს უნდა ჰქონდეთ ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის საჭირო ცოდნა და კლინიკური უნარ-ჩვევები;
7. კურსდამთავრებულებმა უნდა იცოდნენ სურსათის ჰიგიენისა და სურსათის უვნებლობის საფუძვლები, მათ შორის ცხოველების სიკვდილის წინა და სიკვდილის შემდგომი შემოწმების პრინციპები;
8. კურსდამთავრებულებმა უნდა შეძლონ კვლევის ჩატარება: მონაცემების შეგროვება და დამუშავება, მიღებული შედეგების კრიტიკული შეფასება და მეცნიერული ანალიზი, მათ სპეციალობასთან დაკავშირებული თეორიების, კითხვებისა და დასკვნების შესახებ კამათი, ახსნა და განხილვა, როგორც ზეპირსიტყვიერად, ასევე წერილობით;
9. კურსდამთავრებულებმა უნდა გააცნობიერონ ადამიანის, ცხოველისა და გარემოს ურთიერთქმედების საკითხები და იცოდნენ „ერთიანი ჯანმრთელობის“, სურსათის უსაფრთხოებისა და მდგრადი მართვის პრინციპები;
10. კურსდამთავრებულებმა უნდა იცოდნენ სხვადასხვა დაინტერესებულ პირთან და სამიზნე ჯგუფებთან პროფესიონალური კომუნიკაცია და ჰქონდეთ უნარი იმუშაონ გუნდში.
11. კურსდამთავრებულები უნდა ფლობდნენ მეთოდებსა და ტექნიკას საკუთარი ჯანმრთელობის, კეთილდღეობისა და საკუთარი და სხვების პროფესიული განვითარების ხელშეწყობისთვის, შეძლონ შეაფასონ მათი პერსონალური პროფესიული განვითარება და უწყვეტი სწავლის საჭიროება;
12. კურსდამთავრებულები უნდა იყვნენ მზად იმუშაონ პრაქტიკოს ვეტერინარად სახელმწიფო სამსახურებში ან კერძო საწარმოებში შესაბამისი შემდგომი პროფესიული განათლების შემდეგ, ლექტორად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, განაგრძონ სწავლა დოქტორანტურაში ან სტაჟირებაზე ან მისი დასრულების შემდეგ – რეზიდენტურაში, იმოქმედონ თავიანთი სპეციალობის განვითარებისთვის, მათ შორის საერთაშორისო გარემოში.

სწავლის შედეგების მისაღწევად სასწავლო პროგრამა იყოფა შემდეგ მოდულებად:

- ზოგადი მოდული 18 ECTS
- სპეციალობის მოდული 309 ECTS
- სპეციალობის არჩევითი საგნები და არასავალდებულო საგნები 11 ECTS
- დასკვნითი ნაშრომი 22 ECTS.

### ზოგადი მოდული 18 ECTS

ზოგადი მოდულის გავლის შემდეგ:

1. სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ წარმოდგენა უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიისა და ცხოველთა ეკოლოგიის შესახებ;
2. სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ წარმოდგენა კვლევის ჩატარებაზე, სხვადასხვა წყაროებიდან სამეცნიერო ინფორმაციის ამოღება;
3. სტუდენტები უნდა ფლობდნენ სტატისტიკური მონაცემების დამუშავების საფუძვლებს, შეძლონ შეასრულონ ნაკლებად რთული სტატისტიკური მონაცემების ანალიზი და შეადგინონ კვლევებისთვის საჭირო მონაცემთა ბაზები;
4. სტუდენტებს უნდა შეეძლოთ ესტონურ ენაზე ინფორმაციის გაგება და მისი პასიურად თუ აქტიურად გამოყენება; შეძლონ გაუმკლავდნენ სტანდარტულ საკომუნიკაციო სიტუაციებს.

ზოგადი მოდული მოიცავს შემდეგ საბნებს:

VL.0607	ცხოველთა ეკოლოგია (2 ECTS)
VL.1218	მტკიცებულებებზე დაფუძნებული სავეტერინარო მედიცინის საფუძვლები (2 ECTS)
VL.0567	უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგია (3 ECTS)
KE.0069	ესტონური ენა უცხოელებისთვის (3 ECTS)
VL.0413	ინფორმატიკა და ბიომეტრია (4 ECTS)
VL.1268	ვეტერინარული კვლევების შესავალი (2 ECTS)
VL.0142	ვეტერინარული მენტალური ჯანმრთელობა და თავის მოვლა (2 ECTS)

### სპეციალობის მოდული 309 ECTS

სპეციალობის მოდულში სტუდენტი იძენს ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს ცხოველთა დაავადებების და დაავადებებთან დაკავშირებული პათოლოგიური ცვლილებების, დაავადებათა დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პრევენციის, მეცხოველეობის, საკვების ჰიგიენის, ვეტერინარული საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ვეტერინარული და სურსათის უעדამხედველობის ეროვნული სისტემის შესახებ.

სპეციალობის მოდული დაყოფილია შემდეგ ქვემოდულებად:

**სპეციალობის მოდულის ქვემოდული: პრეკლინიკური მეცნიერებები (83 ECTS)**

მოდულის გავლის შემდეგ:

1. სტუდენტებმა უნდა იცოდნენ ჯანსაღი ცხოველის ორგანიზმის ანატომია და ფუნქციები;
2. სტუდენტებმა უნდა იცოდნენ ბაქტერიების სტრუქტურა, მორფოლოგია, ზრდა და გამრავლება, მიკრობული ტაქსონომია და პათოგენურობის მექანიზმები;
3. სტუდენტებმა უნდა იცოდნენ ორგანიზმების ბიოქიმიური ფუნქციონირება;
4. სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ წარმოდგენა ვირუსებზე, მათ სტრუქტურასა და ქიმიურ შემადგენლობაზე; სტუდენტებმა უნდა იცოდნენ ვირუსული დაავადებები უჯრედულ, ცხოველურ და პოპულაციის დონეზე;
5. სტუდენტებმა უნდა იცოდნენ უჯრედებისა და ქსოვილების სტრუქტურა და განვითარება;
6. სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ წარმოდგენა სავეტერინარო მედიცინაში გამოყენებული სამკურნალო პროდუქტებისა და აქტიური ნივთიერებების ჯგუფების, აგრეთვე მათი უემოქმედების შესახებ ცხოველთა სხვადასხვა სახეობაზე;

7. სტუდენტებმა უნდა იცოდნენ პროფესიონალური ტერმინოლოგია ლათინურ ენაზე;
8. სტუდენტებმა უნდა გააცნობიერონ საფუძვლიანად როგორც ნორმალური, ისე პათოლოგიური მორფოლოგია და ფუნქციები ორგანიზმის, ქსოვილისა და უჯრედის დონეზე, იცოდნენ და შეძლონ დაავადების შემთხვევაში ცხოველის ორგანიზმში სტრუქტურული და ფუნქციური ცვლილებების აღწერა;
9. სტუდენტები უნდა იცნობდნენ სავეტერინარო მედიცინის ყველაზე გავრცელებულ პათოგენებს, იცოდნენ მათი სტრუქტურა, ფუნქცია და გენეტიკა, პარაზიტიზმის მექანიზმები და სხვა ბიოლოგიური მახასიათებლები;
10. სტუდენტებმა უნდა იცოდნენ რაოდენობრივი ეპიდემიოლოგიის ძირითადი ცნებები და მათი გამოყენება სავეტერინარო მედიცინაში.

### სპეციალობის მოდულის ქვემოდული: პრეკლინიკური მეცნიერებები (83 ECTS)

VL.1278	შინაური ცხოველების ანატომია I (5 ECTS)
VL.1279	შინაური ცხოველების ანატომია II (5 ECTS)
VL.0260	შინაური ცხოველების ანატომია III (4 ECTS)
VL.1297	ცხოველთა ფიზიოლოგია I (4 ECTS)
VL.1296	ცხოველთა ფიზიოლოგია II (4 ECTS)
VL.1274	ხელოვნური განაყოფიერება და რეპროდუქცია I (3 ECTS)
VL.1275	ხელოვნური განაყოფიერება და რეპროდუქცია II (3 ECTS)
VL.1293	ციტოლოგია, ემბრიოლოგია და ჰისტოლოგია I (4 ECTS)
VL.1294	ციტოლოგია, ემბრიოლოგია და ჰისტოლოგია II (4 ECTS)
VL.1271	ზოგადი მიკრობიოლოგია (4 ECTS)
VL.0335	ზოგადი პათოლოგია (პათოლოგიური ფიზიოლოგია) (6 ECTS)
VL.1263	პათოლოგიური მორფოლოგია I (4 ECTS)
VL.1264	პათოლოგიური მორფოლოგია II (3 ECTS)
VL.0577	ფარმაკოლოგია (4 ECTS)
VL.0983	სპეციალური მიკრობიოლოგია (3 ECTS)
VL.0770	ვეტერინარული ბიოქიმია (11 ECTS)
VL.0508	ვეტერინარული ეპიდემიოლოგია (4 ECTS)
VL.1345	ვეტერინარული იმუნოლოგია (4 ECTS)
VL.0984	ვირუსოლოგია (4 ECTS)

### სპეციალობის მოდულის ქვემოდული: ცხოველური წარმოების საფუძვლები (32 ECTS)

მოდულის გავლის შემდეგ:

1. სტუდენტებმა უნდა იცოდნენ ცხოველების ქცევა, კეთილდღეობა და დაცვა და მათი კავშირები მეცხოველეობის ტექნოლოგიებთან;
2. სტუდენტებმა უნდა იცოდნენ მცენარეთა მოშენება ცხოველთა საკვების წარმოებასთან დაკავშირებით;
3. სტუდენტებმა უნდა გაიგონ ვეტერინარული გენეტიკისა და მეცხოველეობის პრინციპები;
4. სტუდენტებმა უნდა იცოდნენ სხვადასხვა ფერმის ცხოველის მოვლისა და კვების პრინციპები;
5. სტუდენტები უნდა იცნობდნენ მეცხოველეობის წარმოების მართვის ორგანიზაციას, ჰქონდეთ წარმოდგენა სოფლის მეურნეობის წარმოების ეკონომიკაზე.

**სპეციალობის მოდულის ქვემოდული: ცხოველური წარმოების საფუძვლები (32 ECTS)**

VL.0135	ცხოველთა ჰიგიენა (5 ECTS)
VL.0193	ცხოველთა კვება (5 ECTS)
VL.0818	მეცხოველეობა (6 ECTS)
VL.0651	ცხოველთა კეთილდღეობა და დაცვა (2 ECTS)
VL.0042	ეთოლოგია (2 ECTS)
PK.155	აგრონომიის საფუძვლები ვეტერინარებისთვის (2 ECTS)
VL.0822	პრაქტიკული მეცადინეობა მეცხოველეობის ფერმაში (3 ECTS)
VL.0246	წვრილფეხა ცხოველების კვება (2 ECTS)
VL.0786	ვეტერინარული გენეტიკა და ცხოველთა მოშენება (5 ECTS)

**სპეციალობის მოდულის ქვემოდული: კლინიკური მეცნიერებები (125 ECTS)**

მოდულის გავლის შემდეგ:

1. სტუდენტებმა უნდა იცოდნენ ცხოველთა სხვადასხვა სახეობის ყველაზე გავრცელებული დაავადებები (მათ შორის ფრინველები, თევზები და ეგზოტიკური ცხოველები); იცოდნენ მათი დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პრევენციის პრინციპები; ფლობდნენ დაავადების გამოვლენის ცოდნას და უნარებს როგორც ცალკეულ ცხოველში, ასევე ჯგუფში;
2. სტუდენტებმა უნდა იცოდნენ სავეტერინარო მედიცინაში გამოყენებული მედიკამენტების ძირითადი ჯგუფების მახასიათებლები, მათი თვისებები, ძირითადი ეფექტი და ფარმაკოკინეტიკა;
3. სტუდენტებმა უნდა შეძლონ ცხოველებზე უფრო მარტივი დიაგნოსტიკური და სამკურნალო პროცედურების ჩატარება;
4. სტუდენტებმა უნდა იცოდნენ თეორიულად და პრაქტიკულად რეპროდუქციისა და ხბოს მოგების ნორმალური და პათოლოგიური მიმდინარეობა;
5. სტუდენტებმა უნდა იცოდნენ ცხოველებში გამოყენებული ანელგეზიისა და ანესთეზიის სხვადასხვა მეთოდი;
6. სტუდენტებმა უნდა იცოდნენ პროფესიული ეთიკა, შეძლონ ცხოველებთან დაკავშირებით ეთიკური არგუმენტების აგება და შეძლონ ვეტერინარის მუშაობაში არსებული ეთიკური დილემების გაცნობიერება;
7. სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ ცოდნა და უნარები ვეტერინარიის სასამართლო სფეროში;
8. სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ წარმოდგენა სავეტერინარო მედიცინაში გამოყენებული კვლევის მეთოდების, სამეცნიერო კვლევის დაგეგმვის, კვლევის გეგმის შედგენის, აგრეთვე კვლევის შედეგების ანალიზისა და მოხსენების პრინციპების შესახებ.

**სპეციალობის მოდულის ქვემოდული: კლინიკური მეცნიერებები, მათ შორის პრაქტიკული სწავლება (125 ECTS)**

VL.0491	ანესთეზიოლოგია (3 ECTS)
VL.1280	ცხოველთა ინფექციური დაავადებები I (3 ECTS)
VL.1281	ცხოველთა ინფექციური დაავადებები II (3 ECTS)
VL.0827	აკვაკულტურის ტექნოლოგიები, თევზისა და კიბოს დაავადებები და ჰიგიენა (3 ECTS)
VL.0821	ხელოვნური განაყოფიერება და ვეტერინარული მედლების მოშენება (3 ECTS)
VL.0411	კლინიკური ფარმაკოლოგია (4 ECTS)

VL.1277	ცხენის კლინიკურ-ლაბორატორიული დიაგნოსტიკა (2 ECTS)
VL.1276	საწარმოო ცხოველების კლინიკურ-ლაბორატორიული დიაგნოსტიკა (2 ECTS)
VL.1300	წვრილფეხა ცხოველების კლინიკურ-ლაბორატორიული დიაგნოსტიკა (2 ECTS)
VL.1132	დერმატოლოგია და ალერგოლოგია (2 ECTS)
VL.1349	გადაუდებელი მედიცინა და ინტენსიური თერაპია (2 ECTS)
VL.0641	ენდოკრინოლოგია (3 ECTS)
VL.0831	კლინიკური მედიცინა ცხენებისთვის (4 ECTS)
VL.1295	სასამართლო სავეტერინარო მედიცინა (1 ECTS)
VL.1161	ნახირის ჯანმრთელობა და გარემო (2 ECTS)
VL.0180	ეგზოტიკური ცხოველების მედიცინა (2 ECTS)
VL.0586	ნევროლოგია (2 ECTS)
VL.1282	მეანობა და გინეკოლოგია I (4 ECTS)
VL.1283	მეანობა და გინეკოლოგია II (4 ECTS)
VL.0836	ოფთალმოლოგია (2 ECTS)
VL.0121	პარაზიტოლოგია და პარაზიტული დაავადებები (5 ECTS)
VL.1265	პათოლოგიური მკურნალობა და აუტოფსია (3 ECTS)
VL.1301	მეფრინველეობის დაავადებები (3 ECTS)
VL.1270	პრაქტიკული ტრენინგი ცხენების მედიცინისთვის (4 ECTS)
VL.1269	პრაქტიკული სწავლება საწარმოო ცხოველთა მედიცინაში (6 ECTS)
VL.0426	პრაქტიკული სწავლება წვრილფეხა ცხოველების გადაუდებელ მედიცინაში (2 ECTS)
VL.0737	პრაქტიკული სწავლება წვრილფეხა ცხოველების მედიცინაში (10 ECTS)
VL.0796	პროფესიონალური ეთიკა (1 ECTS)
VL.1284	კვლევის მეთოდოლოგია სავეტერინარო მედიცინაში (1 ECTS)
VL.1163	მცოხნავი ცხოველების კლინიკური მედიცინა (7 ECTS)
VL.1285	წვრილფეხა ცხოველების შიდა მედიცინა I (4 ECTS)
VL.1286	წვრილფეხა ცხოველების შიდა მედიცინა II (4 ECTS)
VL.1287	ქირურგია I (3 ECTS)
VL.1288	ქირურგია II (4 ECTS)
VL.1289	ქირურგია III (3 ECTS)
VL.1165	დორის კლინიკური მედიცინა (3 ECTS)
VL.1340	ვეტერინარული კლინიკური უნარები (1 ECTS)
VL.0825	ვეტერინარული პრაქტიკა და მენეჯმენტი (3 ECTS)
VL.0905	ვეტერინარული რადიოლოგია (5 ECTS)

### სპეციალობის მოდულის ქვემოდული: სურსათის ჰიგიენა და ვეტერინარული საზოგადოებრივი ჯანმრთელობა (33 ECTS)

მოდულის გავლის შემდეგ:

1. სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ ვეტერინარული პროფილაქტიკის საბაზისო ცოდნა და შეძლონ ცხოველთა დაავადებებსა და ადამიანის ჯანმრთელობას შორის კავშირის აღწერა;
2. სტუდენტებმა უნდა იცოდნენ საკვების წარმოების, გადამუშავებისა და მოხმარების ჯაჭვთან დაკავშირებული ბიოლოგიური, ქიმიური და ფიზიკური საფრთხეები;

3. სტუდენტები უნდა იცნობდნენ ყველაზე გავრცელებულ საკვებით გამოწვეული ტოქსიკური ნივთიერებების თვისებებს, ეფექტებსა და მეტაბოლიზმს;
4. სტუდენტებმა უნდა იცოდნენ თვით-კონტროლისა და საკვების უსაფრთხოების სისტემების პრინციპები და შეძლონ მათი გამოყენება პრაქტიკაში;
5. სტუდენტებმა უნდა იცნობდნენ ცხოველური წარმოშობის ნედლეულის (ხორცი, რძე) წარმოების ზოგად პრინციპებს და ცხოველური და მცენარეული პროდუქტების უსაფრთხოებასა და ხარისხზე მოქმედ ფაქტორებს;
6. სტუდენტებმა უნდა იცოდნენ ვეტერინარული და სურსათის ზედამხედველობის ეროვნული სისტემის ორგანიზაცია და მუშაობის პრინციპები და ამოცანები; იცოდნენ ვეტერინარული და სურსათის კანონმდებლობა და ჰქონდეთ ვეტერინარული ზედამხედველობისთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარები.

### სპეციალობის მოდულის ქვემოდული: სურსათის ჰიგიენა და ვეტერინარული საზოგადოებრივი ჯანმრთელობა (33 ECTS)

VL.1166	ვეტერინარული საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და საკვების ჰიგიენის საფუძვლები (4 ECTS)
VL.1299	გარემოსდაცვითი და კვების ტოქსიკოლოგია (3 ECTS)
VL.1168	საკვების წარმოების ჰიგიენა (6 ECTS)
VL.0434	ხორცის შემოწმება (5 ECTS)
VL.0177	ვეტერინარული მომსახურების ორგანიზაცია და ვეტერინარული კანონმდებლობა (2 ECTS)
VL.0833	ხორცის შემოწმებაში პრაქტიკული ტრენინგი (2 ECTS)
VL.0828	ვეტერინარული ზედამხედველობითი პრაქტიკული ტრენინგი (2 ECTS)
VL.1025	რძისა და რძის პროდუქტების ხარისხი და უსაფრთხოება (5 ECTS)
VL.1162	ხორცის პროდუქტების ტექნოლოგია, უსაფრთხოება და ხარისხი (4 ECTS)

ზემოთ ჩამოთვლილი მოდულები და კურსები სავალდებულოა ყველა სტუდენტისთვის. მე-6 კურსზე სტუდენტებს სთავაზობენ არჩევანს ოთხ არჩევით ქვემოდულს შორის. სტუდენტმა სრულად უნდა გაიაროს შერჩეული მოდული.

### სპეციალობის მოდულის არჩევითი ქვემოდული: საწარმოო ცხოველთა მედიცინა (E1) (36 ECTS)

მოდულის გავლის შემდეგ:

1. სტუდენტებმა უნდა შეძლონ საწარმოო ცხოველების ნახირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება და ანალიზი და ნახირის ჯანმრთელობის გაუმჯობესების პროგრამების ჩატარება;
2. სტუდენტებმა უნდა შეძლონ ცხოველის მფლობელისთვის რჩევის მიცემა საწარმოო ცხოველთა დაავადებების პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის, აგრეთვე მეცხოველეობისა და კვების შესახებ;
3. სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ საკომუნიკაციო და გუნდური მუშაობის უნარი; ფლობდნენ კონფლიქტის მართვის ტექნიკას;
4. სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი ცოდნა კერძო ვეტერინარული პრაქტიკისთვის.

**სპეციალობის მოდულის არჩევითი ქვემოდული: სახარმოო ცხოველთა მედიცინა E1 (36 ECTS)**

VL.0266	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯანმრთელობის მართვა (10 ECTS)
VL.0113	მომხმარებელთან კომუნიკაცია და პრაქტიკული მართვა (2 ECTS)
VL.0468	კლინიკური ტრენინგი საწარმოო ცხოველთა მედიცინაში (15 ECTS)
VL.1273	წვრილფეხა მცოხნავი ცხოველების ჯანმრთელობის მართვა (4 ECTS)
VL.1348	ღორების ჯანმრთელობის მართვა (5 ECTS)

**სპეციალობის მოდულის არჩევითი ქვემოდული: ცხენების მედიცინა (E2) (36 ECTS)**

მოდულის გავლის შემდეგ:

1. სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ სიღრმისეული ცოდნა და უნარები ცხენის დაავადებების პროფილაქტიკაში, დიაგნოსტიკაში და მკურნალობაში;
2. სტუდენტებმა უნდა იცოდნენ სამედიცინო ტერმინოლოგია და სამედიცინო ისტორიის შედგენა;
3. სტუდენტები უნდა ფლობდნენ მეტყველებასა და წერაში პროფესიული კომუნიკაციის უნარჩვევებს;
4. სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ გუნდური მუშაობის უნარი; სტუდენტები უნდა ფლობდნენ კონფლიქტის მართვის ტექნიკას;
5. სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი ცოდნა კერძო ვეტერინარული პრაქტიკისთვის.

**სპეციალობის მოდულის არჩევითი ქვემოდული: ცხენების მედიცინა (E2) (36 ECTS)**

VL.0532	გაძლიერებული კურსი ცხენების მედიცინაში (19 ECTS)
VL.0113	კლიენტებთან კომუნიკაცია და მართვა (2 ECTS)
VL.0697	კლინიკური ტრენინგი ცხენების მედიცინაში (15 ECTS)

**სპეციალობის მოდულის არჩევითი ქვემოდული: წვრილფეხა ცხოველების შესახებ მედიცინა (E3) (36 ECTS)**

მოდულის გავლის შემდეგ:

1. სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ სიღრმისეული ცოდნა და უნარები წვრილფეხა ცხოველების დაავადებების პროფილაქტიკაში, დიაგნოსტიკაში და მკურნალობაში;
2. სტუდენტებმა უნდა იცოდნენ სამედიცინო ტერმინოლოგია და სამედიცინო ისტორიის შედგენა;
3. სტუდენტები უნდა ფლობდნენ მეტყველებასა და წერაში პროფესიული კომუნიკაციის უნარჩვევებს;
4. სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ გუნდური მუშაობის უნარი; სტუდენტებმა უნდა ფლობდნენ კონფლიქტის მართვის ტექნიკას;
5. სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი ცოდნა კერძო ვეტერინარული პრაქტიკისთვის.

**სპეციალობის მოდულის არჩევითი ქვემოდული: წვრილფეხა ცხოველების შესახებ მედიცინა (E3) (36 ECTS)**

VL.0045	გაძლიერებული კურსი წვრილფეხა ცხოველების შესახებ მედიცინაში (19 ECTS)
VL.0113	მომხმარებელთან კომუნიკაცია და პრაქტიკის მართვა (2 ECTS)
VL.0178	კლინიკური მომზადება წვრილფეხა ცხოველების შესახებ მედიცინაში (15 ECTS)



### სპეციალობის მოდულის არჩევითი ქვემოდული: სურსათის უვნებლობა (E4) (36 ECTS)

მოდულის გავლის შემდეგ:

1. სტუდენტებმა უნდა შეძლონ გამოიყენონ „ერთიანი ჯანმრთელობის“ პრინციპები სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფისას;
2. სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ სიღრმისეული ცოდნა და უნარები სურსათის უსაფრთხო წარმოებისა და გადამუშავების შესახებ საკვების წარმოებისა და გადამუშავების ჯაჭვის საფეხურების სხვადასხვა ეტაპზე („ფერმიდან სუფრამდე“);
3. სტუდენტებმა უნდა იცოდნენ კანონმდებლობიდან გამომდინარე სურსათის უვნებლობისა და სურსათის წარმოების პროცესის სურსათის ჰიგიენის კრიტერიუმები და გააანალიზონ მათი მნიშვნელობა სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის უზრუნველყოფის მხრივ;
4. სტუდენტებმა უნდა იცოდნენ კვების ტექნოლოგიის ძირითადი პროცესები და დაუკავშირონ ტექნოლოგიების გავლენა სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფას;
5. სტუდენტებს შეუძლიათ პროფესიონალური კომუნიკაცია და დარღვევების გამოვლენა ცხოველთა კეთილდღეობაში; სათანადო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების მიღება.

### სპეციალობის მოდულის არჩევითი ქვემოდული: სურსათის უვნებლობა (E4) (36 ECTS)

VL.0538	ცხოველთა კეთილდღეობის შეფასება საკვების ზედამხედველობაში (3 ECTS)
VL.0317	სურსათის კანონმდებლობის საფუძვლები (3 ECTS)
VL.1354	ცალკეული შემთხვევების (ე.წ. case study) შესწავლა სურსათის უვნებლობაში (4 ECTS)
VL.0113	მომხმარებელთან ურთიერთობა და პრაქტიკის მენეჯმენტი (2 ECTS)
VL.1344	საკვების მიკრობიოტა (6 ECTS)
VL.1351	კვების ტექნოლოგია საკვების ზედამხედველობაში (6 ECTS)
VL.0336	ადამიანის კვება (4 ECTS)
VL.0287	სურსათის უვნებლობაში რისკის შეფასების პრინციპები და მეთოდები (6 ECTS)
VL.0074	ორგანული საკვების ხარისხი და უსაფრთხოება (2 ECTS)

### არჩევითი და არასავალდებულო საგნები (მინიმუმ 11 ECTS)

სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ საგნები სპეციალობის არჩევითი საგნებიდან და/ან არასავალდებულო საგნებიდან ესტონეთის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამიდან და/ან სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან (მათ შორის უცხოური უნივერსიტეტებიდან). მათ უნდა შეაგროვონ მინიმუმ 11 ECTS არჩევითი საგნებისთვის.

არჩევითი საგნები ხელს უწყობს სტუდენტების მიერ ცოდნისა და უნარების შექმნას, განვითარებას და დაგროვებას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მათ ინდივიდუალურ განვითარებას. სტუდენტები აუმჯობესებენ თავიანთ პრაქტიკულ უნარებს მეცხოველეობის და ცხენის შესახებ მედიცინის მიმართულებით.

### სპეციალობის არჩევითი საგნები:

VL.1342	ცხოველთა ფიზიოთერაპია (2 ECTS)
VL.1213	აკვარიუმი და ლაბორატორიული თევზაობა (2 ECTS)
VL.0665	რეპროდუქციის ბიოტექნოლოგია (2 ECTS)
VL.0125	ფუტკართა დაავადებები (2 ECTS)
VL.1341	მრავალფეროვნება ცხოველთა სამყაროში (4 ECTS)

VL.0734	ძაღვების მოშენება (4 ECTS)
KE.0080	ესტონური ენა (საშუალო დონე) (3 ECTS)
VL.1353	ცხენების ქირურგია (2 ECTS)
VL.0237	ლაბორატორიული ცხოველების მედიცინა (2 ECTS)
VL.0265	ტკივილი (1 ECTS)
VL.0057	პრაქტიკული მომზადება ცხენების გადაუდებელ დახმარებასა და დამის ცვლაში (2 ECTS)
VL.0319	სპორტული ფიზიოლოგია და დოპინგი (2 ECTS)
VL.1207	ტერარეუმის ცხოველები და მათი ჯანმრთელობა (2 ECTS)
VL.1144	მსოფლიო მეცხოველეობა (2 ECTS)
VL.0745	ზოოპარკისა და ველური ცხოველების მედიცინა (2 ECTS)

### არასავალდებულო საგნები

სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ კურსები უნივერსიტეტში შემოთავაზებული კურსებიდან, ან მათ შეუძლიათ გაიარონ კურსები ესტონეთის სხვა უნივერსიტეტებში. ესტონეთის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა უნივერსიტეტს აქვს ხელშეკრულებები ესტონეთის ყველა საჯარო უნივერსიტეტთან – ტარტუს უნივერსიტეტთან, ტალინის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან, ესტონეთის ხელოვნების აკადემიასთან, ესტონეთის მუსიკისა და თეატრის აკადემიასთან, ტალინის უნივერსიტეტთან, ესტონეთის საავიაციო აკადემიასთან და ტარტუს ხელოვნების კოლეჯთან. სტუდენტებს ასევე შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საზღვარგარეთის უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებულ კურსებში.

### დასკვნითი ნაშრომი (22 ECTS)

უნივერსიტეტის დასამთავრებლად სტუდენტებმა უნდა მოამზადონ და წარმოადგინონ დასკვნითი ნაშრომი. დასკვნითი ნაშრომი საშუალებას აძლევს სტუდენტებს გამოიყენონ მიღებული ცოდნა სამეცნიერო პრობლემების ფორმულირებაში, დაგეგმონ და განახორციელონ შესაბამისი კვლევები.

დასკვნითი ნაშრომის მიზანია სტუდენტებს მიაწოდოს დამოუკიდებელი პროფესიული კვლევის შედეგებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები და გამოცდილება წინასწარ განსაზღვრულ ვადებში სხვადასხვა სახის წყაროებისა და ინფორმაციის ხარისხის შეფასების გზით, კვლევის კითხვების ახსნისა და მათი გადაჭრის უნარის გამოვლენით, როგორც ზეპირად, ასევე წერილობით; ასევე განუვითაროს სტუდენტებს თავდაჯერებულობა, დაადგინოს მათი პიროვნული საჭიროებები აღნიშნულ დარგში დამატებითი ცოდნის მიღებისთვის და გაზარდოს მათი პროფესიონალური თავდაჯერებულობა.

დასკვნითი ნაშრომის შესრულების შემდეგ:

1. სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ სისტემატური წარმოდგენა და სიდრმისეული ცოდნა საკვლევი თემის სფეროში; უნდა შეეძლოთ ზედამხედველობის ქვეშ სამეცნიერო კვლევის დაგეგმვა და განხორციელება სამეცნიერო ეთიკის პრინციპების დაცვით;
2. სტუდენტებს უნდა შეეძლოთ მუშაობა პროფესიონალურ სამეცნიერო ლიტერატურასთან, შეხედულებების გამოხატვა და კვლევასთან დაკავშირებული თეორიების ანალიზი.
3. სტუდენტებმა უნდა იცოდნენ საკვლევი საკითხების განსაზღვრა და ჩამოყალიბება, კვლევისა და საკვლევი ამოცანების დასახვა.
4. სტუდენტებმა უნდა შეძლონ სათანადო კვლევის მეთოდოლოგია, შეაგროვონ, დაამუშაონ და განმარტონ მონაცემები;

5. სტუდენტებმა უნდა შეძლონ წარმოადგინონ დასაბუთებული ახსნა – განმარტება კვლევის მიღწეული შედეგებისთვის და განაზოგადონ;
6. სტუდენტებმა უნდა შეძლონ გამოიყენონ სამეცნიერო ენა კვლევით ანგარიშებში და დაიცვან კვლევის ანგარიშებისთვის დაწესებული ფორმატირების რეკომენდაციები;
7. სტუდენტებმა უნდა შეძლონ საჯაროდ წარმოადგინონ და დაიცვან საკუთარი კვლევა და პოზიციები.

უნივერსიტეტის მიზანია გამოუშვას სათანადოდ მომზადებული კურსდამთავრებულები ფართო ცოდნის ბაზით და ამიტომ პროფესიონალური მომზადების გარდა დიდი ყურადღება ეთმობა ისეთი ზოგადი უნარების განვითარებას ყველა მოდულში, როგორცაა:

- კრიტიკული, კონცეპტუალური და რეფლექსური აზროვნების უნარები როგორც ინტელექტუალურ, ასევე პრაქტიკულ საქმიანობაში;
- მათი ტექნიკური კომპეტენცია სპეციალიზაციის სფეროებში;
- კომუნიკაციის ეფექტური უნარი;
- კვლევა და ინფორმაციის მოპოვება და გამოყენება;
- პრობლემის გადაჭრის უნარები და გუნდური მუშაობის უნარი;
- მაღალი ეთიკური სტანდარტები პირად და პროფესიონალურ ცხოვრებაში.

**ბაკალავრიატის სასწავლო პროგრამა (1-5 კურსი) ყველა სტუდენტისთვის**

**ცხრილი 4.1.** სასწავლო პროგრამის საათები ევროკავშირში ჩამოთვლილ საგნებში, რომელსაც გადის თითოეული სტუდენტი

სასწავლო წელი	სწავლების საათები							სხვა (G)	ჯამი
	თეორიული სწავლება		პრაქტიკული სწავლება ხელმძღვანელის დახმარებით						
	ლექ- ციები (A)	სემი- ნარე- ბი (B)	თვი- თმა- რთული სწავლა (C)	ლაბორა- ტორიული და სამაგიდო სამუშაო (D)	არა- კლინი- კური სამუშაო ცხოვე- ლებთან (E)	კლინი- კური სამუშაო (F)			
1. ძირითადი საგნები									
ა) ფიზიკა <sup>1</sup>									
ბ) ქიმია <sup>2</sup>									
გ) ცხოველთა ბიოლოგია	22	4	26					52	
დ) მცენარეთა ბიოლოგია <sup>3</sup>									
ე) ბიო-მათემატიკა	26	26	52					104	
1 – საათების ჯამური რაოდენობა	48	30	78					156	
2. ძირითადი მეცნიერებები									
ა) ანატომია (ჰისტოლოგიისა და ემბრიოლოგიის ჩათვლით)	76		284	72	140			572	
ბ) ფიზიოლოგია	28	12	104	58	6			208	
გ) ბიოქიმია, უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგია	83	6	183	92				364	
დ) გენეტიკა (მოლეკულური გენეტიკის ჩათვლით)	32	32	66					130	
ე) ფარმაკოლოგია და ფარმაცია	38	66	104					208	
ვ) ტოქსიკოლოგია (გარემოს დაბინძურების ჩათვლით).	26	26	52					104	

ზ) მიკრობიოლოგია (ვირუსოლოგია, ბაქტერიოლოგია და მიკოლოგია)	42	8	182	132			364
თ) იმუნოლოგია	10	6	39	23			78
ი) ეპიდემიოლოგია (სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის და დოკუმენტაციის მეთოდების ჩათვლით).	2	13	88	27			130
კ) პროფესიონალური ეთიკა	13		13				26
2 – საათების ჯამური რაოდენობა	350	169	1,115	404	146		2,184
კლინიკური მეცნიერე- ბები							
ა) მეანობა <sup>4</sup>	48		104		10	46	208
ბ) პათოლოგია (პათოლოგიური ანატომიის ჩათვლით)	84	42	196	58	6	30	416
გ) პარაზიტოლოგია	25		65	40			130
დ) კლინიკური მედიცინა და ქირურგია (ანესთეტიკი) <sup>5</sup>	379	165	713	63	32	104	1,456
ე) კლინიკური ლექციები სხვადასხვა შინაურ ცხოველებზე, ფრინველების და სხვა ცხოველთა სახეობების ჩათვლით							
ვ) სავლე სავეტერინარო მედიცინა (ამბულატორიული კლინიკები) <sup>6</sup>				70		554	624
ზ) პრევენციული მედიცინა <sup>7</sup>	9	9	26			8	52
თ) დიაგნოსტიკური ვიზუალიზაცია (რადიოლოგიის ჩათვლით)	35	6	65			24	130
ი) რეპროდუქცია და რეპროდუქციული დარღვევები	20		78	18	40		156

კ) ვეტერინარული სახელმწიფო მედიცინა და საზოგადოებრივი ჯანდაცვა	39	13	52				104
ლ) ვეტერინარული კანონმდებლობა და სასამართლო მედიცინა	12		70	16		6	104
მ) თერაპევტიკა <sup>8</sup>							
ნ) პროპედევტიკა (ლაბორატორიული დიაგნოსტიკური მეთოდების ჩათვლით)	12	43	78	4		19	156
3 – საათების ჯამური რაოდენობა	663	278	1,447	269	88	791	3,536
მეცხოველეობა							
ა) მეცხოველეობა <sup>9</sup>					78		78
ბ) ცხოველთა კვება	32		65	33			130
გ) აგრონომია	14		26	12			52
დ) სასოფლო ეკონომიკა	26		26				52
ე) მეცხოველეობის მეურნეობა	39	31	78		8		156
ვ) ვეტერინარული ჰიგიენა	32	6	65	9	18		130
ზ) ცხოველთა ეთოლოგია და დაცვა	52		52				104
4 – საათების ჯამური რაოდენობა	195	37	312	54	104		702
5. საკვების ჰიგიენა/ საზოგადოებრივი ჰიგიენა							
ა) ცხოველთა საკვების ან ცხოველთა ან ცხოველური წარმოშობის საკვების შემოწმება და კონტროლი და კვების წარმოების შესაბამისი განყოფილება	97	14	130	10	9		260
ბ) სურსათის ჰიგიენა და ტექნოლოგია	48	12	78	12	6		156
გ) კვების მეცნიერება კანონმდებლობის ჩათვლით	39	13	52				104

დ) პრაქტიკული სამუშაო (მათ შორის პრაქტიკული სამუშაოები იმ ადგილებში, სადაც ხდება საკვები პროდუქტების თვის ცხოველთა დაკვლა და დამუშავება)				46	58			104
5 – საათების ჯამური რაოდენობა	184	39	260	68	73			624
6. პროფესიონალური ცოდნა								
ა) პრაქტიკის მართვა	29	10	39					78
ბ) ვეტერინარული სერტიფიცირება და ანგარიშის წერა <sup>10</sup>								
გ) კარიერის დაგეგმვა და შესაძლებლობები <sup>11</sup>								
6 – საათების ჯამური რაოდენობა								78
								7,280

<sup>1</sup> – ფიზიკა შედის ფიზიოლოგიისა და რადიოლოგიის კურსში;

<sup>2</sup> – ქიმია შედის ბიოქიმიაში;

<sup>3</sup> – მცენარეთა ბიოლოგია შედის აგრონომიაში;

<sup>4</sup> – რეპროდუქციული დარღვევები შედის მეანობა-გინეკოლოგიაში;

<sup>5</sup> – კლინიკური მედიცინა ისწავლება შემდეგ საგნებში: მსხვილი რქოსანი საქონლის, ღორის, ცხენის, წვრილფეხა და მეგობარი ცხოველების შინაგანი მედიცინა და ქირურგია, ოფთალმოლოგია, ნევროლოგია, ენდოკრინოლოგია, დერმატოლოგია და ალერგოლოგია, ფრინველთა დაავადებები, აკვაკულტურა, ინფექციური დაავადებები;

<sup>6</sup> – კლინიკური როტაციები წვრილ და მსხვილფეხა ცხოველების კლინიკაში;

<sup>7</sup> – ნახირის ჯანმრთელობის მართვის კურსი; ნახირის ჯანმრთელობის მართვის კურსში ისწავლება პრევენციული მედიცინა;

<sup>8</sup> – ასეთი ცალკე დისციპლინა არ არსებობს, ყველა თერაპიული საკითხი ისწავლება კლინიკური მედიცინის კურსებზე და კლინიკურ როტაციებზე;

<sup>9</sup> – გარე სავალდებულო პრაქტიკული სწავლება მეურნეობებში;

<sup>10</sup> – ვეტერინარული სერტიფიცირება და ანგარიშის შედგენა ისწავლება კურსებში „სახელმწიფო სავეტერინარო მედიცინა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობა“ და „ვეტერინარული კანონმდებლობა და „სასამართლო სავეტერინარო მედიცინა“ ასევე „პრაქტიკული სწავლების განმავლობაში ვეტერინარულ ზედამხედველობაში“;

<sup>11</sup> – კარიერის დაგეგმვა და შესაძლებლობები ისწავლება კურსში „სავეტერინარო პრაქტიკა და მენეჯმენტი“.

სტუდენტები მონაწილეობენ მობილური კლინიკის საქმიანობაში და მობილურ (ამბულატორიულ) კლინიკაში გატარებული საათები გათვალისწინებულია ცხრილში 4.1.

სასწავლო პროგრამის სიძლიერე წარმოადგენს ძლიერ საფუძველს, რომელიც უზრუნველყოფს კარიერის არჩევის შესაძლებლობა კურსის დამთავრებისთანავე. მეექვსე კურსზე სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ გზა მათი უპირატესობის მიხედვით. არჩევითი საგნები და დასკვნითი ნაშრომი ასევე შერჩე-

ულ სფეროში დამატებითი ცოდნის შეძენის შესაძლებლობას იძლევა. სამუშაო პრაქტიკა მჭიდრო კავშირშია სწავლასთან. მაგალითად, ზაფხულში სტუდენტებს შეუძლიათ იმუშაონ ხელოვნური განაყოფიერების ტექნიკოსად, ვეტერინარის თანამშემწედ და ა.შ.

### **კლინიკური როტაცია, როგორც კლინიკური საგნების სწავლების ნაწილი**

კლინიკური როტაციის დროს სტუდენტები მონაწილეობენ კლინიკის ყველა სამუშაოში ვეტერინარებისა და სხვა პედაგოგიური პერსონალის მეთვალყურეობის ქვეშ. როტაციის მიზანია ასწავლოს სტუდენტებს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ მუშაობაში გამოყენება. სტუდენტები სწავლობენ ცხოველებთან მოპყრობას, მომხმარებელთან ურთიერთობას და პაციენტების კლინიკურ მდგომარეობას.

სასწავლო პროგრამა შემუშავებულია სავალდებულო საგნების სისტემაზე. სტუდენტი ვერ ჩაირიცხება კლინიკურ საგნებზე, თუ მათ არ ჩააბარეს დანიშნული სავალდებულო საგნები.

მეორე და მესამე კურსის შემდეგ, ზაფხულში ტარდება გარე პრაქტიკული სწავლება (იხ. ცხრილი 4.2). სტუდენტები, რომლებიც აირჩევენ ხელოვნური განაყოფიერების (AI) პრაქტიკულ სწავლებას, ტრენინგის წარმატებით დასრულების შემდეგ მიიღებენ ხელოვნური განაყოფიერების (AI) ტექნიკოსის ლიცენზიას.

კლინიკური საგნები ისწავლება მესამე კურსიდან. გამოყენებული სწავლების მეთოდებია ლექციები, სემინარები, ელექტრონული სწავლება და პრაქტიკული სწავლება. პრაქტიკული მეცადინეობისთვის სტუდენტები დაყოფილები არიან 15-კაციან ჯგუფებად. მე-3 და მე-4 კურსებზე ჩატარებული პრაქტიკული სწავლების ძირითადი მიზანია კლინიკებში პრაქტიკული ტრენინგის დაწყებამდე სტუდენტებს ასწავლონ ძირითადი კლინიკური უნარები. მესამე კურსზე სტუდენტები სწავლობენ ფიტულეებზე კლინიკური უნარების გამოცდისთვის, რომელსაც ისინი მესამე კურსის ბოლოს აბარებენ.

### **პრაქტიკული მეცადინეობა კლინიკებში (კლინიკური როტაცია) მე-4 და მე-5 კურსის სტუდენტებისთვის (24 ECTS)**

უნივერსიტეტში კლინიკური სწავლების ნაწილია მე-4 და მე-5 კურსის სტუდენტების პრაქტიკული სწავლება (კლინიკური როტაცია). მეოთხე კურსის სტუდენტები 1 სექტემბრიდან 15 ივნისის ჩათვლით წვრილფეხა ცხოველების კლინიკაში გამოძახებით მორიგეობაში (დამის მორიგეობა) არიან ჩართულნი (პრაქტიკული სწავლება წვრილფეხა ცხოველების გადაუდებელ მედიცინაში). სტუდენტები მუშაობენ ცვლაში 1-2 მონაწილისგან შემდგარ ჯგუფებად, შედგენილი განრიგის მიხედვით. მე-5 კურსზე სტუდენტები პრაქტიკულ მეცადინეობას (კლინიკურ როტაციებს) გადიან შვიდი კვირის განმავლობაში წვრილფეხა ცხოველების საუნივერსიტეტო კლინიკაში, ოთხი კვირის განმავლობაში საწარმოო ცხოველთა კლინიკაში და სამი კვირის განმავლობაში ცხენების კლინიკაში. ტრენინგი ეფუძნება „პირველი დღის კომპეტენციების“ პრინციპებს.

სტუდენტებს არ აქვთ მე-5 კურსის კლინიკური როტაციის დაწყების ნებართვა მანამ, სანამ არ გაივლიან კლინიკური ტრენინგისთვის საჭირო ყველა საგანს. მეხუთე კურსის სტუდენტები გადიან კლინიკურ როტაციას საგაზაფხულო პერიოდში 1 თებერვლიდან 31 აგვისტოს ჩათვლით პრაქტიკული მეცადინეობის რეკომენდაციების და დამტკიცებული განრიგის შესაბამისად. SAC-ში საშუალოდ 10-12 სტუდენტია (პატარა ჯგუფებად დაყოფილი). სტუდენტები გადიან როტაციას კათედრებს შორის და მუშაობენ ცვლაში (8:00 საათიდან 14:00 საათამდე ან 14:00 საათიდან 20:00 საათამდე). ზოგადად, ერთი კვალიფიციური ვეტერინარი ხელმძღვანელობს 1-2 სტუდენტს. სტუდენტები მონაწილეობენ ცვლაში დილა-საღამოს.

რაც შეეხება მსხვილფეხა ცხოველთა კლინიკას, ცხენების კლინიკაში საშუალოდ 3-4 სტუდენტია, ხოლო საწარმოო ცხოველთა კლინიკაში – 4-6 სტუდენტი. სტუდენტები ნაწილდებიან ვეტერინარებს შორის, რომლებიც ხელმძღვანელობენ მათ დეპარტამენტში.

სტუდენტები გადიან პრაქტიკას კლინიკებში და ატარებენ პროცედურებს კვალიფიციური ვეტერინარების ან ვეტერინარის ასისტენტების მეთვალყურეობის ქვეშ. სტუდენტები მონაწილეობენ ცხოველების



გამოცდის პროცესში. ისინი ჩართულნი არიან როგორც კლინიკური გადაწყვეტილებების მიღებაში, ასევე ცხოველების მოვლასა და მკურნალობაში. ღამის მუშაობის დროს სტუდენტები იძენენ გამოცდილებას გადაუდებელი დახმარების საჭიროების მქონე პაციენტების ვეტერინარულ მკურნალობაში.

### კლინიკებში პრაქტიკის შეფასება

სტუდენტებმა უნდა აწარმოონ ჩანაწერები მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ და აიღონ ხელმოწერები ზედამხედველი ვეტერინარებისგან ყოველდღე. სტუდენტებს ასევე მიეწოდებათ სარეგისტრაციო ფურცელი, სადაც ჩამოთვლილია კლინიკური როტაციის დროს შესასრულებელი პრაქტიკული მანიპულაციები. სტუდენტები აღრიცხავენ ყველა მანიპულაციას, რომელსაც ასრულებენ პრაქტიკის დროს. სარეგისტრაციო ფურცელი მოთავსებულია „პრაქტიკული ტრენინგის ჟურნალში/დღიურში“. ტრენინგის პერიოდის ბოლოს სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ „**პრაქტიკული მომზადების დღიური ცხოველთა კლინიკაში**“ ტრენინგის ხელმძღვანელის ხელმოწერით. კლინიკური როტაციის დროს სტუდენტებმა უნდა გააკეთონ მინიმუმ ერთი ზეპირი კლინიკური შემთხვევის პრეზენტაცია (Power Point, Prezi და ა.შ.) განსახილველად როგორც პატარა, ასევე დიდი ცხოველებისთვის.

კლინიკებში პრაქტიკული სწავლების ხარისხის შესაფასებლად სტუდენტები ავსებენ უკუკავშირის ფორმას, რომელსაც განიხილავენ ხელმძღვანელ ვეტერინარებთან.

### პრაქტიკული მომზადება მე-6 კურსის სტუდენტებისთვის სპეციალობის მოდულის არჩევით ქვემოდულში (კურსი)

ხუთწლიანი სწავლის შემდეგ სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ ერთ-ერთი შემდეგი ქვემოდულიდან: საწარმოო ცხოველთა მედიცინა (E1); ცხენების მედიცინა (E2); წვრილფეხა ცხოველთა მედიცინა (E3); სურსათის უვნებლობა (E4).

მოდულების მიზანია სტუდენტს მიაწოდოს სიღრმისეული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები ვეტერინარიის შერჩეულ მიმართულებასთან დაკავშირებით. კურსის დამთავრების შემდეგ სტუდენტები სპეციალიზდებიან და ისინი უკეთ არიან მომზადებულნი სამუშაოსთვის უფრო ვიწრო სფეროში. თითოეული მოდული, გარდა სურსათის უვნებლობის მოდულისა, მოიცავს 15 ECTS პრაქტიკულ ტრენინგს.

მე-6 კურსის პრაქტიკული ტრენინგი შეიძლება ჩატარდეს საუნივერსიტეტო ცხოველთა კლინიკაში ან ინსტიტუტის მიერ დამტკიცებულ სხვა კლინიკებში. პრაქტიკული ტრენინგის დაწყებამდე სტუდენტმა უნდა აცნობოს ინსტიტუტს ტრენინგის ადგილის შესახებ და დასამტკიცებლად წარადგინოს პრაქტიკის გეგმა. ტრენინგის გასავლელად სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ პრაქტიკის ანგარიში და მოამზადონ ზეპირი ანგარიში თავიანთი პრაქტიკული მომზადების შესახებ.

### სავალდებულო გარე სამუშაო

გარე პრაქტიკული სწავლება ძირითადად დაკავშირებულია მეცხოველეობასთან, რეპროდუქციასთან, საკვების ჰიგიენასთან და ვეტერინარულ საზოგადოებრივ ჯანმრთელობასთან.

სტუდენტები იღებენ პრაქტიკული მომზადების ინსტრუქციას სწავლის დასაწყისში. სახელმძღვანელო რეკომენდაციები ასევე ხელმისაწვდომია OIS-ზე თითოეული კურსის ფარგლებში. დოკუმენტი მოიცავს ბიოდაცულობის და ბიოუსაფრთხოების სახელმძღვანელოს, კლინიკებში საქმიანობის მითითებებს, ანგარიშების წერას, დღიურის შენახვას, შრომის უსაფრთხოების ზომებს და შესასრულებელი მანიპულაციებისა და პროცედურების ჩამონათვალს.

შემუშავებულია შეფასების სისტემა სტუდენტების გარე მომზადების შესაფასებლად. გარე სამუშაოების ხარისხის შესაფასებლად გამოიყენება უკუკავშირის კითხვარი ხელმძღვანელებისა და სტუდენტებისთვის.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო სთავაზობს მხარდაჭერას სტუდენტების ხელმძღვანელებს სოფლის მეურნეობისა და აკვაკულტურის დარგში. პრაქტიკული ტრენინგის მხარდაჭერა შექმნილია

იმისთვის, რომ ნაწილობრივ დაფაროს ფერმერის ან სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებლის პრაქტიკული ტრენინგის ორგანიზებასა და ზედამხედველობასთან დაკავშირებული ხარჯები. ფერმერებს შეუძლიათ მიმართონ დაფინანსებას წარმოების ცხოველებთან დაკავშირებული გარე პრაქტიკული სამუშაოებისთვის (მე-2 და მე-3 კურსი გარე პრაქტიკული სწავლება). მხარდაჭერის კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ხელმძღვანელი უნდა ფლობდეს საჭირო კვალიფიკაციას და უნდა მუშაობდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში ან გადამამუშავებაში მინიმუმ სამი წლის განმავლობაში. უნივერსიტეტს, მასპინძელ დაწესებულებასა და სტუდენტს შორის ფორმდება სამხმრივი ხელშეკრულება.

სტუდენტები სწავლის მეორე კურსზე იწყებენ გარე პრაქტიკულ მეცადინეობას. გარე პრაქტიკული მეცადინეობის მთავარი მიზანია სწავლის დროს მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. გარე პრაქტიკული სამუშაოების დროის განრიგი აღწერილია ცხრილში 4.2.

**ცხრილი 4.2. უნივერსიტეტში გარე პრაქტიკული მეცადინეობის ორგანიზება**

სამუშაოს ტიპი	პერიოდი	სამუშაოს განხორციელების წელიწადი
ფერმერის ზედამხედველობის ქვეშ განხორციელებული გარე პრაქტიკული სამუშაოები ფერმაში	4 კვირა	მეორე კურსის საზაფხულო პერიოდი
გარე პრაქტიკული სამუშაო ხელოვნურ განაყოფიერებაში (AI) (ხელოვნური განაყოფიერების (AI) გამოცდილი ტექნიკოსის ზედამხედველობით) ან გარე პრაქტიკული მეცადინეობა წვრილფეხა ცხოველთა კლინიკაში.	4 კვირა	მესამე კურსის საზაფხულო პერიოდი
პრაქტიკული სწავლება სასაკლაოში/ხორცის მრეწველობაში	2 კვირა	მე-5 კურსის გაზაფხულის სემესტრი
მუშაობა ესტონეთის რესპუბლიკის რაიონულ ვეტერინარულ ოფისებში	2 კვირა	მე-5 კურსის გაზაფხულის სემესტრი

გარე პრაქტიკული სამუშაოების მიზანს წარმოადგენს მეორე კურსის შემდეგ მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესახებ წარმოდგენის ქონა და მსხვილ რქოსან საქონელთან და ღორთან მუშაობისთვის აუცილებელი ზოგადი უნარ-ჩვევების დაუფლება, წარმოებას, გარემოსა და ცხოველს შორის ასოციაციების შექმნით, „საჯინიბოდან სუფრამდე“ კონცეფციის თანახმად, ასევე ვეტერინარული პრაქტიკული მუშაობის პირველი გამოცდილების მიღება ცხოველთა კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის დაცვის ასპექტების გათვალისწინებით.

მესამე კურსის შემდეგ სტუდენტებმა უნდა აირჩიონ ხელოვნური განაყოფიერების ტრენინგის ოთხკვირიანი პერიოდი პროფესიონალი განაყოფიერების ტექნიკოსების მეთვალყურეობის ქვეშ, ან წვრილფეხა ცხოველების კლინიკაში სწავლება ზაფხულის თვეებში. პირველ შემთხვევაში სტუდენტები სწავლობენ ფერმის ცხოველებში განაყოფიერების პრაქტიკულ ტექნიკას. წვრილფეხა ცხოველთა კლინიკაში სტუდენტების წინაშე მდგარი მთავარი ამოცანაა ცოდნის მიღება ჯანმრთელი და ავადმყოფი მცირე ზომის ცხოველების ქცევის, მათი კვების და კლინიკური გამოკვლევის შესახებ.

მეხუთე კურსის სტუდენტების პრაქტიკული მეცადინეობა მოიცავს ორკვირიან პრაქტიკულ სწავლებას ხორცის ჰიგიენაში ხორცის გადამამუშავებელ საწარმოში და ვეტერინარული კონტროლის ორკვირიან პრაქტიკას რაიონულ ვეტერინარულ ოფისებში. ხორცის ჰიგიენასთან დაკავშირებული მიზნები მოი-

ცავს ხორცის ბიოლოგიური, ქიმიური და ფიზიკური საფრთხის იდენტიფიცირებისა და თავიდან აცილების სწავლას საზოგადოების ჯანმრთელობისთვის, შრომის ორგანიზაციის გაცნობას და საწარმოს ხარისხის განყოფილების ყოველდღიურ მუშაობას; აგრეთვე თვითკონტროლის გეგმას და მასთან დაკავშირებულ დოკუმენტებთან მუშაობას.

### პრაქტიკული ტრენინგი ხორცის წარმოებაში

ხორცის შემოწმების პრაქტიკული მომზადება სავალდებულოა ყოველი მეხუთე კურსის ვეტერინარიის სტუდენტისთვის და ძირითადად ტარდება სამ კონტრაქტორ სასაკლაოში. უნივერსიტეტის პასუხისმგებელ მასწავლებელთან შეთანხმებით, საერთაშორისო სტუდენტებს შეუძლიათ ჩაატარონ ხორცის შემოწმების პრაქტიკული სწავლება სამშობლოში, მაგრამ წინაპირობაა, რომ სასაკლაო დამტკიცებული იყოს ვეტერინარული და სურსათის სახელმწიფო ორგანოს მიერ. ზედამხედველს (ვეტერინარი, VO) უნდა ჰქონდეს ხორცის შემოწმების კარგი გამოცდილება და საგნის აღწერაში აღნიშნული ყველა თემა უნდა იყოს დაფარული პრაქტიკული ტრენინგის ფარგლებში. სტუდენტებმა უნდა შეავსონ თავიანთი პრაქტიკული მეცადინეობის დღიური და ის ხელმოწერილი/ბეჭდვად მსგავსი უნდა იყოს მოთავსების დაწესებულებაში პრაქტიკის ხელმძღვანელის (VO) მიერ. გასულ წლებში საერთაშორისო სტუდენტების უმეტესობამ ამჯობინა პრაქტიკული სწავლება ესტონეთის სასაკლაოებში/ხორცის მრეწველობაში.

ტრენინგი ეფუძნება „პირველი დღის კომპეტენციების“ მოთხოვნებს. სტუდენტები იღებენ ცოდნას სიკვდილის წინა და შემდგომი შემოწმების შესახებ, რათა მათ შეძლონ ხორცის კონტროლის ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღება. მათ შეუძლიათ იდენტიფიცირება და საშიშროების თავიდან აცილება, რომელიც ხორციტ გადადის ადამიანზე, ასევე ბიოლოგიური, ქიმიური და ფიზიკური საფრთხეების იდენტიფიცირება და თავიდან აცილება, რომლებიც პოტენციურად საზიანოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის. სტუდენტები იძენენ საბაზისო ცოდნას ხორცის მრეწველობისა და სასაკლაოების თვითკონტროლის სისტემების, დოკუმენტაციისა და პროდუქტების მიკვლევალობის შესახებ. სტუდენტებს აქვთ პრაქტიკული ცოდნა ცხოველების დაკვლის საკითხებში. მათ შეუძლიათ შეაფასონ პერსონალის ჰიგიენასთან დაკავშირებული საკითხები და გასცენ პრაქტიკული რეკომენდაციები მაკორექტირებელი ქმედებებისთვის.

როგორც სტუდენტებს, ასევე პრაქტიკის ხელმძღვანელებს (VO-s) ეძლევათ პრაქტიკის ინსტრუქციები.

პრაქტიკული მეცადინეობის დასასრულს პრაქტიკული მეცადინეობის დღიური ხელმოწერილი/ბეჭდვად მსგავსი უნდა იყოს პრაქტიკის მთავარი ხელმძღვანელის (VO) მიერ და წარმოდგენილი უნდა იყოს უკუკავშირი სტუდენტისა და VO-ს მიერ. სტუდენტმა ასევე უნდა წარადგინოს შემთხვევის ანალიზი.

საკონტრაქტო სასაკლაოები/ხორცის საწარმოები განლაგებულია ესტონეთის დასავლეთში (საარემაა, ინსტიტუტიდან 300 კმ), ჩრდილო-აღმოსავლეთში (რაკვერე, ინსტიტუტიდან 130 კმ) და სამხრეთში (ვალგა, ინსტიტუტიდან 90 კმ). ყველა ეს საწარმო დამტკიცებულია ესტონეთის სოფლის მეურნეობისა და სურსათის საბჭოს მიერ, როგორც სასაკლაო, ხორცის საჭრელი ქარხანა და ხორცის პროდუქტების მწარმოებლები. დასავლეთად განუთვნილი ძირითადი სახეობებია მსხვილი რქოსანი საქონელი და ღორი.

ყველა სასაკლაოს ყავს დანიშნული პასუხისმგებელი ზედამხედველი, რომელიც ახორციელებს პრაქტიკული მომზადების საკითხებს. გარდა ამისა, სტუდენტებთან არის ჩართული მრავალი სხვა VO-ები. სტუდენტებს ეძლევათ წვდომა ხორცის საჭრელ ქარხანაში და ხორცის გადამამუშავებელ განყოფილებაში. სასაკლაოების განყოფილებებში სტუდენტები ეცნობიან თვითკონტროლის სისტემას და საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემის დოკუმენტაციას და საწარმოს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემებს. სტუდენტები იღებენ მონაწილეობას აუდიტისა და მონიტორინგის აქტივობებში, რომლებიც ეხება თვითკონტროლის სისტემის შემოწმებას და ვალიდაციას.

ყოველი შემოდგომის სემესტრში ეწყობა ექსკურსიები კვების მრეწველობაში მეხუთე კურსის სტუდენტებისთვის, მაგ. სასწავლო დღე რაკვერის ხორცის მრეწველობაში და ცხოველური ნარჩენების გადამამუშავებელ დაწესებულებაში AS Vireen (შპს „Vireen“). სასწავლო ექსკურსიების მთავარი იდეაა ორკვირიანი პრაქტიკული მეცადინეობის დაწყებამდე ვეტერინარიის სტუდენტებისთვის სასაკლაოსა და

ხორცის მრეწველობის ობიექტების გაცნობა. ძირითადად სასწავლო ექსკურსიის ფარგლებში სტუდენტები მიიღებენ მიმოხილვას სასაკლაოში მათი პერსპექტიული მომზადების შესახებ.

რაც შეეხება პრაქტიკულ სწავლებას ვეტერინარულ ზედამხედველობაში, სტუდენტები იღებენ ცოდნას შრომის ორგანიზაციის შესახებ სახელმწიფო ვეტერინარული სამსახურის სისტემაში. ეს არის სავალდებულო პრაქტიკული ტრენინგი მეხუთე კურსის სტუდენტებისთვის, რომლის მიზანია ჩამოაყალიბოს კავშირები ვეტერინარულ ორგანიზაციასთან, კანონმდებლობასთან, სურსათის ჰიგიენასთან და ვეტერინარულ საზოგადოებრივ ჯანმრთელობასთან და რეალურ ვეტერინარულ მეთვალყურეობასთან დაკავშირებული საგნები. ისინი ეცნობიან სახელმწიფო ვეტერინარული ორგანოების ძირითად ამოცანებს ცხოველთა ჯანმრთელობაზე, დაცვასა და საკვებზე კონტროლის ორგანიზებაში, მონაწილეობენ საკონტროლო ღონისძიებებში და მათ დაგეგმვაში. ექსპერტებთან ერთად სტუდენტები სტუმრობენ ფერმებსა და საწარმოებს და საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობენ აქტივობებში (ნიმუშების შეგროვება, ვაქცინაცია და ა.შ.). სტუდენტები ასევე აკვირდებიან ვეტერინარული სერტიფიცირების წესებს.

ინსტიტუტს აქვს საკუთარი მიკრორძის ქარხანა, სადაც სხვადასხვა სახის რძის პროდუქტი იწარმოება როგორც სასწავლო, ასევე კვლევითი მიზნებისთვის.

გარდა ამისა, ცხენის მედიცინის მიმართ დაინტერესებულ სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ არჩევით კურსში VL.0057 “პრაქტიკული სწავლება ცხენების შესახებ გადაუღებელ დახმარებასა და ღამის ცვლაში” (2 ECTS).

„სავეტერინარო მედიცინის“ სასწავლო პროგრამის სტუდენტები მაქსიმალურად იყენებენ შესაძლებლობას, გაიარონ პრაქტიკა საზღვარგარეთ, მიიღონ მრავალფეროვანი გამოცდილება და გაეცნონ უფრო კონკრეტულ შემთხვევებს და გაუმკლავდნენ პაციენტებს, რომლებიც შესაძლოა არ იყვნენ ხელმისაწვდომი ესტონეთში შესახვედრად. Erasmus+ პროგრამა მხარს უჭერს პრაქტიკულ სწავლებას საზღვარგარეთ, ხოლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული პორტალები დაგეხმარებათ იპოვოთ პრაქტიკული მომზადების შესაძლებლობები (ესტონურ და ინგლისურ ენებზე), ასევე წინა სტუდენტების რეკომენდაციები. პრაქტიკული სწავლება საზღვარგარეთ ფასდება ისევე, როგორც პრაქტიკა ესტონეთში.

## სწავლა-სწავლება: ხარისხი და შეფასება

### ფაქტობრივი ინფორმაცია

სასწავლო პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად უნივერსიტეტს ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ლექტორები/უნივერსიტეტის მასწავლებლები (აკადემიური პერსონალი, უმაღლესი განათლების კანონის მიხედვით). აკადემიური პერსონალი არიან პირები, რომელთა სამსახურებრივი მოვალეობები მოიცავს ან სწავლებას, ან კვლევას, განვითარებას ან შემოქმედებით საქმიანობას უმაღლესი განათლების დონეზე, ან ორივეს, უმაღლესი განათლების აქტის მიხედვით (ძალაშია 1.09.2019). ეს არის აკადემიური პერსონალის საერთო განმარტება, კანონმდებლობა აღარ აკონკრეტებს ლექტორთა და მკვლევართა პოზიციებს. უნივერსიტეტის მასწავლებლების წინა ხუთი პოზიციის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი/დოცენტი, ლექტორი, ასისტენტი, მასწავლებელი) და მკვლევარების ოთხი პოზიციის ნაცვლად (წამყვანი მკვლევარი, უფროსი მკვლევარი, მკვლევარი, უმცროსი მკვლევარი), უნივერსიტეტს ახლა აქვს განსაზღვრული აკადემიური პერსონალის შემდეგი პოზიციები: პროფესორი, ლექტორი, მეცნიერ თანამშრომელი, მასწავლებელი. აკადემიური პერსონალის პოზიციებზე მოთხოვნები, აკადემიური პოზიციების შევსების მეთოდები და პროცედურა და აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების პროცედურა დადგენილია სენატის დადგენილებით „აკადემიური პერსონალის პოზიციები ესტონეთის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა უნივერსიტეტში“ 27.02.2020-ს მდგომარეობით. სენატის დადგენილება „აკადემიური კარიერის მოდელი“ იძლევა მიმოხილვას აკადემიური კარიერის ან კარიერული გზის პოზიციებისა და ქულების შესახებ.

აკადემიური პერსონალის კარიერული მოდელი უბიძგებს ახალგაზრდებს აკადემიური კარიერის დასაწყებად და ქმნის მის წინსვლის შესაძლებლობებს. აკადემიური კარიერის მენეჯმენტის ერთ-ერთი

ყველაზე აქტუალური სტრატეგიული მიზანია უნივერსიტეტში ახალგაზრდა მკვლევრების პროფესიული განვითარებისა და კარიერული შესაძლებლობების მხარდაჭერა, დოქტორანტებისთვის ვადიანი უმცროსი მკვლევარის პოზიციების შეთავაზებით და მათთვის შესაძლებლობის მიცემით სადოქტორო კვლევის შემდეგ გააკეთონ განაცხადი პროფესორის ასისტენტის პოზიციებზე (პროფესორის პირველი კარიერული დონე). ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე მყოფი თანამშრომელი კარიერულ გზას ხუთი წლის განმავლობაში აგრძელებს. ასისტენტ პროფესორებს შეუძლიათ მიმართონ „სტარტ-აპის“ გრანტებს ესტონეთის კვლევითი საბჭოსგან და მიიღონ მხარდაჭერა ზედამხედველობის უფლების მოპოვებაში ხელმძღვანელთა კონკურსების საშუალებით.

2022 წლამდე უნივერსიტეტს არ ჰქონდა ვალდებულება გაეფორმებინა კონტრაქტები უმცროს მკვლევარებთან. საკანონმდებლო აქტებში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, უნივერსიტეტს ეკისრება ვალდებულება დადოს შრომითი ხელშეკრულებები უმცროს მეცნიერ თანამშრომლად მუშაობისთვის 2022-2023 სასწავლო წელს მიღებულ დოქტორანტებთან და დოქტორანტურის სწავლის პერიოდში მათ გარანტირებული ჰქონდეთ საშუალო შემოსავალი ესტონეთში (სტუდენტზე თვეში 1400 ევრო).

